ზუგდიდი თბილისისა და ქუთაისის ბედს გაიზიარებს A2

მწერლის ბედი საქართველოში
ზოგს - მანქანა, ზოგს - შუბლში ტყვია A3

რას ნიშნავს კლანური მმართველობა A5



www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

სამშაბათი, 23 ივლისი, 2002 წელი. №51

ფასი 50 თეთრი


© გაზეთი 24 საათი

# "ქობულეთური ბიურო" ბიძგს აძლევს ახალ პოლიტიკურ სკანდალებს!

თამარ ხორბალაძე

*ქობულეთში სამუშაო განწყობაზე დადგომა ძალზე ძნელი გახლავთ. მით უმეტეს, როცა მზე ძალიან წვავს, ზღვა კი ისე თბილია და წყნარი, ყველაზე პატიოსან პარლამენტარსაც რომ თამამად შეაცდენს. ამიტომ ქობულეთური ბიურო, განსახილველი თემების სერიოზულობის მიუხედავად, მაინც დასასვენებლად "განწირულ" თავყრილობად მოგეჩვენებოდათ. როგორ ისვენებდნენ ბიუროს წევრები ქობულეთში, ცალკე თემაა და ამას ჩვენს უახლოეს ნომერში კიდევ დავუბრუნდებით. მანამდე კი ორიოდე სიტყვა იმაზე, თუ დახუთულ და სიცხით სავსე დარბაზში როგორ შეიქმნა ატმოსფერო, რომელსაც სკანდალები უკვე მოჰყვა და, სავარაუდოდ, კიდევ მოჰყვება.*

ასლან აბაშიძის სტუმრობამ, მინისტრთა კაბინეტის შემოღება-არშემოღების, გუბერნატორთა ინსტიტუტის გაუქმება-არგაუქმების, საარჩევნო კოდექსის შექმნა-შესწორების თემამ "ქობულეთური ბიურო" პრეზიდენტის და საზოგადოების ყურადღების ცენტრში უცბათ მოაქცია.

ბიუროს წევრების წინაშე ასლან აბაშიძის მორიგი გამომწვევი გამოსვლის შემდეგ, საქართველოს პრეზიდენტი, აფხაზეთის კონფლიქტში თავის საკუთარ წარმომადგენელს, კიდევ ერთხელ და უკვე საკმაოდ მკვეთრად გაემიჯნა. შევარდნაძის ასეთი განცხადება, ასლან აბაშიძის მიერ საკუთარი მოვალეობის არასწორად გაგებისა და

გაგრძელება A3 გვერდზე



*ასლან აბაშიძის სტუმრობამ "ქობულეთური ბიურო" პრეზიდენტის და საზოგადოების ყურადღების ცენტრში უცბათ მოაქცია*

ბესო გულაშვილის ფოტო

# საპნის ოპერა აფხაზეთის თემაზე

ვერიკო თევზაძე

*პოლიტიკური სერიალი აფხაზეთის თემაზე, შევარდნაძის და აბაშიძის მონაწილეობით კვლავ გრძელდება. აბაშიძე დაბეჯითებით ირწმუნება, რომ მას საქმის კეთებაში ხელს უშლიან. შევარდნაძე აბაშიძის უუნარობაზე მიუთითებს - რა ბედენაა, თუ საქართველოს პრეზიდენტი ამ მოსაზრებას ტაქტიანი ფორმებით გამოთქვამს. შევარნაძემ თავისი პოზიცია (რომ აბაშიძეს თავად უჭირს კონფლიქტის მოგვარება) გუშინდელ ბრიფინგზეც დააფიქსირა.*

განურჩევლად ყველა მხარე აცხადებს, რომ აფხაზეთის კონფლიქტის დარეგულირების საკითხებში საქართველოს პრეზიდენტის პირადი წარმომადგენლის, ასლან აბაშიძის ფუნქცია გაურკვეველია. ერთადერთი, ვინც ამ უბრალო ჭეშმარიტებაში ყველაზე უკეთაა გარკვეული, მაგრამ ამის შესახებ ხმამაღლა არ საუბრობს, თავად შევარდნაძეა.

"აღორძინების" წარმომადგენელი ვალერი გელბახიანი პირდაპირ ამბობს, რომ **"ამ ეტაპზე ბატონი ასლანის მისია მართლაც გაუგებარია."** გელბახიანი ყოველნაირად ცდილობს აჭარის ლიდერის გამართლებას. მისი თქმით, აბაშიძის ამ პოსტზე დანიშვნის პირველსავე დღიდან გააჩაღეს გამოსვლები მის წინააღმდეგ. **"ხან პარტიზანები უყენებენ ბატონ ასლანს ულტიმატუმს და ხან - იმერეთის გუბერნატორი. თეიმურაზ შაშიაშვილს ვინ ჰკითხავს აფხაზეთის პრობლემის მოგვარებას?"** გელბახიანის აზრით, შევარდნაძემ აბაშიძეს ხაფანგი დაუგო, როცა ეს თანამდებობა შესთავაზა.

ვალერი გელბახიანის "24 საათთან" საუბრისას გაირკვა, რომ მარტო შაშიაშვილი და პარტიზანების მუქარა როდი ყოფილა აბაშიძისთვის ხელის შემშლელი:

გაგრძელება A2 გვერდზე


"დიდი წმენდა" რუსთავში A4

პატარკაციშვილის ვერტმფრენი მუდმივ მზადყოფნაშია A4

დემოკრატია ყაზახურად A5

ამბოხება ან დიქტატურა A5

რა განსხვავებაა ხუთსა და ექვსს შორის A6

ქუჩაში ხორცს ნუ იყიდით, ის შეიძლება ცხენის აღმოჩნდეს A6

შეზღუდული თავისუფლების საზოგადოება - უნივერსიტეტი A6

ჭოჭოხეთი მარიხუანას მომხმარებელთათვის A7


### ამინდი

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | 34 | ☼ |
| ქუთაისი | 35 | ☼ |
| ბათუმი | 33 | ☼ |
| სოხუმი | 32 | ☼ |
| ფოთი | 34 | ☼ |
| თელავი | 31 | ☼ |
| ზუგდიდი | 34 | ☼ |
| გორი | 30 | ☼ |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.2000 |
| ევრო | 2.2343 |
| ფუნტი სტერლინგი | 3.4784 |
| რუბლი | 0.0697 |

# დრომ და ხელისუფლებამ ყოფილი მტრები მოკავშირეებად აქცია

გიორგი ასანიშვილი

ხელისუფლება დღეს რომ ღრმა კრიზისშია, არახალია. პოლიტიკურ არენაზე, ეკონომიკაში, საბიუჯეტო სფეროში თუ სოციალური უზრუნველყოფის სისტემაში შექმნილმა უმძიმესმა მდგომარეობამ მმართველი ძალა ჩიხში შეიყვანა. გამოსავლის ძიების პროცესში კი ის ხშირად არაადეკვატურ სვლებს აკეთებს, რითაც სიტუაციას კიდევ უფრო ამძაფრებს და იმ ცულს ლესავს, რომლითაც ოპოზიცია მას თავის მოკვეთას უპირებს. ბოლოდროინდელი მოვლენების გაანალიზებისას, ხელისუფლების ქმედებებში ძნელია, დაინახო რაიმე პოზიტიური და კონსტრუქციული. პირიქით: მან ოპოზიციის იგნორირებისა და მის მიმართ შეფარული მუქარის კურსი აიღო, რამაც მეორე ბანაკში საპროტესტო რეაქცია წარმოშვა და მას ხელისუფლების წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლის დაწყებისკენ უბიძგა.

რომ არა ყოველგვარ ლოგიკას მოკლებული გადაწყვეტილებები (მაგალითად, ტერორიზმისა და მკვლელობების ბრალდებით გასამართლებულთა შეწყალება და მათი ციხიდან ვადაზე ადრე გათავისუფლება), დაქსაქსული ოპოზიცია, ალბათ, ასე უცებ ვერ მოახერხებდა დარაზმვას და ხელისუფლებისთვის მუშტის მოღერებას.

გაგრძელება A8 გვერდზე

# თბილისს საკრებულო კიდევ ერთი წელი არ ეყოლება

## ვარაუდობს მიხეილ სააკაშვილი

ეკა კვესიტაძე

**- თბილისი, ფაქტობრივად, საკრებულოს გარეშეა, რაშიც გარკვეული წვლილი თქვენც მიგიძღვით. საერთოდ, ბუნდოვანი დარჩა "ნაციონალური მოძრაობის" მიზნები ამ არჩევნების შემდეგ. თავიდან თქვენ აპროტესტებდით არჩევნების შედეგებს და მის გაუქმებას ითხოვდით, მერე უეცრად სასამართლოში სარჩელი შეგაქვთ შედეგების გაუქმების წინააღმდეგ.**

- ჩვენ არ ვითხოვდით არჩევნების შედეგების გაუქმებას. ჩვენ ვითხოვდით ხმების გადათვლას, რაც არჩევნების შედეგების გაუქმებას არ ითვალისწინებს. გასული საპარლამენტო არჩევნების დროს ხუთ ოლქში ხელახლა ჩატარდა არჩევნები, მაგრამ ამით საპარლამენტო არჩევნების შედეგები არ გაუქმებულა. ჩვენ ვითხოვდით, საკრებულოს მუშაობა დაეწყო და თუ გადათვლის შედეგად რომელიმე პარტიას მოემატებოდა ხმები (დარწმუნებულები ვიყავით, რომ ჩვენ მოგვემატებოდა), ეს საკრებულოს შემადგენლობაზე ასახულიყო.

საკრებულოს მუშაობის დაწყება შეჩერდა არა ჩვენი სარჩელით, არამედ ორი პატარა პარტიის სარჩელით, რომელიც საკრებულოში ვერ გავიდა.

**- მაგრამ თქვენ და ამ პატარა პარტიებს თავიდან ერთი მოთხოვნები გქონდათ.**

- "სახალხოსთან" ერთად ვითხოვდით გატაცებული სიების დაბრუნებას, მაგრამ არჩევნების შედეგების გაუქმების მოთხოვნით ვერავისთან ვერ გავერთიანდებით.

ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რომ საკრებულომ მუშაობა დაიწყოს, რადგან ეს იქნება ლეგიტიმურად არჩეული ოპოზიციური საკრებულო.



*მიხეილ სააკაშვილი*

გაგრძელება A3 გვერდზე

# ლოშჩინინის ულტიმატუმი აბაშიძემ გაიზიარა

## გაიზიარებს თუ არა მას თბილისი

რუსიკო ნიკურაძე

საკ.კორ.მოსკოვში

რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს დიპლომატები სერიოზულად წყვეტენ ერთ დელიკატურ პრობლემას - ვინ აიძულებს საქართველოს პრეზიდენტს, მოსკოვში ჩამოსვლამდე დათანხმდეს ოფიციალური მოსკოვის წინადადებას, აფხაზეთის მონაკვეთის სარკინიგზო მიმოსვლის გახსნის შესახებ. ამ პრობლემას კავკასიაში რუსეთის ნომერი პირველი სტრატეგიული მოკავშირე - სომხეთი კრემლს ყოველდღე ახსენებს. მოსკოველ დიპლომატებს იმაზე საუბარიც უყვართ, თუ რა მასშტაბის ეკონომიკურ ზარალს ნახულობს სომხეთი აფხაზეთში რკინიგზის ბლოკირებით.

საქართველო-რუსეთის ეკონომიკური თანამშრომლობის ასპექტებზე საუბრისას, ივანოვის უწყების დიპლომატები, პირველ რიგში, კონფლიქტის ზონის არასტაბილურ მდგომარეობაზე მიანიშნებენ, რასაც რკინიგზის დაცვასაც აბამენ და აცხადებენ, რომ ამ პირობებში სამშვიდობო ბატალიონების გაძლიერება

გაგრძელება A2 გვერდზე

# თანამედროვე სამყარომ არ იცის, თუ როგორ უნდა იმოქმედოს გლობალური კრიზისის პირობებში

თორნიკე შარაშენიძე

გასული კვირის ბოლოს საქმიან სამყაროს მორიგი შავი პარასკევი დაუდგა. ატლანტიკის ორივე მხარეს, განსაკუთრებით – ამერიკაში, აქციათა გაყიდვის საბაზს არავინ ეძებდა და პროგნოზების კეთებასაც არავინ ცდილობდა. უბრალოდ, ყველა ყველაფერს ყიდდა. ბირჟებზე შექმნილი მდგომარეობა ორი სიტყვით ამგვარად გამოითქმებოდა – "პანიკა" და "ისტერიკა."

ცხადია, პანიკა გასულ კვირაზე გაცილებით უფრო ადრე დაიწყო და მისი პირველი ტალღა სწორედ აშშ-დან წამოვიდა, სადაც "ენრონის" კრახის შემდეგ ჩატარებულმა აუდიტმა არაერთი კორპორაციული დარღვევა გამოავლინა და ბანკროტად აქცია ქვეყნის ერთ-ერთი უდიდესი კავშირგაბმულობის კომპანია "უორლდკომი." მაგრამ ამერიკას მალე ძველმა კონტინენტმაც აუბა მხარი და მთავარ გმირად (ანტიგმირად) ვალებში ჩაფლული ფრანგული მედია-იმპერია "ვივენდი იუნივერსალი" იქცა. კომპანიის ხელმძღვანელის პოსტიდან ამბიციური, რისკის მოყვარული ჟან-მარი მესიეს წასვლამ და მის ნაცვლად მსოფლიოში ცნობილი მენეჯერის, ჟან-რენე ფურტუს დანიშვნამ იმედი მისცა ინვესტორებს და "ვივენდის" აქციებმა აღმასვლა დაიწყო, მაგრამ სიახლეს ხაზი გადაუსვა კომპანიის დადანაშაულებამ საბუღალტრო ჩანაწერების გაყალბებაში. შედეგად მსოფლიოში უდიდესი მედია-გიგანტის აქციები ერთი მესამედით გაუფასურდა და 80-იანი წლების მაჩვენებელს მიუახლოვდა. ეს ის პერიოდია, როცა "ვივენდი" არც ჰოლივუდის სტუდიას ფლობდა, არც კავშირგაბმულობის კომპანიას და, ძირითადად, დაკავებული იყო საყოფაცხოვრებო მომსახურებით.

გაგრძელება A4 გვერდზე


A2 ინფორმაცია | A3 პოლიტიკა | A4 ეკონომიკა | A5 უცხოეთი | A6 საზოგადოება | A7 სამართალი | A8 თვალსაზრისი

B2 სტილი | B3 რეკლამა | B4 კულტურა | B5 კულტურა | B6 სპორტი | B7 სპორტი | B8 სხვადასხვა

**თბილისი.** ქართველი მესაზღვრეები კოდორის ხეობის დატოვებას არ აპირებენ, - განაცხადა საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის პრესსამსახურის ხელმძღვანელმა შალვა ლონდარიძემ. მისი თქმით, "მესაზღვრეები რეგულარული არმიის ნაწილს არ წარმოადგენენ, ამიტომაც შეიძლება ჩაითვალოს, რომ ქართული მხარე ასრულებს საერთაშორისო ვალდებულებას კოდორის ხეობაში თავდაცვის სამინისტროს ქვედანაყოფების დაუშვებლობის შესახებ".

კოდორის ხეობის ზემო ნაწილი აფხაზეთის ერთადერთი რეგიონია, რომელზეც ოფიციალური თბილისის იურისდიქცია ვრცელდება. (პრაიმ-ნიუსი)

■ ■ ■

**თბილისი.** დაახლოებით 150 ტონა ჯართი, ძირითადად სარკინიგზო რელსები დატვირთეს თურქეთის გემზე, რომელიც ოჩამჩირის პორტში იდგა.

როგორც თვითმხილველებმა განაცხადეს, გალის რაიონიდან სარკინიგზო რელსები თურქეთში მასიურად გააქვთ. (პრაიმ-ნიუსი)

■ ■ ■

**თბილისი.** საპარლამენტო ფრაქცია „თანადგომის" წევრის გელა კვარაცხელიას ვარაუდით, რწმუნებულის ინსტიტუტის გაუქმების საკითხი პარლამენტის რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგში საერთოდ არ დადგება.

კვარაცხელიას თქმით, „აღორძინების" საკანონმდებლო ინიციატივას ის ძალები უჭერენ მხარს, ვინც ხელისუფლების დასასუსტებლად სერიოზულად ემზადება, თუმცა, ამგვარი ძალები მას პარლამენტში არ ეგულება. (მედია-ნიუსი)

■ ■ ■

**გალი.** რაიონი ამჟამად სრულ ინფორმაციულ ვაკუუმში იმყოფება. რაიონში რუსული პრესა აღარ შედის, რადგან ძალიან ძვირია და მყიდველი არ ჰყავს. ასევე იშვიათად აღწევს „ნუჟნაია გაზეტა", რომელიც აფხაზეთში ოპოზიციურ გაზეთად ითვლება. ამ გაზეთს გალის რაიონში ერთი შტატიანი კორესპონდენტი ჰყავს, პერიოდულად ობიექტურად აშუქებს იქ მიმდინარე პროცესებს.

საქტელერადიოკორპორაციის მაუწყებლობა, ვერ ფარავს მთლიანად გალის რაიონს, რადგან მის დიაპაზონს, როგორც წესი, რუსულ-აფხაზური არხები ფარავენ. ცოტა ხნის წინათ კერძო პირმა გალში საკაბელო ტელევიზიის გახსნა სცადა, მაგრამ „ტელევიზია" გახსნისთანავე გაიძარცვა. ამის შემდეგ აფხაზეთში საკაბელო ტელევიზიის გახსნა აღარ უცდიათ.

გალის რაიონის ქართული მოსახლეობა აფხაზური ტერორის პირობებში იქ ქართული პრესის შეტანას იშვიათად ახერხებს. (მედია-ნიუსი)

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს მთავარ სამხედრო პროკურატურაში რეფორმის სიომ დაუბერა. ეს ორგანიზაცია მიმდინარე კვირის ბოლომდე ვებ-გვერდს გახსნის.

საიტზე ქართულ და ინგლისურ ენებზე წარმოდგენილი იქნება პროკურატურის სტრუქტურა, შესაბამისი კანონმდებლობა და უწყებასთან დაკავშირებული ახალი ინფორმაციები.

მთავარი სამხედრო პროკურატურის მიერ მომზადებული გვერდი ჯერჯერობით მხოლოდ ქართული და ინგლისურენოვანი იქნება. (პრაიმ-ნიუსი)

■ ■ ■

**რუსთავი.** ქვემო ქართლის „არქმშენინსპექციის" ხელმძღვანელის გივი მაზმიშვილის ცნობით, წითელი ხიდის მიმდებარე ტერიტორიაზე თურქული ფირმა „ზაფერ"-ის მიერ წამოწყებული მშენებლობა შეჩერებულია.

სამშენებლო კომპანიამ საზღვრისპირა სოფელთან მშენებლობა საზღვრის დაცვის დეპარტამენტის ნებართვის გარეშე დაიწყო. თურქულმა ფირმამ ნებაყოფლობით გადაიხადა ჯარიმა 2.000 ლარის ოდენობით და მანამდე შეაჩერა მშენებლობა, ვიდრე მშენებლობის განახლებისათვის ყველა საჭირო დოკუმენტს არ მოაწესრიგებს. (მედია-ნიუსი)

■ ■ ■

**თბილისი.** არასრულწლოვანთა სასჯელაღსრულების დაწესებულებაში სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II აკურთხა ადგილი, სადაც ეკლესია უნდა აშენდეს.

ეკლესიის მშენებლობა დაწესებულების ტერიტორიაზე უახლოეს მომავალში დაიწყება. კათალიკოს-პატრიარქმა არასრულწლოვან მსჯავრდებულებს ტანსაცმელი და საკვები პროდუქტები მიუტანა.

გასულ კვირას კი არასრულწლოვანი მსჯავრდებულები მონათლეს. (მედია-ნიუსი)

■ ■ ■

**მარნეული.** შს რაიგანყოფილების თანამშრომლებმა დააკავეს მარნეულის რაიონის სოფელ სადახლოს მკვიდრი, 36 წლის ენვერ ხუდიევი, რომელმაც მარნეულის საავადმყოფოს გინეკოლოგიური კაბინეტიდან სამედიცინო აპარატები, მედიკამენტები და 89 ლარი მოიპარა. ნივთმტკიცება ამოღებულია. (მედია-ნიუსი)

■ ■ ■

**თბილისი.** სახელმწიფო მინისტრმა ავთანდილ ჯორბენაძემ, გერმანიის ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების სამინისტროს აზიის, ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის კურატორ რაინერ გიორდელერთან დღეს ტრადიციული შეხვედრა გამართა, სადაც მხარეებმა გერმანიის მთავრობის მხრიდან საქართველოში 2003-2004 წლების ეკონომიკური პროექტების განხორციელებაზე იმსჯელეს.

საქართველო გერმანიისათვის ერთ-ერთი პრიორიტეტული ქვეყანაა და ალბათ, ამიტომაა, რომ ორ ქვეყანას შორის ათწლიანი თანამშრომლობის მანძილზე გერმანიის დახმარებამ უკვე 200 მილიონი ევრო შეადგინა.

ორწლიანი თანამშრომლობის პროგრამაზე ხელმოწერის შემდეგაც ხელშეკრულება რატიფიცირებას საქართველოს პარლამენტში გაივლის. პროგრამა გულისხმობს როგორც ენერგეტიკისა და სოციალური სფეროს, ასევე ბავშვთა და ბუნების დაცვის დაფინანსებას. (მედია-ნიუსი)

■ ■ ■

**მოსკოვი.** საქართველოს თავდაცვის ყოფილ მინისტრს, ამჟამად მოსკოვში მცხოვრებ თენგიზ კიტოვანს მიაჩნია, რომ ქართული არმიის დღევანდელი ბრძოლისუნარიანობა სერიოზული ფიქრის საფუძველს იძლევა.

იგი მთლიანად გამორიცხავს იმის შესაძლებლობას, რომ არმიიდან წასვლის შესახებ ოფიცრების გადაწყვეტილების უკან შეიძლება პოლიტიკური ძალები იდგენ და მიაჩნია, რომ სამხედროთა ასეთი საქციელი განპირობებულია აუტანელი პირობებით და ცუდი უზრუნველყოფით "ასეთი არმია ორი საათის შემდეგ გაჩერდება", მიაჩნია თავდაცვის ექსმინისტრს. იგი ამტკიცებს, რომ ელიტურ ქვედანაყოფებში შექმნილმა სიტუაციამ შეიძლება რეალურად კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენოს საქართველოში 64 მილიონ დოლარიანი "წვრთნისა და აღჭურვის" ამერიკული პროგრამის განხორციელება. (პრაიმ-ნიუსი)

■ ■ ■

**კოდორი.** გაეროს მისიის და რუსი მშვიდობისმყოფელების ერთობლივმა პატრულს კოდორის ხეობაში განხორციელებული მორიგი პატრულირებისას საქართველოს თავდაცვის სამინისტროს რეგულარული ნაწილები არ დაუფიქსირებია და, ამასთან, მესაზღვრეთა პირადი შემადგენლობის გარკვეული შემცირებაც შენიშნა.

ერთობლივ პატრულს თან ახლდა მთავარი სამხედრო დამკვირვებელი, გენერალ-მაიორი კაზი აშაგი.

მონიტორინგი ჩატარდა სოფლებში - ჩხალთა, აჟარა, საკე და ომარიშარა.

კოდორის ხეობის ქვედა ნაწილში დაფიქსირდა აფხაზთა ქვედანაყოფები, რომლებიც ჩვეულებრივ რეჟიმში აგრძელებენ სამსახურს.

მთლიანობაში ერთობლივი პატრული კოდორის ხეობაში არსებულ სიტუაციას აფასებს, როგორც მშვიდს. (პრაიმ-ნიუსი)

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს მწვანეთა პარტიამ გადაწყვეტილება მიიღო, გავიდეს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ინიციატივით შექმნილი პარტიათა კოალიციიდან.

ასეთი გადაწყვეტილების მიზეზი "მწვანეების" მიმართ უპატივცემულო დამოკიდებულება გახდა. კერძოდ, კოალიციაში მყოფი პარტიების მხრიდან მწვანეების სრული იგნორირება.(პრაიმ-ნიუსი)

■ ■ ■

**ფოთი.** ფოთის თეატრის მსახიობებმა გუშინ ღამით შიმშილობა მას შემდეგ შეწყვიტეს, რაც კულტურის სამინისტროსა და ფოთის ადგილობრივი ხელისუფლება მათ მომავალში ახალი თეატრის შენობის აშენებას დაჰპირდა.

გუშინ მრევლთან და მოშიმშილე მსახიობებთან შესახვედრად ფოთში კულტურის მინისტრი სესილი გოგიბერიძე, თეატრის მოღვაწეთა კავშირის თავმჯდომარე გიგა ლორთქიფანიძე, პარლამენტარი გურამ შარაძე და მამა ზენონი ჩავიდნენ.

როგორც გიგა ლორთქიფანიძემ „მედია-ნიუსთან" საუბრისას განაცხადა, თეატრის დასი ძველ შენობაში მანამდე იმუშავებს, ვიდრე თეატრი ახალ შენობაში არ გადავა. მისივე თქმით, თეატრში არც სამლოცველო ოთახი გაიხსნება. ეპარქიის მრევლის ამ მოთხოვნას მსახიობები ეწინააღმდეგებიან.

როგორც გიგა ლორთქიფანიძე ამბობს, ფოთის ეპარქიისა და თეატრის თანამშრომლებს შორის მოლაპარაკებები მშვიდობიანად დასრულდა. ორივე მხარის გადაწყვეტილებით, თეატრის ეზოში ჯვარი დაიდგმება. მოშიმშილე მსახიობებმა თეატრის შენობა ღამის ორ საათზე დატოვეს.(მედია-ნიუსი)

■ ■ ■

**ქარელი.** ქარელის რაიონის სოფელ დირბის ღვთისმშობლის სახელობის ეკლესიაში XIV საუკუნის უნიკალური ფრესკა აღმოაჩინეს. ფრესკა, რომელზეც ღვთისმშობელი და მაცხოვრის შობაა აღბეჭდილი, ეკლესიის მოძღვარმა მამა იოანემ ბათქაშის ქვეშ შეამჩნია. ახალი ფრესკა, სავარაუდოდ, შვიდი საუკუნის წინათ უცნობი მხატვრის მიერ არის შესრულებული.

ხელოვნებათმცოდნეების თქმით, დირბის ეკლესიის მხატვრობა ისეთივე მაღალი დონისაა, როგორც ატენის, სიონის და ყინწვისის.

დირბის ღვთისმშობლის ეკლესიაში წირვა-ლოცვა 80-წლიანი ინტერვალის შემდეგ აღდგა. ეკლესია ბაზილიკის ტიპისაა და მის აღმოსავლეთ ფასადზე რელიეფები და რამდენიმე ასომთავრული წარწერაა. როგორც ისტორიკოსები აცხადებენ, დირბის ეკლესია ბოლომდე შესწავლილი არ არის.

■ ■ ■

**თბილისი.** მსოფლიო ტელე-კინო ინსტიტუტების საერთაშორისო ასოციაცია „სილექტმა" ქართულ კინოსკოლას საწევროს გადასახადის დავალიანების გადახდა მოსთხოვა და ბოლო ვადად 23 ივლისი დაუწესა.

შოთა რუსთაველის სახელობის კინოსა და თეატრის ინსტიტუტის პრორექტორისა და „სილექტის" საქართველოს ბიუროს თავმჯდომარის გოგი დოლიძის თქმით, საწევროს დავალიანება 4.500 ევროს შეადგენს, რაც კინოსკოლას ბოლო ოთხი წლის მანძილზე დაუგროვდა.

მისივე განცხადებით, თუ დავალიანებას არ გადაიხდიან, ქართული კინოსკოლა „სილექტის" რიგებიდან გაირიცხება. ასოციაციის წევრობა კი, როგორც გოგი დოლიძე ამბობს, ქართულ კინოსკოლას სხვადასხვა ფესტივალებში მონაწილეობის საშუალებას აძლევს.

შოთა რუსთაველის სახელობის კინოსა და თეატრის ინსტიტუტის პრორექტორის თქმით, მათ დახმარებისთვის კულტურის სამინისტროს არაერთხელ მიმართეს, მაგრამ თხოვნა სამინისტრომ უპასუხოდ დატოვა. (მედია-ნიუსი)

■ ■ ■

**გალი.** გალის რაიონის დაბალ ზონაში ვლადიმერ ბუთბას (ბუთბა გალის რაიონში 60-კაციან ტერორისტულ დაჯგუფებას ხელმძღვანელობს) მიერ დაკავებული პირებიდან ყველა გაათავისუფლეს, გ. პერტაიას, კ. ოკუჯავას და გ. ბელქანიას გარდა. აფხაზი სამართალდამცავების განმარტებით, ბელქანიას და პერტაიას უახლოეს დღეებში გაათავისუფლებენ, რასაც ვერ ვიტყვით ოკუჯავაზე, რომელიც ყაჩაღობისთვის იძებნებოდა. სამართალდამცავების დაპირების თანახმად, ქართულ მხარეს სოფელ განმუხურის გამგებლის, ჯ. მიშველიას კუთვნილ ავტომანქანასაც გადასცემენ. (24 საათი)

■ ■ ■

**თბილისი.** გუშინ შს მინისტრმა კობა ნარჩემაშვილმა თანამდებობიდან გაათავისუფლა სამინისტროს საფინანსო-სამეურნეო დეპარტამენტის უფროსი ვასილ დავითაია. დეპარტამენტი სამოქალაქო სტრუქტურად გადაკეთდა და მის უფროსად ვალერი ნარსია დაინიშნა. კობა ნარჩემაშვილმა ამით კახა თარგამაძის ძლიერი კადრი გავლენიან თანამდებობას მოაშორა. გახდება თუ არა ეს ნაბიჯი შს სამინისტროს სისტემაში ძირეული საკადრო ცვლილებების დასაწყისი, მომავალი გვიჩვენებს. (24 საათი)

# ზუგდიდი თბილისისა და ქუთაისის ბედს გაიზიარებს

თამარ მჭედლიშვილი

### ჰყავს თუ არა ზუგდიდს მერი

*ოთხშაბათს ზუგდიდის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს თბილისში საკმაოდ სერიოზული პრობლემები შეექმნება. იგი ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ სხდომაზე გამოიძახა. როლანდ გვათუასაგან "ცესკო" ახსნა-განმარტებებს ელის. მან უნდა ახსნას, ზუგდიდის არჩევნების დროს, სად "აორთქლდა" ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრის, შალვა ბებოშვილის საჩივრები. თუ არ გავითვალისწინებთ ორიოდე საჩივარს, ზუგდიდიდან თბილისში განსახილველად მხოლოდ საუბნო საარჩევნო კომისიების მიერ წარმოდგენილი ოქმები ჩამოვიდა. შალვა ბებოშვილის მიერ შედგენილი საჩივრები კი არსად ჩანს.*

მოკლედ, ზუგდიდმა, არჩევნების თვალსაზრისით, სხვა ქალაქების ბედი გაიზიარა. თბილისისა და ქუთაისის დარად, კონკურენტი პარტიები თუ მერობის კანდიდატები აქაც ტოტალურ გაყალბებებზე საუბრობენ. ზუგდიდის საოლქო საარჩევნო კომისიის მისამართით გამოთქმული მთავარი ბრალდება კი ის არის, რომ კომისიამ შეგნებულად "გაბერა" ამომრჩეველთა რიცხვი და ოფიციალურად დააფიქსირა, რომ გასულ კვირას არჩევნებში ამომრჩეველთა ერთი მესამედი მივიდა..

არჩევნების დღეს "24 საათმა" ზუგდიდის თითქმის ყველა საარჩევნო უბანი შემოიარა. ჩვენი მონაცემებით, დღის 4-5 საათისთვის ამომრჩეველთა მხოლოდ 20-25 პროცენტი იყო მისული (ამ მონაცემებს თავად საუბნო საარჩევნო კომისიების თავმჯდომარეები გვაწვდიდნენ). ამას გარდა, როგორც შალვა ბებოშვილი ამტკიცებს, დატრიალდა "კარუსელები", ლტოლვილებს არ აძლევდნენ კენჭისყრაში მონაწილეობის უფლებას. ამასთან, ერთი და იმავე ქუჩის მცხოვრებლები, ერთდროულად, ორ საუბნო კომისიაში იყვნენ რეგისტრირებულნი. ხმები კი იმ კანდიდატის სასარგებლოდ გადანაწილდა, რომელიც აგრერიგად სურდა ადგილობრივ ხელისუფლებას. საოლქოს მონაცემებით, ზუგდიდის მერი ტარიელ ქანთარია გახდა.



ლევან ხერხეულიძის ფოტო

*ილია გეგენავა კენჭისყრას ოდნავ გამოღებული კარიდან ადევნებს თვალყურს*

გუშინ ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ, ხანგრძლივი დისკუსიის შემდეგ, შეძლო ზუგდიდის საკითხის დღის წესრიგში შეტანა. საქმე ის არის, რომ კომისიის ორმა წევრმა – გია ზესაშვილმა და ილია გეგენავამ - ეჭვი შეიტანა შალვა ბებოშვილის სიტყვების სისწორეში. ბოლოს საკითხი კენჭისყრაზე დადგა. გია ზესაშვილმა ხმა წინააღმდეგ მისცა, ხოლო ილია გეგენავამ დემონსტრაციულად დატოვა დარბაზი. თუმცა, მაინც "იეშმაკა" და კენჭისყრას ოდნავ გამოღებული კარიდან ადევნებდა თვალყურს.

### თბილისი, ქუთაისი, ზუგდიდი... სად უფრო გაყალბდა არჩევნები?

დიდია ალბათობა, ზუგდიდის არჩევნები პოლიტიკურ პროცესებში ისეთივე საჯილდაო ქვად იქცეს, როგორც თბილისის ან ქუთაისის არჩევნებია. საპარლამენტო დროებითი კომისია უკვე შეუდგა არჩევნების პროცესში გამოვლენილი დარღვევების შესწავლას. "24 საათი" უკვე წერდა, რომ კომისია, სხვა საქმეებთან ერთად, უახლოეს პერიოდში ქუთაისის არჩევნების მსვლელობის კანონიერებას შეისწავლის. როგორც ქუთაისის მერობის ერთ-ერთმა ყოფილმა კანდიდატმა, პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტის თავმჯდომარემ დემურ გიორხელიძემ განაცხადა, **"ის საზიზღრობა ქუთაისში მოხდა ათი ათასობით ადამიანის თვალწინ, ხელისუფლების თვალწინ, მათივე წაყრუებით და მათივე ფარული ხელშეწყობით. ამის დამამტკიცებელი უამრავი ფაქტობრივი მასალა არსებობს. ვფიქრობ, დროებითი საპარლამენტო კომისიის ღირსების საქმეა, არამარტო შეაფასოს, არამედ დამნაშავეები ციხეში გაუშვას, სადაც არ უნდა იყვნენ ახლა ისინი – თბილისში, ქუთაისში, ზუგდიდში, ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში... თუ ჩვენ წავუყრუებთ 2 ივნისის არჩევნებს ჩვენივე გულგრილობითა თუ ჩუმი თანხმობით, მოვამზადებთ ნიადაგს ხელისუფლებაში ავანტურისტული ძალების მოსვლისათვის, რადგან ამ გზით მხოლოდ ავანტურისტები დადიან. ის პოლიტიკური ძალები, რომლებმაც ამ სპექტაკლში მიიღეს მონაწილეობა, კლასიკური გამყალბებლები არიან. აქ უკვე არჩევანის გაკეთების დროა – ან გამყალბებლის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა, ან წაყრუება და ამით ჩვენი ხვალინდელი დღის გაწირვა. რაც შეეხება თბილისს, მოურიდებლად, პირდაპირ ვიტყვი – თუ თბილისელები საკუთარ თავს გაიხდიან სათამაშოდ ისე, როგორც დღემდე ათამაშებდნენ მათ სხვადასხვა პოლიტიკური ძალები, მაშინ უნდა იცოდნენ, რომ მალე მდგომარეობა კიდევ უფრო რთული იქნება."**

### ამასობაში ცეესკო...

ცენტრალური საარჩევნო კომისია არც თბილისის არჩევნების შედეგების დამტკიცებას ჩქარობს და არც საარჩევნო ბიულეტენების გადათვლის დაწყებას აპირებს. ამას თავისი "ობიექტური მიზეზები" აქვს – უზენაეს სასამართლოს ჯერაც არ დაუსახელებია "სახალხოელებისა" და "ეროვნულ-დემოკრატების" მიერ შეტანილი გაერთიანებული საკასაციო სარჩელის განხილვის ვადა. არც სახელმწიფო ხაზინა გამოთქვამს მზადყოფნას, რათა ბიულეტენების გადასათვლელად 78 ათასი ლარი გამოყოს. ხაზინა ფინანსთა სამინისტროს განაჩენს ელოდება, ქვეყნის ფინანსისტები კი დუმან; მით უფრო, რომ ყველამ შესანიშნავად უწყის - ფული არ იქნება.

# ლოშჩინინის ულტიმატუმი აბაშიძემ გაიზიარა

## გაიზიარებს თუ არა მას თბილისი

პირველი გვერდიდან

და სათანადო აღჭურვა აუცილებელი იქნება. რუსი დიპლომატები ამ თემაზე საუბრისას ამიერკავკასიაში რუსეთისადმი კეთილგანწყობილი სომხეთის მზადყოფნასა და საქართველოში რუსეთის სამხედრო ყოფნისადმი ერთადერთი ლოიალური ლიდერის, ასლან აბაშიძის კეთილგონიერებას აღნიშნავენ.

საქართველოდან დაბრუნებული ლოშჩინინი ხაზს უსვამს თავისი ქართველი კოლეგის მზადყოფნასაც, კატეგორიული პოზიცია დაიკავოს აჭარაში რუსეთის სამხედრო ყოფნის შენარჩუნების თაობაზე. საერთოდ კი, რუსული დიპლომატიის მოთხოვნაა, საქართველოში რუსეთის ბაზების, ასე, 15 წლით მაინც დაცემენტება, რაც პრინციპულად აფერხებს ახალ ჩარჩო-ხელშეკრულებაზე მომუშავე რუსი და ქართველი ექსპერტების პოზიციების დაახლოებას. ამ პროცესში არავითარი წინსვლა არ შეიმჩნევა და საქართველო-რუსეთის ახალი ხელშეკრულების მომზადება, პრაქტიკულად, ჩიხშია. სწორედ ამ რეალობამ წარმოშვა ბოლო დღეებში შევარდნაძისა და პუტინის გადაუდებელი შეხვედრის აუცილებლობაც. გასულ ოთხშაბათს პრეზიდენტები სატელეფონო საუბარში ამ თემასაც შეეხნენ. მოსკოვი ანგარიშს უწევს, რომ ჩარჩო-ხელშეკრულების მეტად მნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტა კვლავ ექსპერტთა და მინისტრთა პრეროგატივად თუ დარჩა, შემოდგომამდე საქართველოში მოვლენები, შეიძლება, კრემლისათვის არასასურველი სცენარით განვითარდეს. ამის დაშვება დღეს პუტინის ადმინისტრაციას არ შეუძლია.

"24 საათთან" საუბარში რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ერთ-ერთი დიპლომატი ამბობს, რომ **"პრეზიდენტთა შეხვედრა, რუსეთ-საქართველოს ახალი ჩარჩო-ხელშეკრულების სადავო საკითხების შეთანხმების გარდა, გაარკვევდა, რამდენად მომზადებულია დღეს თბილისი, კონფრონტაციიდან და დაპირისპირებიდან რეალურ ეკონომიკურ პროექტებზე გადავიდეს და ომის დროს დანგრეული აფხაზეთის ინფრასტრუქტურის მშენებლობაზე იფიქროს"**. ამას კი, დიპლომატის აზრით, **"რკინიგზის გახსნა და იქ სტაბილური გარემოს შენარჩუნება სჭირდება"**. როგორც ჩანს, სანამ შევარდნაძე მოსკოვში პუტინს ეახლება, ვიღაცამ თბილისში უნდა უპასუხოს შეკითხვას, ხელს აძლევს თუ არა თბილისს, აფხაზეთში საკუთარი იურისდიქციის აღდგენამდე, იქ სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენა.

ბათუმში რუსეთის პრეზიდენტის სპეცწარმომადგენლის ვიზიტი მეტად ნაყოფიერი იყო და თავისი ქართველი კოლეგით კმაყოფილი ლოშჩინინი აცხადებს: **"რუსეთ-აფხაზეთ-საქართველოს მშვიდობიანი თანაარსებობის გზაზე გადადგმული პირველი ნაბიჯი იქნებოდა აფხაზეთის სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენა, ენგურჰესის მოდერნიზება, ახალი თუ უკვე არსებული გამჭოლი კომუნიკაციების ამუშავება"**. ამიტომაც აბაშიძე და ლოშჩინინი თბილისსა და სოხუმს შორის დაკარგული ნდობის აღდგენას ითხოვენ. იქნებ, თბილისსა და ბათუმს შორისაც?

რუსული დიპლომატია, საქართველო–რუსეთის ახალი ხელშეკრულების გაფორმების პროცესში, ცდილობს, გაიტანოს სამხედრო ბლოკის ყველაზე პრინციპული პუნქტები კონფლიქტის ზონაში დსთ-ს სამშვიდობო კონტიგენტის დარჩენის თაობაზე, რაც ლტოლვილების დაბრუნებისათვის "უცეცხლო ზონის" გარანტია იქნებოდა. ძნელია, ქართული მხარე ასეთ ფორმულირებას არ დათანხმდეს, თუმცა, ჩვენი დიპლომატები მოსკოვში საბოლოო წერტილს მაინც ვერ სვამენ და 24 ივლისს ირაკლი მენაღარიშვილის ჩამოსვლას ელოდებიან. ცხადია, საბოლოო წერტილს ვერც ქართველი მინისტრი დასვამს და დღის წესრიგში ლოგიკურად დადგება მოსკოვში ორი პრეზიდენტის გადაუდებელი შეხვედრა.

მოსკოვში ბევრი ამტკიცებს, რომ გარკვეული ძალები შეეცდებიან, ნებისმიერი საშუალებით, ხელი შეუშალონ პუტინ-შევარდნაძის შეხვედრას. თუ ასე მოხდება, იგივე წყაროები ამტკიცებენ, რომ მოსკოვში მაშინ აბაშიძე ჩამოვა. აჭარის ლიდერის რუსეთის პრეზიდენტის ადმინისტრაციის რომელიმე მაღალ ჩინთან შეხვედრის ფაქტი კი შევარდნაძის რეჟიმის არსებობის პერსპექტივას კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენებს. ამ ვერსიის მიმდევრები არ გამორიცხავენ, რომ შევარდნაძე, ამ სცენარის შემთხვევაში, ყოველნაირად ეცდება, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის გადასარჩენად, საერთაშორისო ორგანიზაციებს მიმართოს დახმარებისათვის. საინტერესოა, რომ რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს სტატს-მდივანი ლოშჩინინი ამ ვარიანტის ამოქმედების დროსაც მთავარ გმირად დარჩება, როგორც საკუთარი პრეზიდენტის წარმომადგენელი და როგორც არძინბას რეჟიმისათვისაც უაღრესად მისაღები ფიგურა. წარიმართება თუ არა ამ შემთხვევაში მოვლენები საქართველოს სასარგებლოდ, იმაზე იქნება დამოკიდებული, დათანხმდება თუ არა თბილისი აფხაზეთთან, ანუ რუსეთთან საერთო-ეკონომიკური პროექტების ამოქმედებას - პირველ რიგში, სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენას და შემდეგ ენგურჰესის რეკონსტრუქციას, რის ინვესტირებასაც რუსეთი აპირებს.

# საპნის ოპერა აფხაზეთის თემაზე

პირველი გვერდიდან

**"ბატონი ასლანი "ფოკუზნიკი" არ არის! შევარდნაძის სიცოცხლეში ვერავინ შეძლებს აფხაზეთის კონფლიქტის დარეგულირებას. ასე რომ მოხდეს, შევარდნაძე, როგორც პოლიტიკოსი, საბოლოოდ დასამარდება."**

მაინც რატომ სჭირდებოდა შევარდნაძეს აბაშიძე ამ პოსტზე? გელბახიანის აზრით, მხოლოდ და მხოლოდ დისკრედიტაციისათვის. ვალერი გელბახიანი არ იზიარებს იმ მოსაზრებას, რომ შევარდნაძემ აბაშიძე არშემდგარი ხავერდოვანი რევოლუციის დროს გამოჩენილი ერთგულებისთვის დააჯილდოვა. **"შევარდნაძე არ არის იმ დონის პოლიტიკოსი, ასეთ საჩუქრებს რომ არიგებდეს."**

პოლიტოლოგი ზურაბ ჭიაბერაშვილი (და არამარტო ის) აბაშიძის მოსკოვში გამწესებას სწორედ ხავერდოვან რევოლუციას უკავშირებს. **"ჟვანიას გადადგომის შემდეგ, როცა პრეზიდენტი იძულებული გახდა, მთავრობა დაეთხოვა, შევარდნაძემ სერიოზული საყრდენი დაკარგა და შეეცადა, პარლამენტში ახალი უმრავლესობა ჩამოეყალიბებინა. ამ შემთხვევაში იგი აპირებდა მისი ერთგული ხალხისა და "აღორძინების" გაერთიანებას. აბაშიძისა და შევარდნაძის გარიგება ასეთი იყო: სანაცვლოდ მათ უნდა მოეძებნათ სასურველი კანდიდატურა პარლამენტის თავმჯდომარის პოსტზე. ეს გეგმა ვერ შედგა, ვინაიდან პარლამენტის თავმჯდომარის ადგილი ვერც "აღორძინების" წარმომადგენელმა გოგიტიძემ დაიკავა და ვერც შევარდნაძის კაცმა ლორთქიფანიძემ. პრეზიდენტს აბაშიძე მოსკოვში აფხაზეთის პრობლემის მოსაგვარებლად არ გაუგზავნია. ოქტომბერ-ნოემბრის მოვლენების დროს, როცა ხალხი, მთავრობასთან ერთად, შევარდნაძის გადადგომასაც მოითხოვდა, პრეზიდენტს აინტერესებდა, რა სიტუაცია იყო მოსკოვში, ანუ აპირებდა თუ არა რუსეთი სერიოზულ ზეწოლას შევარდნაძეზე. რუსეთთან დაახლოებულ ასლან აბაშიძეს სიტუაციის კონტროლი ევალებოდა... დღეისათვის გაურკვეველია აბაშიძის, როგორც პრეზიდენტის პირადი წარმომადგენლის, მანდატი და, რაც მთავარია, საქართველოს ხელისუფლების პოზიცია აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარებასთან დაკავშირებით."**

აფხაზეთის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე თამაზ ნადარეიშვილი გაკვირვებულია, რატომ გამოიჩინა ასლან აბაშიძემ ამგვარი ინიციატივა. **"აბაშიძემ თავად გამოთქვა სურვილი, მოსკოვში წასულიყო აფხაზეთის კონფლიქტის მოსაგვარებლად. შევარდნაძე, უბრალოდ, დაეთანხმა მის წინადადებას."**

ნადარეიშვილი აცხადებს, რომ იგი ყოველნაირად ცდილობდა, აბაშიძისთვის სამშვიდობო მოლაპარაკებებში ხელი არ შეეშალა და ამ ხნის განმავლობაში პარტიზანული მოძრაობაც კი შეაჩერა. **"ასე რომ, აბაშიძე ჩვენ ტყუილად ნურაფერს გადმოგვაბრალებს."**

თამაზ ნადარეიშვილის აზრით, აბაშიძის მოსაზრება აფხაზეთის ლეგიტიმური სტრუქტურების გაუქმების თაობაზე, რუსეთიდან მოდის. **"როცა წინა წლებში რუსებთან მოლაპარაკებებს ვცდილობდი, მათ ღიად, აშკარად შემომთავაზეს ამ სტრუქტურების გაუქმება..."**

ასლან აბაშიძის ფუნქციაში დღეს ვერავინ ერკვევა. საგანგებო საქმეთა მინისტრი მალხაზ კაკაბაძე ამ თემაზე საუბარს თავს არიდებს, **"ეს ჩემი კომპეტენცია არ არის"**, - განუცხადა მან "24 საათს". არადა, დღესავით ნათელია, რომ, **ლოშჩინინისგან** განსხვავებით, აბაშიძე "დაუსაქმებელია".

რადგან ლოშინინი ვახსენეთ, უპრიანი იქნებოდა, გვეთქვა, რომ ბოლო ხანებში გახშირდა მითქმა-მოთქმა აბაშიძისა და ლოშჩინინის საიდუმლო შეხვედრებზე. **"ეს სისულელეა, გენაცვალე"**, - თავაზიანად ამიხსნა ვალერი გელბახიანმა. რაც შეეხება თამაზ ნადარეიშვილს, იგი მთელი კატეგორიულობით აცხადებს: **"აბაშიძის და ლოშჩინინის შეხვედრა სამჯერ გაიმართა. მათ ისაუბრეს საქართველოს და აფხაზეთს შორის ეკონომიური ურთიერთობების აღდგენაზე, ასევე რკინიგზის გახსნაზე, რაც რუსეთს აფხაზეთის ფეხზე დასაყენებლად ძალიან სჭირდება. მათ ასევე ისაუბრეს ლტოლვილთა დაბრუნებაზე, მაგრამ გასარკვევია, სად აბრუნებენ ლტოლვილებს – დამოუკიდებელ აფხაზეთში თუ აფხაზეთში, როგორც საქართველოს შემადგენელ ნაწილში? აბაშიძე-ლოშჩინინის მოლაპარაკებები უფრო სეპარატისტული აფხაზეთის სახელმწიფოს გაძლიერებისკენ არის მიმართული. როცა აბაშიძე-ლოშჩინინის საიდუმლო შეხვედრებზე ვსაუბრობთ, უნდა განვმარტოთ, რომ ლოშჩინინი ამ მოლაპარაკებებში პუტინის ნებას გამოხატავს. რაც შეეხება აბაშიძეს, არა მგონია, რომ შეხვედრებს თავის პრეზიდენტს უთანხმებდეს. ამას თუნდაც გუშინდელ ბრიფინგზე შევარდნაძის გაღიზიანებული ტონი გვაფიქრებინებს."**

რას უნდა ველოდოთ უახლოეს პერიოდში? მიუხედავად შენიშვნებისა, შეუნარჩუნებს თუ არა შევარდნაძე აბაშიძეს უფლებამოსილებას, თუ მის გაურკვეველ პოსტს სხვას გადაულოცავს და მშვიდად იტყვის, რომ აჭარის ლიდერის მცდელობა უშედეგო აღმოჩნდა და სამშვიდობო მოლაპარაკებებს მხოლოდ მენაღარაშვილისა და კაკაბაძის მონაწილეობით განაგრძობს?

როგორი გადაწყვეტილებაც უნდა მიიღოს პრეზიდენტმა, წინასწარვე შეიძლება ითქვას, რომ მას აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარებასთან არანაირი კავშირი არ ექნება. ვინც უნდა დაენიშნა შევარდნაძეს აბაშიძის ადგილას, ყველას ასეთი ბედი ელოდა, ანუ აბაშიძის პოსტი შევარდნაძეს "რაღაცისთვის", თავისი პოლიტიკის განსახორციელებლად სჭირდებოდა და არა კონფლიქტის დასარეგულირებლად. ასე რომ, საკითხი ამგვარად დგას – ვინ იქნება შემდეგი, ვისაც შევარდნაძე აფხაზეთის კონფლიქტის სახელით გამოიყენებს?

გამომცემელი: რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფარჯიაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი) , ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი), დამატებები: დედაქალაქი-დავით მაღრაძე, ლიტერატურა-მალხაზ ხარბედია, სამყარო-ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი-ნიკოლოზ რურუა, სტილი-ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა-ზაზა ფაჩუაშვილი. ფოტო: ლევან ყიფიანი (რედაქტორი), ბესო გულაშვილი (მენეჯერი), დიზაინი: გიორგი კოკილაშვილი, გიორგი ხმალაძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, ირაკლი ბილაშვილი, დავით გეგეჭკორი, დიტო შალუტაშვილი, საშა შათირიშვილი, თენგიზ ქირია. სტილი: ნანა ჯოხარიძე, თამარ კვაჭანტირაძე, მზია შომახია.ჯუანშერ ტიკარაძე. რეკლამა-ზურაბ ჯაოშვილი.

# "ქობულეთური ბიურო" ბიძგს აძლევს ახალ პოლიტიკურ სკანდალებს!

პირველი გვერდიდან

ვერშესრულების ფაქტთან ერთად, ალბათ, იმ აგრესიული და მუქარაშერეული განცხადებების გამოც გაკეთდა, რომელიც ბიუროზე აბაშიძემ კიდევ ერთხელ გაახმოვანა და რომელზეც გუშინდელ ნომერში გაზეთი "24 საათი" უკვე წერდა.

ქობულეთური ბიურო, თავად აბაშიძესთან შეხვედრაზე არსებული მეტად "შეხმატკბილებული სიტუაციის" მიუხედავად, იქცა ცენტრსა და რეგიონს შორის სიტუაციის გამწვავების მორიგ ბიძგად თუ საბაბად. ცალკე თემაა, ვის ინტერესებში შედის დღეს დაძაბულობის შექმნა და რატომ წამოიწევს ხოლმე ეს დაპირისპირება წინ მაინცდამაინც "წინასაარჩევნო" და "წინასარევოლუციო" პერიოდებში. მიზეზებს ჩვენ ისევ დავუბრუნდებით, ერთის თქმა კი ამთავითვე შეიძლება - უახლოეს პერიოდში წინ წამოიწევს არა მხოლოდ აფხაზეთის საკითხი, არამედ ე.წ. საბიუჯეტო ბლოკადის თემაც, რაზეც კვირას ასლან აბაშიძე უკვე არა ტელევიზიით, არამედ პარლამენტის ბიუროსთან შეხვედრის დროს საუბრობდა.

ასლან აბაშიძის სტუმრობის გარდა, საქართველოს პარლამენტის ბიუროს გასვლით სხდომაზე პრემიერ-მინისტრის ინსტიტუტის შემოღებაზე საუბარმაც ძალზე საინტერესო გამოხმაურება ჰპოვა საქართველოს პირველი პირის მხრიდან. ჩვენ უკვე ვწერდით, რომ ბიურო, ფაქტობრივად, ერთხმად (განახლებულ "მოქალაქეებზე" თუ არაფერს ვიტყვით) გამოვიდა მინისტრთა კაბინეტის იმ პროექტის განხილვის წინააღმდეგ, რომელიც გასულ წელს პრეზიდენტმა უკვე შემოიტანა და საქართველოს პარლამენტმა ერთხელ უკვე ჩააგდო.

მიუხედავად იმისა, რომ თავის დროზე ამ პროექტის ჩაგდების ძირითადი მიზეზი ზურაბ ჟვანიას კანდიდატურა გახლდათ, დღესაც, ბიუროზე გამოკვეთილი პოზიციების მიხედვით, არც "ახლები" და არც "მრეწველები", რომელთა ხმები საქართველოს პრეზიდენტს მსგავსი საკონსტიტუციო ცვლილებების გასატანად აუცილებლად სჭირდება, ამ ძველი ვარიანტის მხარდაჭერას არ აპირებენ. რა თქმა უნდა, ეს არ ნიშნავს, რომ პარლამენტარები "მრეწველების" ვარიანტს დაუჭერენ მხარს, რაც ბიუროს სხდომაზე ასევე გამოიკვეთა. თუმცა, ის ფაქტი, რომ ბიურომ გადაწყვიტა პარლამენტის შიგნით შეიქმნას ინტერფრაქციული ჯგუფი და არა პრეზიდენტთან, როგორც ამას რჩეულიშვილი მოითხოვდა, გარკვეულ ტენდენციაზე მიანიშნებს.


შესვენებაზე
ბესო გულაშვილის ფოტო

სწორედ ამ ტენდენციის პასუხი გახლდათ საქართველოს პრეზიდენტის გუშინდელი განცხადება, რომელმაც "ბიუროს წევრების" გონზე მოსვლაც ახსენა და, სხვათა შორის, ისიც განაცხადა, რომ იგი მხოლოდ თავის ვარიანტს დაუჭერს მხარს, სხვა დანარჩენის მიმართ კი "საკუთარ უფლებებს გამოიყენებს".

"საკუთარ უფლებებში" ქვეყნის პირველი პირი ვეტოს უფლებას გულისხმობდა. პრეზიდენტის ასეთი პირდაპირი და რადიკალური განცხადება მაშინ, როცა "მრეწველებთან" კონსულტაციებში აღიარებდა, რომ მისი ვარიანტი არ არის ერთადერთი და შეუცვლელი, ქობულეთურ ბიუროზე დაფიქსირებული განწყობის ბრალი უნდა გახლდეთ. ამან შევარდნაძეს დაანახა, რომ ამ საკითხში პარლამენტმა მართლაც შეიძლება მიაღწიოს "არაპრეზიდენტისეული" უმრავლესობის დაფიქსირებას.

უფრო "მოკრძალებული" გახლდათ ბიუროს პოზიცია გუბერნატორების ინსტიტუტის გაუქმების სკანდალურ თემასთან დაკავშირებით - აქ გადამწყვეტი როლი მაინც საქართველოს პრეზიდენტის რადიკალურად უარყოფითმა პოზიციამ ითამაშა. ბიურომ გადაწყვიტა, რომ ფრაქციების თავმჯდომარეები და თავად პარლამენტის თავმჯდომარეც შევარდნაძეს შეხვდნენ, ამ საკითხზე მოეთათბირონ და პარლამენტის ის რიგგარეშე სხდომა, რომლის დღის წესრიგშიც ეს თემაა შეტანილი, შემდეგ დანიშნონ. ეს შეხვედრა, წინასწარი ინფორმაციით, 26 ივლისისთვის უნდა გაიმართოს.

ბიურომ საარჩევნო კოდექსთან დაკავშირებით მუშაობის გაგრძელება ისევ დაავალა უკვე არსებულ ინტერფრაქციულ ჯგუფს, გიგი წერეთლის ხელმძღვანელობით. ამ საკითხზე მიღწეულ შეთანხმებათაგან მთავარი გახლდათ საარჩევნო დეპოზიტის საკითხი და საარჩევნო დარღვევებზე პასუხისმგებლობის გაზრდის თემა, რასაც დეტალურად კიდევ დავუბრუნდებით.

და ბოლოს, განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს საგადასახადო ცვლილებების შესახებ მთავრობის მიერ შემოტანილი პროექტი. ეს გახლავთ ცვლილებები, რომელთა პრინციპი მთავრობას "მრეწველებმა" შესთავაზეს. ეს ცვლილებები გახლავთ ის სატყუარა, რომლითაც მთავრობა "მრეწველთა" ფრაქციას უკვე კარგა ხანია, "აბამს". რეალურად განხორციელდება თუ არა ეს ცვლილებები ან აცდუნებს თუ არა მომავალში "მრეწველებს" მთავრობა, უახლოეს პერიოდში გახდება ცნობილი. მანამდე კი ეს თემაც სპეციალური საპარლამენტო ჯგუფის განხილვის საგნად იქცევა. ამ ეკონომიკური თემის გადაწყვეტაზე მნიშვნელოვნად გახლავთ დამოკიდებული საპარლამენტო ძალთა ის ბალანსი, რომელიც ბოლო პერიოდში მეტისმეტად მერყევი ხასიათისაა.

# მწერლის ბედი საქართველოში

## ზოგს - მანქანა, ზოგს - შუბლში ტყვია


"გუშინდელი დღესავით მახსოვს, ყოველდღე როგორ ქრებოდნენ სოფლის საუკეთესო ადამიანები"
საქინფორმის ფოტო

გიორგი ასანიშვილი

*ამასწინათ თამაზ წივწივაძემ საქართველოს პრეზიდენტს ახალი მანქანა სთხოვა. იმედია, შევარდნაძე რაღაც გზას გამონახავს და მწერალთა კავშირის თავმჯდომარეს არ გააწბილებს. ძვირფასი საჩუქრის მომლოდინე კალმოსანთა ამქრის თავკაცმა მანამდე პრეზიდენტს საკუთარ ოფისში უმასპინძლა და შევარდნაძის მიერვე დაწესებულ ღონისძიებაში მიაღებინა მონაწილეობა. როგორც ცნობილია, რამდენიმე დღის წინათ, პრეზიდენტის განკარგულებით, 22 ივლისი ტოტალიტარიზმის მსხვერპლთა ხსოვნის დღედ გამოცხადდა, რასაც პირველ რიგში მწერალთა კავშირი გამოეხმაურა და ედუარდ შევარდნაძე მემორიალური დაფის გახსნის ცერემონიაზე მიიპატიჟა.*

შეკრება მთლად მასშტაბური ვერ გამოდგა. თვალშისაცემი იყო, რომ მასპინძლებს, მწერლებს, ბევრად სჭარბობდნენ სტუმრები - პრეზიდენტის დაცვა და ამალა, ჟურნალისტები, დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები...

როდესაც ამის თაობაზე მინდია სულაკაურმა შენიშვნა გამოთქვა **("ყველა მწერალს ვერ ვხედავ")**, თამაზ წივწივაძემ "განმარტა", სხვები ავად არიანო. მხოლოდ ერთმანეთის და პრეზიდენტის ზურგს უკან აღიარა ყველამ, რომ კალმოსნები ავად კი არა, გათიშულები არიან.

... 65 წლის წინათ, პაოლო იაშვილმა მწერალთა კავშირის ფოიეში თავი მოიკლა და ამ ტრაგედიამ საქართველოს პრეზიდენტს ბავშვობისდროინდელი მოგონებები აუშალა: **"გუშინდელ დღესავით მახსოვს, ყოველდღე როგორ ქრებოდნენ სოფლის საუკეთესო ადამიანები - თავმჯდომარე, ბრიგადირები, მასწავლებლები. მაშინ მიკვირდა და ვერ გამეგო, რა ხდებოდა."**

ტოტალიტარიზმის ნამდვილ არსს შევარდნაძე მოგვიანებით ჩასწვდა, როცა, საბჭოთა საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრად მუშაობის დროს, რეპრესიების პერიოდის ოფიციალურ დოკუმენტაციას გაეცნო.

**"კიდევ კარგი, ამ დოკუმენტების დიდი ნაწილი საქართველოდან გაიტანეს. ღმერთმა ნუ ქნას, ისინი უკან დაბრუნდეს. როდესაც ხალხი გაიგებს 30-იან წლებში როგორი მუხანათობები ხდებოდა, ეს საზოგადოებაში ზედმეტ ვნებათაღელვას გამოიწვევს"**, - აღნიშნა პრეზიდენტმა გუშინ გამართულ შეკრებაზე.

ასეთ თავყრილობებზე ყოველთვის გამოჩნდებიან ხოლმე "მაამებელი" ადამიანები, რომლებიც ორიგინალური ფრაზებით ცდილობენ პრეზიდენტის ყურადღების მიქცევას და მისი გულის მონადირებას. გამონაკლისი არც გუშინდელი დღე ყოფილა. მაგალითად, ერთ-ერთმა გამომსვლელმა "ზრდილობის ცენზურის" შემოღება მოითხოვა, რადგან **"პარლამენტში, პრესასა და ტელევეზიაში ყველას გადასწვდნენ, მათ შორის - პრეზიდენტსაც."**

ეს მოსაზრება შევარდნაძემ არ აიტაცა; რადგან, მისი თქმით, **"სიტყვის თავისუფლება დაუწერელი კანონი უნდა იყოს."** სამაგიეროდ, პრეზიდენტს მოეწონა წინადადება, რომ ტოტალიტარიზმის მსხვერპლთა მემორიალური დაფის გვერდით, იმ ჯალათების გვარებიც "უკვდავეყოფილიყო", ვინც ქართული მწერლობის ნაღები შეიწირა.

რეპრესირებული მწერლების შთამომავალთა სიტყვით გამოსვლების შემდეგ, შედგა ასლან აბაშიძის სახსრებით დამზადებული მემორიალური დაფის პრეზენტაცია. მერე კი ღონისძიების მონაწილეებმა სახალხო დამცველის "რეზიდენციაში" გადაინაცვლეს, რომლის ეზოში დაიდგა ასევე თვითმკვლელობით ცოდვილ წუთისოფელს გარიდებული გალაკტიონ ტაბიძის ბიუსტი.

# თბილისს საკრებულო კიდევ ერთი წელი არ ეყოლება

## ვარაუდობს მიხეილ სააკაშვილი

პირველი გვერდიდან

გარდა ამისა, საკრებულომ რომ მუშაობა დაიწყოს, ეს ჩემს პირდაპირ ინტერესებში შედის, რადგან მე საკრებულოს თავმჯდომარეობაზე უკვე დავთანხმდი.

სცენარი, რომელიც ახლა თამაშდება, კანცელარიაში დაიწერა. მე არა ვარ პარანოიკი და არ მეჩვენება, რომ შედეგების შეჩერება დღეს მხოლოდ ხელისუფლებას აძლევს ხელს. ხვალ "სახალხომ" რომ გამოიტანოს სარჩელი, ზეგ იმავე სარჩელს სოციალისტები შეიტანენ, მაზეგ "მოქალაქეთა კავშირი" და ასე შემდეგ, ანუ ხელისუფლება, სხვადასხვა პარტიების დახმარებით, ამ პროცესის გაჭიანურებას შეეცდება.

**- თქვენ თავად ხომ არ შეუწყვეთ ხელი ამ პროცესის დასაწყისს? არჩევნების დამთავრებისთანავე მიტინგი გამართეთ კანცელარიის წინ და არჩევნების შედეგები გააპროტესტეთ.**

- ჩვენ მაშინ საარჩევნო კომისიებში მანიპულაციის შეჩერებას ვითხოვდით, რომლის გამოც თანდათან პროცენტები გვაკლდებოდა. ამ მიტინგმა თავის მიზანს მიაღწია და მანიპულაციები შეჩერდა. რაც შეეხება იმას, რომ ჩვენ ვითხოვდით ხმების გადათვლას, იგივე მოთხოვნა დღესაც გვაქვს. მე არ ვაპირებ, თვალი დავხუჭო იმ დარღვევებზე, რომლებიც ამ არჩევნებზე მოხდა. ეს დანაშაული იქნება, რადგან საპარლამენტო არჩევნებზე გაცილებით მეტ დარღვევებს შეიძლება ჰქონდეს ადგილი.

მაგრამ ერთია ამ დარღვევების გამო დამნაშავეების დასჯა და მეორე, თბილისელების დასჯა იმით, რომ საკრებულოს გარეშე დატოვო.

**- როდემდე შეიძლება დარჩეს თბილისი საკრებულოს გარეშე?**

- მანამ, სანამ ამას ხალხი მოითმენს, რადგან შევარდანაძე თბილისს საკრებულოს გარეშე ძალინ დიდი ხნის განმავლობაში დატოვებს.

**- რა იურიდიული მექანიზმებით?**

- ლადო ჭანტურიას შეუძლია, ეს საქმე ერთი წლის განმავლობაში არ განიხილოს. ან განიხილოს და გადადოს და ასე გააჭიანუროს ერთი წელი ან წელიწად-ნახევარი. სამწუხაროდ, ეს არის ის სცენარი, რომელიც უკვე იცის უზენაესმა სასამართლომ.

სხვათა შორის, უზენაესი სასამართლოს რეფორმირება რომ არ მოხდა, მე ამის გამო ხმაური ჯერ კიდევ ორი წლის წინ ავტეხე.

თუ უზენაესი სასამართლო ბოლომდე წავა ხელისუფლებასთან თანამშრომლობაზე და მის შეკვეთებს შეასრულებს, ეს ძალიან სამწუხარო იქნება. ჩემი ცხოვრების მნიშვნელოვან ეტაპზე გაწეულ შრომას მე, პირადად, წყალში ჩაყრილად ჩავთვლი, ვიტყვი, რომ სასამართლო სისტემის რეფორმა საქართველოში, პრაქტიკულად, არ შედგა.

**- ანუ თქვენ მართლა რეალურად მიგაჩნიათ საკრებულოს მუშაობის დაწყების ერთი წლით გადავადება?**

- სცენარი, რომელიც მომზადებულია, საკრებულოს მუშაობის დაბლოკვას, მინიმუმ, რამდენიმე თვით ითვალისწინებს, რადგან შემოდგომაზე მოხდება "თბილწყალკანალის" შესყიდვა ფრანგული კონსორციუმის, "ვივენდის" მიერ, რომელიც საქართველოში პაატა შევარდნაძეს ჩამოყავს. გაიცემა ნებართვები უკანონო მშენებლობაზე. აპირებენ "თბილგაზის" გაყიდვას სხვადასხვა მანიპულაციებით. ეს რაც შეეხება ფინანსურ მხარეს.

გარდა ამისა, ხელისუფლების ინტერესებში შედის, ოპოზიციამ, არჩეული ორგანოს სახით, არ აიღოს პლაცდარმი, რომელიც შევარდნაძეს დაუპირისპირდება.

არჩევნების შედეგების გაუქმება, ბუნებრივია, გამოიწვევს ხალხის რისხვას. სხვათა შორის, კანცელარიამ, თედო ჯაფარიძის "ჩაწოდებით", უცხოურ საელჩოებში გაავრცელა ინფორმაცია, რომ, თითქოს, ჩვენ პარლამენტის სხდომებზე ხალხს პარლამენტის აღებისაკენ მოვუწოდებით, რაც არის სრული სიცრუე. ეს უცხოურ პრესაში მიზანმიმართულად გავრცელდა, რადგან შევარდანაძეს უნდა, დაარწმუნოს ამერიკელები, რომ სააკაშვილი და მისი მომხრეები ექსტრემისტები არიან, რომლებიც ხალხს დესტაბილიზაციისაკენ მოუწოდებენ.

**- თუ თქვენს მიერ ნავარაუდები სცენარი არ გამართლდა და საკრებულომ მუშაობა მალე დაიწყო, ისევ ძალაში რჩება თუ არა ნათელაშვილის შემოთავაზება საკრებულოს თავმჯდომარეობასთან დაკავშირებით?**

- ლეიბორისტები ძალიან ცდილობენ, უარი გვითხრან საკრებულოს თავმჯდომარეობაზე, მაგრამ მაშინ მათ "ახლებთან" თანამშრომლობა მოუწევთ. ასეთ შემთხვევაში კი მთელი ლეიბორისტული ელექტორატი "ნაციონალურ მოძრაობაში" გადმოვა. ეს მათაც ძალიან კარგად იციან.

მიუხედავად იმისა, რომ საკრებულოს თავმჯდომარეობა არ არის ჩემი ოცნების მწვერვალი, ვფიქრობ, ეს არის ის ინსტრუმენტი, რომლის საშუალებითაც ჩვენი პროგრამის განხორციელებას მოვახერხებთ.

პოზიტიური პროგრამის განხორციელება კი არის ის ნაბიჯი, რომელიც შევარდნაძის შეუცვლელობაზე მითს ძირს გამოუთხრის, თითქოს შევარდნაძე რომ არ იყოს, საქმე უფრო ცუდად იქნება და ასე შემდეგ.

**- მაგრამ იმ პირობებში, როცა მერია ხელისუფლების წარმომადგენელია, როგორ გგონიათ, ხელისუფლება მოგცემთ ამ პროგრამის განხორციელების საშუალებას?**

- მე ვფიქრობ, რომ თუ მერიას საკრებულო გააკონტროლებს, მაშინ მასთან თანამშრომლობა შეიძლება. მთავარია, საკრებულო მერიის რომელიმე სამსახურმა არ იყიდოს და ჯიბეში არ ჩაისვას, რასაც ადგილი ჰქონდა ძველ საკრებულოში. ახალში კი ამის გაკეთება თითქმის გამორიცხულია.

დღეს მთავრობა სერიოზულ კრიზისშია. ერთის მხრივ, შევარდნაძე ასახელებს თავის შემცვლელს, რითაც მხოლოდ იმის მიღწევა სურს, რომ ხალხის რისხვა თვითონ თავიდან აიცილოს და ამ რისხვის ობიექტი ჟორბენაძე გახდეს. მეორეს მხრივ, ის ცდილობს, რომ ოპოზიცია ექსტრემისტულ, მარგინალურ ძალად აქციოს და ქუჩაში დატოვოს, რათა მთელ მსოფლიოს დაანახოს, თუ რა რადიკალებთან აქვს საქმე.

მე, შევარდნაძისაგან განსხვავებით, ცეკას სკოლა არ გამივლია, მაგრამ ყოველთვის მაქვს იმედი, რომ ნებისმიერ თანამდებობას, ნებისმიერ დონეზე ხალხის მხარდაჭერით მოვიპოვებ. მთავარია, თამაშის წესები იყოს დაცული.

**- რაც შეეხება თამაშის წესებს. რამდენიმე დღის წინ პარტიების ერთი ჯგუფი გაერთიანდა, რათა პოლიტიკაში საერთო თამაშის წესებზე და ახალ სტანდარტებზე შეთანხმდნენ. ამ გაერთიანებას მოგვიანებით არასამთავრობოებმაც გამოუცხადეს სოლიდარობა. რა რეალურ შედეგს ელოდებით ამ პროცესისგან?**

- ვერ ვიტყოდი, რომ ეს არის პარტიათა გაერთიანება. ეს იყო შეკრება, რომლითაც ჩვენ ძალადობას დავუპირისპირდით.

მე იმ დღეებში ბრიუსელში ვიმყოფებოდი, მაგრამ ამ შეკრებაში ჩვენი მოძრაობის სხვა ლიდერებმა მიიღეს მონაწილეობა.

მე არ მიმაჩნია, რომ, ფასეულობების თვალსაზრისით, ჩვენ ბევრი რამ გვაქვს საერთო იქ შეკრებილ რომელიმე წვრილ-წვრილ პარტიასთან. ვერ ვხედავ იმის საფუძველს, რომ პოლიტიკური გაერთიანება შევქმნა ირინა სარიშვილთან ან სხვა რომელიმე პარტიასთან, რომლებიც მოსახლეობის ძალიან მცირე მხარდაჭერით სარგებლობენ."

მაგრამ იმ იდეის გარშემო, რომ პოლიტიკაში ძალადობა დაუშვებელია, ჩვენ ერთიანი უნდა ვიყოთ.

არ მომეწონა ზოგიერთი არასამთავრობოს გამოსვლა "მეტეხის" შეხვედრაზე, როცა მათ განაცხადეს, რომ არ სჯერათ პარტიების გულწრფელობის. ეს ფარისევლობად და პირადი ამბიციების გამომჟღავნებად მიმაჩნია. რა მნიშვნელობა აქვს, გუშინ ვის რა პოზიცია ეკავა. მთავარია, დღეს ვინ რა პოზიციაზეა, რადგან ახლა ნიშნის მოგების დრო არ არის. ეს ერთიანობა ისევ პიროვნულმა ამბიციებმა არ უნდა გადაძალოს, რადგან რეალობა არის ის, რომ ძალადობის პირობებში ვერავინ იქნება მოგებული.

**- ამ ახალ გაერთიანებაში მყოფი პარტიები, იგივე ეროვნულ-დემოკრატები, ტრადიციონალისტები და თავად ჟვანია, არ გამორიცხავენ, რომ საპარლამენტო არჩევნებში ერთიანი კოალიციით მიიღონ მონაწილეობა. ამ შემთხვევაში როგორი იქნება თქვენი პოზიცია?**

- მე და ჟვანია მეგობრები ვართ და ძალიან დიდი სიმპატიით ვუყურებ "გაერთიანებული დემოკრატების" ჯგუფს, მაგრამ ჯერჯერობით ჩვენ ბევრად უფრო ძლიერები ვართ.

ჟვანიას დიდი პოლიტიკური პერსპექტივა გააჩნია და მე პირადად მასთან არასოდეს მექნება პრობლემები, რადგან ჩვენ გასაყოფი არაფერი გვაქვს.

რაც შეეხება გაერთიანებას, ასეთ საკითხებზე გადაწყვეტილებას მარტო არ ვიღებ. ჩემს ყველა პოლიტიკურ პარტნიორთან მექნება კონსულტაციები და გადაწყვეტილების მიღების დროს, შესაბამისად, ყველას პოზიციას გავითვალისწინებ.

გაერთიანდება თუ არა ჟვანია ეროვნულ-დემოკრატებთან ან სხვა პარტიებთან, ეს მისი პირადი არჩევანის საკითხია. ვფიქრობ, ის საკმაოდ პრაგმატიკოსია საიმისოდ, რომ მცდარი გადაწყვეტილება არ მიიღოს. დღეს სარიშვილის უკან ელექტორატი აღარ დგას და ამიტომ ეროვნულ-დემოკრატიული პარტია უკვე გუშინწინდელი დღეა.

მაგრამ თავისთავად ამ ჟესტში, რომ ხაჩიშვილის ციხიდან გამოშვების შემდეგ ჟვანია სარიშვილი გვერდით დაჯდა, ცუდს ნამდვილად ვერაფერს ვხედავ.

დღევანდელი რეალობა ასეთია – "ნაციონალურ მოძრაობას" ჰყავს ამომრჩეველთა ფართო სპექტრი. ჟვანიას კი დიდი პერსპექტივა აქვს. ამიტომ ჩვენმა კოორდინაციამ საქართველოში ხელისუფლების შეცვლის საკითხი, შესაძლოა, ადვილად გადაწყვიტოს.

თუმცა, ეს მხოლოდ იმ პირობებში მოხდება, თუ დემოკრატიის ელემენტარული წესები იქნება დაცული.

შევარდნაძის კლანი ვერც ერთ შემთხვევაში ვერ შეინარჩუნებს ხელისუფლებას, მე ამას გამოვრიცხავ. მეცინება, თუ ვინმე, საერთოდ, ლაპარაკობს ჟორბენაძეზე, როგორც შევრდნაძის მემკვიდრეზე. ის მხოლოდ პრეზიდენტის მორიგი სატყუარაა.

მაგრამ იმ პირობებში, როცა შევარდნაძე ვერ შეინარჩუნებს ხელისუფლებას და არც ოპოზიციას მისცემს საშუალებას, დემოკრატიული გზით მოვიდეს ხელისუფლებაში, მაშინ ქაოსი და დესტაბილიზაცია გარდაუვალი გახდება. სამოქალაქო ომში კი ყველა წაგებული აღმოჩნდება.

თუ შევარდნაძემ ძალადობის ესკალაცია და დესტაბილიზაცია დაუშვა, მაშინ მისი სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის საკითხი უნდა დადგეს. ახლა უკვე ველარავინ იტყვის, რომ ის თბილისში ჯაბა იოსელიანმა ჩამოიყვანა და თამაშის წესებიც მან დაუწესა. თამაშის წესებს დღეს შევარდნაძე ადგენს.

**- რამდენად რეალურია, რომ ეს თამაშის წესები უკვე პარტიებმა და არასამთავრობო სექტორმა შეცვალონ?**

- პოლიტიკოსებმა, ისევე, როგორც არასამთავრობოებმა, გვერდზე უნდა გადადონ პირადი ამბიციები და ბოლმები, იმიტომ, რომ დღეს ამის დრო არ არის.

ხანდახან მრჩება შთაბეჭდილება, რომ ჩვენთან დემოკრატია ოკენეში მოცურავე პატარა ნავებია, რადგან დემოკრატიის დიდი გემის აშენება ვერ შევძელით. ახლა ამ ოკეანეში შტორმია. ამიტომ, დემოკრატიის გადასარჩენად, ან გემის მშენებლობის იდეას უნდა დავუბრუნდეთ, ან ცალცალკე რომ არ ჩაიძირონ, ნავებმა ერთმანეთში მაინც უნდა გაწიონ კოორდინაცია.

# ბრიფინგული პოლიფონია

გიორგი ასანიშვილი

გუშინ გამართულ ბრიფინგზე პრეზიდენტმა შევარდნაძემ კომენტარი გაუკეთა კოჯრის სამხედრო ნაწილში ამასწინდელი არეულობის ფაქტს და აღნიშნა, რომ მომხდარის თაობაზე საბოლოო გადაწყვეტილებას ეროვნული უშიშროების საბჭოს სხდომა მას შემდეგ მიიღებს, როდესაც ინციდენტი ღრმად გაანალიზდება.

**"ჯანჯღავას შესახებ მხოლოდ დადებითი მსმენია. მე ვიცოდი, რომ ნიკა ის კაცი არ არის, ვინც ვიღაცის ხმებს ან მოწოდებებს აჰყვება. თუმცა, რა მძიმე პირობებიც არ უნდა იყოს ჯარში, თვითნებობას გამართლება მაინც არა აქვს და მისი საქციელის მოწონება არ შეიძლება. თავდაცვის მინისტრი მომხდარში უკვე გაერკვა და ჯანჯღავას მიმართ აგრესიული დამოკიდებულება არა გააჩნია,"** - აცხადებს შევარდნაძე.

პრეზიდენტი არ ეთანხმება მოარულ ხმებს იმის თაობაზე, თითქოს, შემოდგომაზე ქვეყანაში არეულობები დაიწყება და კოჯრის ინციდენტი მისი პრელუდია იყო. **"მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანაში ბევრი პრობლემა და საკითხია გადასაწყვეტი, დესტაბილიზაციის რეალურ საფრთხეს ვერ ვხედავ,"** - სიმშვიდისკენ მოუწოდებს საზოგადოებას შევარდნაძე.

* * *

ტერორიზმის ბრალდებით გასამართლებული თემურ ხაჩიშვილის, გურამ პაპუკაშვილისა და გელა გელაშვილის საპყრობილედან ვადაზე ადრე გათავისუფლების შემდეგ, გაჩნდა მოსაზრება, რომ ედუარდ შევარდნაძე ნომერ პირველ ტერორისტად შერაცხულ იგორ გიორგაძესაც შეიწყალებდა. თუმცა, გუშინდელ ბრიფინგზე ამის შესაძლებლობა საქართველოს პრეზიდენტმა კატეგორიულად უარყო.

**"მიზანშეწონილად მივიჩნიე, რომ ოჯახებს დაბრუნებოდნენ ის ადამიანები, რომლებმაც საგამოძიებო და სასამართლო პროცედურები მთლიანად გაიარეს და სასჯელის ნახევარზე მეტი მოიხადეს. იგორ გიორგაძის მიმართ ანალოგიური აქტის გამოცემაზე არც ადრე მიფიქრია და ამის გაკეთებას არც მომავალში ვაპირებ. მას ასეთი პროცედურები არ გაუვლია, გამოძიების კითხვებზე პასუხი არ გაუცია და ამდენად, საფუძველი არა მაქვს, მის შეწყალებაზე ვიფიქრო. მით უმეტეს, რუსეთში გიორგაძე არც ისე ცუდად ცხოვრობს და ამ ქვეყნის მიერ, ფაქტობრივად, უკვე შეწყალებულია,"** - აცხადებს შევარდნაძე.

* * *

პრეზიდენტი შევარდნაძე აცხადებს, რომ მისი ინფორმაციით, გიორგი სანაიას მკვლელობა უკვე გახსნილია, საბოლოო დასკვნის გამოქვეყნებას რამდენიმე ნიუანსი აფერხებს და 7-10 დღეში ყველაფერი საბოლოოდ გაირკვევა.

**"პრეზიდენტი თავს უფლებას ვერ მისცემს, გამომძიებლები დაიბაროს და დოკუმენტების გაცნობა მოსთხოვოს, მინისტრები და პროკურორი კი მეუბნებიან, რომ ცოტა კიდევ უნდა მოვიცადოთ, ამ საქმით გარკვეული წრეები არიან დაინტერესებულნი და, მით უმეტეს, სხვა განცხადებებიც გაჩნდაო,"** - აღნიშნა გუშინდელ ბრიფინგზე ედუარდ შევარდნაძემ.

* * *

**"არა მგონია, რომ საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი შეწუხებული იყოს იმით, რომ დეპუტატი გურამ შარაძე მის გაწვევას ითხოვს. ისე, შარაძეს ჩემი გადადგომის მოთხოვნის უფლებაც აქვს, მაგრამ მის სიტყვაზე მე არ გადავდგებოდი, რადგან ეს მხოლოდ მისი საქმე არ არის,"** - აცხადებს შევარდნაძე, რომელიც იქვე დასძენს, რომ სიტყვის თავისუფლების ეპოქაში "ასეთი უცნაური მოთხოვნაც" კი დასაშვებად მიაჩნია.

* * *

31 ივლისისთვის დანიშნული გაეროს უშიშროების საბჭოს სხდომისგან პრეზიდენტი შევარდნაძე რაიმე განსაკუთრებულს არ ელის. მისი თქმით, ამჯერად ყურადღება ე.წ. "ბოდენის დოკუმენტზე" იქნება კონცენტრირებული და აფხაზური მხარის წინაშე მისი შესრულების მოთხოვნა დაისმება. შევარდნაძის განცხადებით, უფრო კატეგორიულ და ქმედით ნაბიჯებს გაერო ამ წლის ბოლოს გადადგამს, თუმცა არ აკონკრეტებს, "კატეგორიულ და ქმედით ნაბიჯებში" რას გულისხმობს.

## თანამედროვე სამყარომ არ იცის, თუ როგორ უნდა იმოქმედოს გლობალური კრიზისის პირობებში

პირველი გვერდიდან

"ვივენდის" საკრედიტო რეიტინგი მკვეთრად დაეცა. ასევე დაეცა მობილური ტელეფონების ერთ-ერთი უდიდესი მწარმოებლის, "ერიქსონის," საკრედიტო რეიტინგიც. შვედურმა კომპანიამ ზედიზედ მეშვიდე კვარტალური ზარალი ნახა და კატასტროფული სისწრაფით კარგავს წილს მობილურების ბაზარზე. "ერიქსონი" ახლა მხოლოდ მეოთხე ადგილზეა გაყიდვების მიხედვით და გვარიანად ჩამორჩება "მოტოროლასა" და "ალკატელს," "ნოკიაზე" ხომ საუბარიც არ ღირს. თანამშრომელთა მასიური დათხოვნების მიუხედავად, შვედური გიგანტი ხარჯებს წესიერად მაინც ვერ ამცირებს, ხოლო მობილურებზე მოთხოვნილება ბოლო დროს საგრძნობლად დაეცა, ამიტომ "ერიქსონისთვის" კრედიტების გაცემას არავინ ჩქარობს.

მაგრამ პანიკისა და ისტერიკის ესტაფეტა მალე ისევ ამერიკამ გადაიბარა, სადაც კორპორაციული დარღვევების გამოვლენა გრძელდება. ბოლო (სავარაუდოდ, არა უკანასკნელ) დამრღვევად საქმიან სამყაროს ცნობილი ფარმაცევტული კომპანია "ჯონსონ ენდ ჯონსონი" მოევლინა. ანალოგიურ დარღვევებში ამხილეს მედია-გიგანტი "ამერიკა ონლაინ თაიმ უორნერი;" კომპანია, რომელიც თვენახევრის წინათ არნახული ზარ-ზეიმით შეიქმნა "ამერიკა ონლაინისა" და "თაიმ უორნერის" შერწყმის შედეგად, მაგრამ მას შემდეგ იგი საინტერნეტო კომპანიათა კრახის გამო არნახული სისწრაფით ეშვება დაბლა. თუკი მაშინ ახალი გიგანტის საბაზრო ფასი 290 მლრდ დოლარი იყო, ახლა ეს მაჩვენებელი 60 მლრდ დოლარს ძლივს აღწევს. მიმდინარე წლის პირველ კვარტალში მედია-გიგანტმა 56 მლრდ იზარალა, რითაც კორპორაციულ ისტორიაში თავისი მასშტაბით უპრეცედენტო რეკორდი დაამყარა. საინტერნეტო სექტორის კრიზისმა გაერთიანებულ კომპანიაში "ამერიკა ონლაინის" გავლენის შესუსტება გამოიწვია. შედეგად გადაყენებულ იქნა "ამერიკა ონლაინის" ერთ-ერთი თავკაცი. გაერთიანების მთავარი არქიტექტორი რობერტ პიტმანი და ხელმძღვანელობა "თაიმ უორნერიში" ნერგავს მმართველობის ძველმოდურ, მაგრამ ნაცად სტილს.

ამ გადაყენებებისა და გამოძიებების პარალელურად სენატი ხმას აძლევს კორპორაციულ თაღლითობათა წინააღმდეგ კანონს, პრეზიდენტი ბუში კი აცხადებს, რომ კანონი უკვე აგვისტოში უნდა ამუშავდეს. ეს, ერთის მხრივ, აიმედებს საქმიან სამყაროს, მეორეს მხრივ – აშინებს, რადგან თუ კორპორაციული დარღვევების გამოვლენა ასეთი ტემპით გაგრძელდა, მაშინ ხომ ყველა ციხეში ამოყოფს თავს.

პანიკამ ისეთი სახე მიიღო, რომ ბირჟებს რეაგირება არ მოუხდენიათ ორი ფარმაცევტული გიგანტის, "პფაიზერისა" და "ფარმაციას," გაერთიანებაზე. მოვაჭრეები იაპონიისაკენ იყურებოდნენ, სადაც დოლარის მიმართ იენის კურსის აწევის გამო ლამის ეროვნული გლოვა გამოცხადდა – ამომავალი მზის ქვეყნის ეკონომიკა ხომ ექსპორტზეა ორიენტირებული და ეროვნული ვალუტის გამაგრება მას, ამ მხრივ, უზარმაზარ ბარიერებს უქმნის.

სანამ იაპონელები მოთქვამდნენ, დიდძალი წაგებების შესახებ განაცხადეს "პეპსიმ" და "სან მაიკროსისტემზმა," რის შედეგადაც მათი აქციებიც მკვეთრად დაეცა. ვინ იცის, იქნებ სხვა დროს ამ კომპანიებს დაემალათ წაგება და ეს არ მომხდარიყო. მაგრამ ახლა, როცა საბუღალტრო ანგარიშების გაყალბებაზე ასეთი აყალმაყალია ატეხილი, წაგების დამალვას რომელი ჭკუათმყოფელი გაბედავს.

მოკლედ, საერთო სურათი ასეთია: საფონდო ბირჟებზე (დაწყებული ამერიკით, გაგრძელებული ევროპითა და დამთავრებული სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიით) ინდექსები შეუჩერებლად ეცემა. სახეზეა რამდენიმე წლის წინათ აზიიდან მთელ მსოფლიოს მოდებული ფინანსური კრიზისის არნახული პანიკა, რომელიც კიდევ ერთხელ სვამს შეკითხვას: როგორ უნდა იმოქმედოს გლობალიზაციის პირობებში მსოფლიო თანამეგობრობამ; იმ პირობებში, როცა ერთ ბირჟაზე მომხდარი კრახი, ან ერთი კომპანიის გაკოტრება მთელ მსოფლიოში ჰპოვებს გამოძახილს. საქმიანმა სამყარომ იცის, როგორ უნდა იხეიროს გლობალიზაციით, მაგრამ არ იცის, რა უნდა მოიმოქმედოს გლობალური კრიზისის დროს. საშველი არ ჩანს – პრობლემებია განვითარებული, დემოკრატიული სოციალიზმის ქვეყნებში (შვედეთსა და საფრანგეთში), სადაც სახელმწიფო მნიშვნელოვნად ერევა ეკონომიკის საქმეებში, ასეთივე პრობლემებია თავისუფალი ბაზრის ქვეყნებში (აშშ-ში), სადაც მთავრობას ეკონომიკა შედარებით თავის ნებაზე ჰყავს მიშვებული. როგორც ჩანს, გლობალიზაციას სრულიად ახლებურად უნდა მივუდგეთ, მაგრამ როგორი უნდა იყოს ეს მიდგომა, ჯერჯერობით, არავინ უწყის. ვითარება გასული საუკუნის 30-იან წლებს წააგავს. მაშინ ხეირიანად ვერავის აეხსნა, რატომ იფეთქა დიდმა დეპრესიამ, სანამ არ გამოჩნდა ჯონ მეინარდ კეინსი და მისი ახალი თეორია, რომელშიც ყველაფერი იქნა ახსნილი და გაცემულ იქნა მარტივი, მაგრამ მაშინ ძნელადმისახვედრი პასუხი – არ შეიძლება თავისუფალი ბაზრის თავის ნებაზე მიშვება და როგორც კი პანიკა ატყდება, საქმეში სახელმწიფო უნდა ჩაერიოს. მაგრამ გლობალიზაციის პირობებში კეინსის თეორიაც ველარ იძლევა ყველა კითხვაზე პასუხს, არადა დრო აღარ ითმენს. ვინ იცის, წინ კიდევ რამდენი ასეთი პანიკა და კრიზისია.

### ბიზნესის ამბები

## შვეიცარიამ „ბინ ლადენს„ რეგისტრაციაზე უარი უთხრა

ბინ ლადენების ოჯახური ბიზნესი შვეიცარიაში დიდად შეავიწროვეს. ამ ქვეყნის ინტელექტუალური საკუთრების ინსტიტუტმა გააუქმა სამარკო ნიშნის "ბინ ლადენის" რეგისტრაცია.

"ჩვენ მიგვაჩნია, რომ ეს სახელი მოსახლეობაში 11 სექტემბრის ტერაქტებთანაა ასოცირებული", - განაცხადა ინტელექტუალური საკუთრების ინსტიტუტის წარმომადგენელმა ერიკ მაიერმა. შვეიცარიაში მოქმედი კანონით "სავაჭრო ნიშნების შესახებ" იკრძალება ისეთი მარკები, რომლებიც საზოგადოებრივ წესრიგსა და მორალურ ნორმებს არღვევენ.

განაცხადი "ბინ ლადენის" სავაჭრო ნიშნის რეგისტრაციის შესახებ 2001 წლის თებერვალში წარადგინა კომპანია "Falcon Sporting Goods AG"-მ, რომელიც ეკუთვნის მსოფლიოს ნომერ პირველი ტერორისტის, უსამა ბინ ლადენის, ნახევარძმას — ისლამს. იგი შვეიცარიაში ცხოვრობს.

"საუბარი არ არის ამ მარკის აკრძალვაზე," - აღნიშნა ინტელექტუალური საკუთრების ინსტიტუტის სავაჭრო ნიშნების განყოფილების წარმომადგენელმა შტეფან ფრეფელმა. მისი თქმით, ისლამ ბინ ლადენის კომპანია მომავალშიც ისარგებლებს ამ სახელით, მაგრამ აღნიშნული სავაჭრო ნიშანი არ არის დაცული და მისი გამოყენება სხვებსაც შეუძლიათ.

ისლამ ბინ ლადენმა არაერთხელ აღნიშნა, რომ "ბინ ლადენის" სავაჭრო ნიშნის რეგისტრაცია კომერციული მიზნების მისაღწევად არ იყო საჭირო და მას მხოლოდ საკუთარი სახელის დაცვა სურდა. შვეიცარიის ინტელექტუალური საკუთრების ინსტიტუტის გადაწყვეტილების შედეგად შეიძლება, "ბინ ლადენი" ყველამ დაირქვას. **ენტევე.რუ**

## მოდური ბრენდები საფრთხის ქვეშაა

ამერიკული ბაზარი ტანსაცმლის დიზაინერების შეშფოთებას იწვევს. მომხმარებელი, ამ ქვეყანაში დამკვიდრებული სავაჭრო პრაქტიკიდან გამომდინარე, უმეტესად, უპირატესობას ანიჭებს სუპერმარკეტებში გასაყიდად გამოტანილ იაფ პროდუქციას, ვიდრე მოდის ცნობილი სახლების ნაწარმს.

ნიუ-იორკის მარკეტინგული კვლევის სააგენტომ Brand Keys-მ, ცნობილი საფირმო მარკების (ბრენდების) მიმართ მომხმარებელთა დამოკიდებულების გარკვევის მიზნით, გამოკითხა ტანსაცმლის 7500 მყიდველი. გამოკითხულთა 57 პროცენტმა განაცხადა, რომ მწარმოებელი კომპანიის ცნობადობა მათთვის არც ისე მნიშვნელოვანია. მხოლოდ ათმა პროცენტმა აღიარა, რომ უპირატესობას ანიჭებს ცნობილი ბრენდების ეტიკეტებიან ტანსაცმელს. სულ ტანსაცმლის ამერიკული ბაზრის მოცულობა 166 მილიარდი დოლარია. **ვედომოსტი**

## ბრიტანეთში ელექტროენერგიის ტარიფი მცირდება

დიდ ბრიტანეთში ოქტომბრიდან 15 პროცენტით მცირდება სამრეწველო მომხმარებლებისთვის ელექტროენერგიის ტარიფი. ეს გამოწვეულია ელექტროენერგიის მიმწოდებელთა შორის კონკურენციით, რომლებიც ამ გზით აპირებენ ბაზარზე ადგილის შენარჩუნებას. **როიტერი**

## ფინანსთა სამინისტრომ ჩაის ექსპორტისთვის 3 მილიონი ლარი გამოყო

### საგადასახადო ინსპექციის უფროსები ჩაის ექსპორტს ეწირებიან

სოფო კვინტრაძე

სახელმწიფო ბიუჯეტიდან ჩაის ექსპორტის ხელშეწყობისათვის წელსაც გამოიყო სამი მილიონი ლარი. გუშინ ფინანსთა სამინისტროში გაიმართა ჩაის ექსპორტის განვითარებისათვის განკუთვნილი სუბსიდიების ტენდერი, სადაც ტენდერის მონაწილე 43 ორგანიზაციის დოკუმენტაცია წარმოადგინეს. ორგანიზაციათა უმეტესობა თბილისიდან და გურიის, აჭარის და სამეგრელოს რეგიონებიდან არიან. სატენდერო კომისია, რომელსაც ფინანსთა მინისტრი მირიან გოგიაშვილი ხელმძღვანელობს, გაეცნო პრეტენდენტი ორგანიზაციების მიერ წამოდგენილ განაცხადებს.

ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხა, რომელიც სამ მილიონ ლარს შეადგენს, 42 ლოტადაა განაწილებული. ერთი ლოტის ღირებულება 50 000 ლარია. თუმცა, ტენდერის მონაწილე ორგანიზაციათა მიერ გაცილებით მეტ - 158 ლოტზეა განაცხადი გაკეთებული. ლოტების რეკორდული რაოდენობა – 20 მოითხოვა შპს "მარტინ-ბაუერ-თბილისმა". მთლიანობაში კი, ორგანიზაციათა მიერ მოთხოვნილი თანხა 7 900 000 ლარს შეადგენს. ამ მონაცემების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ჩაის ექსპორტი საქართველოში საკმაოდ განვითარებად ბიზნესად შეიძლება ჩაითვალოს. როგორც ფინანსთა მინისტრი მირიან გოგიაშვილი აცხადებს, **"ჩაის სუბსიდიების პროექტი მეტად მნიშვნელოვანია. ამას ისიც მოწმობს, რომ საკმაოდ ბევრი ორგანიზაციაა დაინტერესებული ამ პროექტში მონაწილეობით. უნდა შევეცადოთ, რომ სამომავლოდ ეს პროექტი უფრო დაიხვეწოს და განვითარდეს."**



სატენდერო კომისია განაცხადებს განიხილავს.
იური ლობოდინის ფოტო

რაც შეეხება წლევანდელი ტენდერის პირობებს, პრეტენდენტ ორგანიზაციებს საკმაოდ მრავალრიცხოვანი მოთხოვნის დაკმაყოფილება მოუწევთ. **"ტენდერში მონაწილე ორგანიზაციებს უნდა ჰქონდეთ ჩაის ექსპორტში მუშაობის გამოცდილება. სასურველია, ორგანიზაციის საექსპორტო არეალი, რაც შეიძლება, ფართო იყოს. ასევე, მათ უნდა გააჩნდეთ საგარანტიო წერილები ბანკიდან ან ქონებრივი გარანტიები, არ უნდა ჰქონდეთ ბიუჯეტის დავალიანება,"** – აცხადებს სატენდერო კომისიის სამდივნოს უფროსი ზურაბ ანდრიაძე.

ჩამოთვლილი მოთხოვნებიდან კომისიის წევრებმა განსაკუთრებული ყურადღება პრეტენდენტი ორგანიზაციების საგადასახადო დავალიანებებს მიაქციეს. ფინანსთა მინისტრის, მირიან გოგიაშვილის აღშფოთება გამოიწვია იმ ფაქტმა, რომ რამდენიმე ორგანიზაციას ბიუჯეტის დავალიანება ათასობით ლარი აღმოაჩნდა. თუმცა, დავალიანების მქონე ორგანიზაციებმა შესაბამისი რაიონების საგადასახადო ინსპექციების დოკუმენტაციებიც წარმოადგინეს დავალიანების გადავადების შესახებ. გოგიაშვილი აცხადებს, რომ ამგვარი დოკუმენტაციის გაცემის უფლება საგადასახადო ინსპექციის ხელმძღვანელებს არა აქვთ. მინისტრმა საგადასახადო დეპარტამენტის თავმჯდომარეს, იასე ზაუტაშვილს ყველა იმ პირის თანამდებობიდან გადაყენება მოსთხოვა, ვინც დავალიანებების გადავადების შესახებ მიიღო გადაწყვეტილება. გოგიაშვილმა განაცხადა, რომ ამგვარი დოკუმენტაციების წარმოდგენა ტენდერზე, უბრალოდ, სამარცხვინოა.

**"ეს ბიზნესმენის კი არა, იმ საგადასახადო ინსპექციების ხელმძღვანელების პრობლემაა, რომლებმაც ამგვარი უკანონო დოკუმენტები გასცეს. რა თქმა უნდა, ყველა მათგანის პასუხისმგებლობის საკითხი დადგება,"** – განაცხადა მირიან გოგიაშვილმა.

საბოლოოდ, რამდენიმე დღეში გახდება ცნობილი, თუ ვის დოკუმენტაციებს და ბიზნეს-გეგმებს მოიწონებს სატენდერო კომისია. შესაბამისად, გაირკვევა, თუ რომელი ორგანიზაციები მიიღებენ სუბსიდიებს ჩაის ექსპორტის განვითარებისათვის.

ჩაის სუბსიდიების პროექტი შარშანაც განხორციელდა. ფინანსთა სამინისტროს ინფორმაციით, შარშან სამი მილიონი ლარი 22 გამარჯვებულ საწარმოზე განაწილდა. მათ 7 884 ტონა ჩაის ექსპორტი განახორციელეს, რომლის მთლიანი ღირებულება, დაახლოებით, 3,5 მილიონი ლარია.

## „დიდი წმენდა„ რუსთავში

მაია მოსიაშვილი

დღეს დილიდან რუსთავის ცენტრალურ ქუჩაზე 40 პოლიციელი გამოვა. მერია მათი დახმარებით გარე ვაჭრობების აღკვეთას იწყებს და პოლიციელებს ევალებათ, ჩვეულ ადგილებთან არ მიუშვან მოვაჭრეები. წლების განმავლობაში მრავალგზის მცდელობის მიუხედავად, თბილისის მერიამ ამ პრობლემის გადაჭრა ვერ შეძლო, რუსთავის მერი კი ერთ თვეში ქალაქის უკანონო გარე ვაჭრობისაგან გათავისუფლებას გეგმავს. პროცესი რომ მტკივნეული იქნება, უკვე ცხადია. გასულ დღეებში მოსამზადებელი სამუშაოების ჩატარებას, ანუ სიტყვიერ გაფრთხილებას ბევრი უკმაყოფილება მოჰყვა. როგორც მუნიციპალიტეტების ხელმძღვანელები ამბობენ, მავანნი ხალხს მერის წინააღმდეგ აბუნტებენ, ეგ არის თქვენი წინააღმდეგი, მან გადაწყვიტა თქვენი ადგილებიდან აყრაო.

გარე მოვაჭრეები, რომელთა უმრავლესობა იძულებით გადაადგილებული ან სოციალურად დაუცველია, მერიის გადაწყვეტილებას აპროტესტებენ და უარს ამბობენ მათთვის შეთავაზებულ ალტერნატივაზე - ქალაქის ბაზრის ტერიტორიაზე განაგრძონ თავიანთი საქმიანობა. მერია ბაზრობის მეპატრონეებს შემდეგ გარიგებას სთავაზობს, თუ ისინი გამონახავენ ადგილებს ყოფილი გარე მოვაჭრეებისათვის, საგადასახადო ინსპექცია 2-3 თვის განმავლობაში შეღავათებს გაუწევს მათ.

რუსთავის მერი კრიტიკას ჩვეულებრივ ამბად მიიჩნევს და აცხადებს: **"სადაც საქმე არ კეთდება, იქ წინააღმდეგობებიც არ არის. სამწუხაროდ, არიან ადამიანები, რომელთაც შეუძლიათ ერთ ლარზე ან 50 თეთრზე გაყიდონ მთელი ქალაქი."**

ქალაქის ქუჩებიდან აყრილი გარე მოვაჭრეების გადაყვანას მერია "სტამბულად" წოდებულ შერეული სახის ბაზრობაზე აპირებს. "სტამბული" შეზღუდული პასუხისმგებლობის საწარმოდ არის რეგისტრირებული, თუმცა, როგორც ჩვენთვის ცნობილია, რუსთავის მერიას იქ ჯერ კიდევ აქვს აქციათა გარკვეული, არც ისე მცირე ნაწილი.

გუშინ მერაბ ტყეშელაშვილმა საკმაოდ სენსაციური განცხადება გააკეთა: **"მე მომდის ინფორმაციები, რომ "სტამბულიდან" ყოველთვიურად 60 000 "ტყდება" სხვადასხვა ჯიბეებში."** მერიის კაბინეტის თათბირზე ტყეშელაშვილმა ვაჭრობის სფეროში თავის მოადგილეს ზაზა იმედაშვილს დაავალა, მაქსიმალური კონტროლი გაუწიოს "სტამბულსა" და მის მიმდებარე ტერიტორიას. ეს უკანასკნელი, დიდი ხანია, უკანონო ბაზრობად არის ქცეული, ხოლო ის, თუ ვის ჯიბეებში ილექება იქიდან შემოსული ფული, ჩვეულებრივი რუსთაველებისათვის ჭორაობის საგნად არის ქცეული.

"24 საათმა" ვიცე-მერ იმედაშვილს კომენტარისათვის მიმართა. მან კი კატეგორიულად განაცხადა, რომ "სტამბულის" საკითხი მის კომპეტენციაში არ შედის და არც არანაირი დავალება მიუღია მერისაგან. იმედაშვილის ტყუილი იმდენად საგანგაშო არ არის, რამდენადაც ის, რომ მერია საგანგებოდ არიდებს თავს "სტამბულზე" მისი წილის თაობაზე საუბარს. იქნებ ქალაქს უკვე აღარ აქვს იქ მისთვის კუთვნილი აქციები, როგორც ეს სხვა ბევრ საწარმოსა თუ ორგანიზაციაში მოხდა? და თუ ეს ასე არ არის, რატომ არ შედის ვიცე-მერის კომპეტენციაში "სტამბულის" პრობლემის მოგვარება?

გარე ვაჭრობის აღკვეთა და ბაზრობის ტერიტორიაზე ვაჭრობის "გათეთრება" ძალიან წაადგება ქალაქის ბიუჯეტს, რომელიც ამ გზით მიღებული თანხებით დღემდე განებივრებული არ ყოფილა.

### ჭორი

## პატარკაციშვილის ვერტმფრენი მუდმივ მზადყოფნაშია

ზაზა წულაძე

*"მსოფლიოში ყველაზე ძვირადღირებული" ვერტმფრენი, რომელიც, მთელი გასული კვირის მანძილზე, თბილისელების საჭორაო თემათა ათეულში პირველ ადგილს ინარჩუნებდა, ქართველი მილიონერის ბადრი პატარკაციშვილის საკუთრება ყოფილა. ამის შესახებ "24 საათს" საქართველოს საავიაციო დეპარტამენტის მაღალჩინოსანმა აცნობა, რომელმაც არ ისურვა თავისი ვინაობის გამხელა.*

სამგზავრო ტიპის MI-8-ა ვერტმფრენს ულტრათანამედროვე და ძვირადღირებული შიდა სალონი აქვს. პოსტსაბჭოთა სივრცეში, ასეთი ტიპის სერვისს, კაუნასის ქარხანა "ჰელისოტა" ახორციელებს, რომელიც, წარსულში კარგად ცნობილ, კაუნასის შვეულმფრენთა სარემონტო ქარხნის ბაზაზე დაარსდა.

"24 საათი" კაუნასში დაუკავშირდა "ჰელისოტას" გენერალურ დირექტორს იოსიფ ლეგენზოვს, რომელმაც გვაცნობა, რომ ქარხანამ აღნიშნული შეკვეთა ოთხი თვის წინ მიიღო და ამჟამად ვერტმფრენი უკვე საქართველოშია. **"გამომდინარე იქიდან, რომ, კონტრაქტის თანახმად, ჩვენი კლიენტი ითხოვს, ყველა მოლაპარაკება ჩვენს შორის კონფიდენციალურად დარჩეს, მე ვერ მოგაწვდით ინფორმაციას, თუ ვინ იყო შემკვეთი საქართველოდან და რა დაუჯდა მას ეს შეკვეთა. ყველა ამ დეტალის გასარკვევად, გირჩევთ, ვერტმფრენის მეპატრონეს მიმართოთ, რომელიც ამჟამად საქართველოშია. მე შემიძლია, მხოლოდ გითხრათ, რომ ეს არ არის მსოფლიოში ყველაზე ძვირადღირებული ვერტმფრენი. ამ მანქანას აქვს ერთ-ერთი საუკეთესო სალონი,"** – გვითხრა ლეგენზოვმა.

ახალი სალონის მოდერნიზება, არაოფიციალური ინფორმაციით, თითქმის მილიონ დოლარამდე დაჯდა. ამჟამად ბატონი პატარკაციშვილის ვერტმფრენი საუკეთესო ბიზნეს-კლასის ვერტმფრენს წარმოადგენს, მას ერთ-ერთი საუკეთესო სალონი აქვს. მანქანა აღჭურვილია უახლესი ტიპის რადარებით, სანავიგაციო და კონდიცირების სისტემებით, ვიდეო და თანამგზავრული კავშირის დანადგარებით.

ჯერჯერობით, უცნობია, თუ რა დანიშნულებით აპირებს ამ ვერტმფრენის გამოყენებას ბატონი პატარკაციშვილი. ადრე გავრცელებული ინფორმაცია, თითქოს აღნიშნული მანქანა შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის გადასაცემად გაარემონტეს, შინაგან საქმეთა მინისტრმა კობა ნარჩემაშვილმა კატეგორიულად უარყო. **"შინაგან საქმეთა სამინისტროს ვერტმფრენების სარემონტო ფული არ აქვს,"** – განაცხადა ნარჩემაშვილმა.

კარგად ინფორმირებული წყაროს ცნობით, აღნიშნული ვერტმფრენი, თბილისის აეროპორტის ტერიტორიაზე დგას მუდმივ მზადყოფნაშია. ჩვენი სურვილი, ვიზუალურადაც გვეჩვენებინა ყველაზე ძვირადღირებული სალონის მქონე ვერტმფრენი, ვერ განხორციელდა. თბილისის აეროპორტის კომერციულმა დირექტორმა თამაზ ანდღულაძემ კატეგორიულად უარყო აეროპორტში ასეთი ვერტმფრენის არსებობის ფაქტი. **"ასეთი ვერტმფრენი ჩვენს აეროპორტში არ დგას, შეიძლება, სადღაც მართლაც დგას, მაგრამ არა ჩვენთან,"** – გვითხრა ანდღულაძემ.

ეს ქართველი მილიონერების მიერ ვერტმფრენის შეძენის პირველი შემთხვევა არ არის. აქამდე გახმაურებული ფაქტებიდან, აღსანიშნავია "ომეგას" პრეზიდენტის ზაზა ოქუაშვილის, აჭარის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის, ასლან აბაშიძის ოჯახისა და ე.წ. კანონიერი ქურდის, შაქრო კალაშოვის წარმატებული აქტივობა ამ მიმართულებით. ამ უკანასკნელს, დაბა წყნეთში, თავის ვილასთან, ვერტმფრენის ასაფრენი მოედანიც კი აქვს მოწყობილი.

# დემოკრატია ყაზახურად

ლინა პანტელეევა

ბოლო პერიოდის განმავლობაში, აშშ-ყაზახეთის დაახლოების ფონზე, სულ უფრო ხშირად დგება კითხვის ქვეშ ყაზახეთის ხელისუფლებისა და საზოგადოების დემოკრატიულობა. Washington Post-ის ერთ-ერთი პუბლიკაციის თანახმად, "მაშინ, როდესაც ყაზახეთის ეკონომიკა ყვავის და მისი ურთიერთობები მსოფლიოს დიდ ძალებთან, მათ შორის, აშშ-თან, ნორმალიზდება, ნაზარბაევმა თავისი კრიტიკოსებისა და ოპონენტების წინააღმდეგ გაილაშქრა". ყაზახეთში შექმნილი ვითარება შეფასდა, როგორც "პოლიტიკური დაძაბულობისა და რეპრესიების ზაფხული".

საქმე ის არის, რომ ბოლო პერიოდის განმავლობაში ყაზახეთის პრეზიდენტი ნურსულთან ნაზარბაევი, რომელიც ცნობილია თავისი "მგრძნობიარობით კრიტიკისადმი", ღიად უსწორდება პოლიტიკურ ოპონენტებსა და ოპოზიციური მედიის წარმომადგენლებს. წინა კვირას ყაზახეთის უზენაესმა სასამართლომ ექვსი წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა ენერგეტიკის ყოფილ მინისტრს და განაჩენის აპელირების უფლება უარყო. გარდა ამისა, დაიწყო გამოძიება ყაზახეთის ერთ-ერთი რეგიონის ყოფილი გუბერნატორის წინააღმდეგ. წაყენებული ბრალდების დამტკიცების შემთხვევაში, მას ათი წლით თავისუფლების აღკვეთა ელის. ყაზახეთის უშიშროების სამსახური კი ჟურნალისტისა და ადამიანის უფლებების აქტიური დამცველის, სერგეი დუვანოვის საქმეს იძიებს, პრეზიდენტის ღირსების შელახვის ბრალდებით (ყაზახეთის სისხლის სამართლის კოდექსის 318-ე მუხლი).

რამ გამოიწვია პრეზიდენტის ასეთი გალიზიანება, რომელიც, ფაქტობრივად, ოპოზიციის წინააღმდეგ ღია ომში გადაიზარდა? Los Angeles Times-ის ერთ-ერთ პუბლიკაციაში ამის რამდენიმე მიზეზია მოყვანილი. პირველ რიგში, ყაზახეთში ორგანიზებული ოპოზიციის აღმოცენების საფრთხე გაჩნდა. მეორეს მხრივ, თავისუფალი მედია, მუქარისა და შევიწროების მიუხედავად, ხელისუფლების და თვით პრეზიდენტის კრიტიკას აღარ ერიდება.

2001 წლის ნოემბერში ჩამოყალიბდა ოპოზიციური პოლიტიკური მოძრაობა "დემოკრატიული არჩევანი", რომლის დამფუძნებლების მიზანი ყაზახეთის დემოკრატიზაცია იყო. "დემოკრატიული არჩევანი" პრეზიდენტის კრიტიკას არ ისახავდა მიზნად, პირიქით, ნაზარბაევთან დიალოგის წარმოებას გეგმავადა. თუმცა, აქ იჩინა თავი ნაზარბაევის ფსევდო-დემოკრატობამ. დამფუძნებლებს შორის იყვნენ ვიცე-პრემიერი და მთავრობის კიდევ რამდენიმე წევრი, რომლებიც სასწრაფოდ თანამდებობებიდან გაათავისუფლეს, ორი მათგანის წინააღმდეგ კი გამოძიებაც დაიწყო. ნურსულთან ნაზარბაევის შეფასებით, ისინი "ჩვეულებრივ კორუმპირებულ" ჩინოვნიკებს წარმოადგენენ, რომლებმაც "მოპარული ფულით პოლიტიკური პარტია შექმნეს". აღსანიშნავია, რომ ორივე პირის წინააღმდეგ კორუფციის ბრალდება მანამდეც იყო წაყენებული, მაგრამ გამოძიებამ ეს ბრალდებები ვერ დაამტკიცა. ხოლო მას შემდეგ, რაც ისინი "დემოკრატიულ არჩევანს" შეუერთდნენ, გამოძიება განახლდა.

ნაზარბაევის "დემოკრატიულობა" მას შემდეგ უფრო გამოაშკარავდა, რაც მთავრობამ თავისუფალი მედიის წინააღმდეგ გაილაშქრა – დამოუკიდებელ გაზეთებსა და ტელეარხებს ლიცენზიების მიღებაში ექმნებათ პრობლემები, მათ ღიად ემუქრებიან და ხშირ შემთხვევაში მუქარას ასრულებენ კიდევაც. "რესპუბლიკის ბიზნეს რევიუს" რედაქტორი ირინა პეტრუშევა აცხადებს, რომ პირადად მას და ჟურნალის თანამშრომლებს არაერთხელ დაემუქრნენ, რათა მათ მთავრობისა და პრეზიდენტის კრიტიკა შეეწყვიტათ. პეტრუშევას განცხადებით, "რესპუბლიკის ბიზნეს რევიუ" არასდროს ყოფილა ოპოზიციური ორგანო. ეს იყო ჟურნალი, რომელიც, უბრალოდ, ობიექტური ინფორმაციის წყაროს წარმოადგენდა, რაც ყაზახეთში, ფაქტობრივად, მთავრობის კრიტიკის ტოლფასია. პეტრუშევას შეფასებით, ხელისუფლება განსხვავებული აზრის მქონე პირების წინააღმდეგ "სუკ-ის მეთოდებს" იყენებს.

ნაზარბაევის განსაკუთრებელი გაალიზიანება გამოიწვია აპრილში ყაზახურ პრესაში ("რესპუბლიკის ბიზნეს რევიუ") გავრცელებულმა ინფორმაციამ ნაზარბაევის მიერ "შევრონ კორპორეიშენისგან" მიღებული 1 მილიარდი დოლარის მითვისების შესახებ, რომელიც შვეიცარიის ბანკში საიდუმლო ანგარიშზე დაიდო. ამის საპასუხოდ მთავრობა აცხადებდა, რომ ეს წარმოადგენს სარეზერვო ფონდს, რომელიც ყაზახური ფულის გამაგრებას ემსახურება. თუმცა, არგუმენტაცია დამაჯერებელი არ ყოფილა. მაისში კი "რესპუბლიკის ბიზნეს რევიუს" ოფისში ნაღმი ააფეთქეს.

ოპოზიციის მიმართ ნაზარბაევის დამოკიდებულებას კიდევ ერთხელ გაესვა ხაზი მას შემდეგ, რაც მისმა ფრაქციამ პარლამენტში მიიღო კანონი პოლიტიკური პარტიების შესახებ, რის შედეგადაც თითქმის შეუძლებელი ხდება ოპოზიციური გაერთიანებების პოლიტიკურ პარტიებად რეგისტრირება. ამ კანონის თანახმად, გაერთიანებამ პოლიტიკური პარტიის სტატუსი რომ მიიღოს, მას ყაზახეთის მთელ ტერიტორიაზე 50,000 რეგისტრირებული წევრი უნდა ჰყავდეს. აღსანიშნავია, რომ კანონმა შეერთებული შტატებისა და ეუთო-ს კრიტიკა გამოიწვია, რადგან ეს, ფაქტობრივად, პოლიტიკური პარტიების აკრძალვას ნიშნავს. ამისდა მიუხედავად, წინა კვირას ნაზარბაევმა კანონს ხელი მოაწერა. ზოგიერთი ოპოზიციონერის აზრით, მთავრობის შემდეგი ნაბიჯი ვადამდელი არჩევნების დანიშვნა იქნება.

ყაზახეთის პრეზიდენტი ნურსულთან ნაზარბაევი ქვეყნის სათავეში უკვე 14 წლის განმავლობაშია (აქედან 11 წელი იგი დამოუკიდებელი ყაზახეთის პრეზიდენტია) და, როგორც ჩანს, თანამდებობის დათმობას კიდევ კარგა ხანს არ აპირებს. ერთ-ერთი ოპოზიციონერის შეფასებით, ყაზახეთი "სუპერ-საპრეზიდენტო რესპუბლიკაა, სადაც პრეზიდენტი წყვეტს ყველაფერს." ნაზარბაევის ოპონენტები და კრიტიკოსები ადანაშაულებენ პრეზიდენტს კორუფციასა და ნეპოტიზმში. მისი ქალიშვილი დარიგა ნაზარბაევა და სიძე ყაზახეთში მნიშვნელოვან პოლიტიკურ ფიგურებს წარმოადგენენ. დარიგა ნაზარბაევა ყაზახური მედიის მონოპოლისტია, ოღონდ იგი ამას უარყოფს. ნაზარბაევის ოჯახს ბიზნესიც მონოპოლიზირებული აქვს.



ნურსულთან ნაზარბაევი

Washington Post-ისთვის მიცემულ ინტერვიუში ნაზარბევი დასავლეთის მიერ ყაზახეთში დემოკრატიზაციის პროცესის მიმართ გამოთქმული კრიტიკის საკითხს შეეხო. იგი აცხადებს, რომ აშშ-ს დემოკრატია 226 წლისაა. "მაშ, რატომ გინდათ, რომ ჩვენ ყველაფერი ერთ წელიწადში გავაკეთოთ?". გარდა ამისა, იგი აცხადებს, რომ ყაზახეთმა გააზრებული არჩევანი გააკეთა და დემოკრატიული განვითარების გზას არ ღალატობს. რაც შეეხება მის წინააღმდეგ გამოთქმულ კრიტიკას, ანტიდემოკრატიული მეთოდების გამოყენებასთან დაკავშირებით, იგი აცხადებს: **"ჩვენ ურთიერთობის განსხვავებული გაგება გვაქვს, რომელიც თქვენ არ გესმით"**.

ექსპერტების შეფასებით, 11 წლის განმავლობაში ყაზახეთის დამოუკიდებელი სახელმწიფოს პრეზიდენტად ყოფნის მანძილზე პირველად ნაზარბაევი სერიოზული პოლიტიკური პრობლემების წინაშე დგას. დასავლეთისთვის და, განსაკუთრებით, შეერთებული შტატებისთვის ყაზახეთის სტაბილურობა ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან ეს ქვეყანა ცენტრალურ აზიაში მათ მთავარ პარტნიორს წარმოადგენს. ცენტრალური აზიის სტრატეგიული მნიშვნელობა კი, ნავთობის რეზერვებისა და ავღანეთში მიმდინარე ანტიტერორისტული კამპანიის ფონზე, სულ უფრო იზრდება. ტერორიზმის წინააღმდეგ მიმართულ კამპანიაში ყაზახეთის განსაკუთრებული როლი კიდევ უფრო გამოიკვეთა მას შემდეგ, რაც ხელი მოეწერა აშშ-ყაზახეთის ხელშეკრულებას საგანგებო შემთხვევებში ანტიტერორისტული კოალიციის თვითმფრინავების მიერ ყაზახეთის საერთაშორისო აეროპორტის გამოყენების უფლების შესახებ. გარდა ამისა, დასავლეთი ყაზახეთში პოტენციურად მნიშვნელოვან ეკონომიკურ ძალას ხედავს, მისი ნავთობისა და ბუნებრივი აირის რესურსების წყალობით. ზოგიერთი ექსპერტის შეფასებით, 2015 წლისთვის ყაზახეთმა მსოფლიოს ნავთობის ექსპორტიორთა სიაში, შესაძლოა, მეორე ადგილი დაიკავოს.

როგორია დემოკრატიის პერსპექტივა ყაზახეთში? ექსპერტები შიშობენ, რომ ცენტრალური აზიის ქვეყნებთან, განსაკუთრებით, ყაზახეთთან, სამხედრო და ენერგეტიკულ სფეროში თანამშრომლობის აუცილებლობამ, შესაძლოა, ის გამოიწვიოს, რომ დასავლეთი ნაკლებ ყურადღებას მიაქცევს მმართველობის ავტოკრატიული წესების არსებობასა და ადამიანის უფლებების დაცვის სფეროში არსებულ სავალალო მდგომარეობას. ასეთ პირობებში, ყაზახეთში მხოლოდ "ყაზახური დემოკრატია" თუ მოიკიდებს ფეხს.

## როგორ პასუხობს აშშ-ს მუქარას ერაყი

წინა კვირას მსოფლიო პრესის ყურადღება მიიპყრო ერაყელი დიქტატორის, სადამ ჰუსეინის უფროსი შვილის, უდეის მიმართვამ ერაყის ეროვნული კრების რიგგარეშე სესიისადმი, რომელშიც, აშშ-ს მხრიდან ახალი ანტიერაყული კამპანიის დაწყების საფრთხის ფონზე, საშინაო და საგარეო-პოლიტიკური სტრატეგიის ელემენტებზე იყო გამახვილებული ყურადღება. მიმართვა საინტერესოა არა მხოლოდ თავისი შინაარსით, არამედ იმის გამოც, რომ ეს არის ერთ-ერთი პირველი გამოქვეყნებული დოკუმენტი, რომელსაც ჰყავს ავტორი და რომელიც მოვლენათა შესაძლო განვითარების მიმართ ოფიციალური ისტებლიშმენტის აზრთა გარკვეულ სპექტრს ასახავს. უდეი, შესაძლოა, ოფიციალურ პოზიციას არ გამოხატავდეს, რადგან ჰუსეინის მემკვიდრე არ არის (ჰუსეინის მემკვიდრედ მისი ძმა ითვლება), მაგრამ კარგად იცის ის პოლიტიკა, რომელსაც მამამისი ბოლო წლების განმავლობაში ატარებდა, ჩახედულია ხელისუფლების საქმიანობაში და, აქედან გამომდინარე, მისი მოსაზრება ყურადსაღები უნდა იყოს.

მიმართვაში უდეი ეხება ახალი ანტიერაყული კამპანიის საკითხს – რამდენად რეალურია აშშ-ს მუქარა და რას ემსახურება იგი. უდეი რამდენიმე ვარიანტს განიხილავს. ერთის მხრივ, ახალი კამპანიის დაწყების მუქარა, შესაძლოა, ფსიქოლოგიური ზეწოლის მცდელობა იყოს, რომელიც მიზნად ისახავს, აიძულოს ერაყი საერთაშორისო დამკვირვებლები ქვეყანაში შეუშვას (1998 წლიდან ერაყი გაერო-ს დამკვირვებლებს ქვეყანაში არ უშვებს). უდეი არ გამორიცხავს იმასაც, რომ, ანტიერაყული კამპანიის დაწყებით, ბუშის ადმინისტრაცია, შეიძლება, საშინაო (მაგალითად, კორპორატიული სკანდალები) ან საგარეო (სიონისტების დანაშაულებრივი ქმედებები პალესტინაში) პრობლემებიდან ყურადღების გადატანას ცდილობს. უდეი ეჭვის თვალით უყურებს იმ ფაქტს, რომ ანტიტერორისტული კამპანიის გეგმა პრესისთვის ადვილად ხელმისაწვდომი გახდა (Washington Post-მა გამოაქვეყნა) და ამით კამპანიამ საკმაოდ მნიშვნელოვანი ფაქტორი – მოულოდნელობა დაკარგა. უდეის ბოლო ვარიანტის თანახმად, ამერიკელები არ ხუმრობენ და ამჯერად ჰუსეინის რეჟიმის დამხობას უკვე სერიოზულად ისახავენ მიზნად. ამ ყველაზე უარესი შემთხვევისთვის უდეის აქვს საკუთარი "სამოქმედო გეგმა". იგი მიიჩნევს, რომ "თანამედროვე სახელმწიფო არის ის სახელმწიფო, რომელსაც აქვს გეგმა".

უდეის სამოქმედო გეგმის თანახმად, აუცილებელია "ირიბი გზით" ერაყის საზოგადოების ფსიქოლოგიურად მომზადება ახალი ომისთვის, რომელიც, სავარაუდოდ, უფრო მძიმე იქნება, ვიდრე 1991 წელს. პრინციპში, ერაყელ ხალხს ომისთვის ფსიქოლოგიური მომზადება არ უნდა სჭირდებოდეს, რადგან უკვე მრავალი წლის განმავლობაში ერაყელები ამერიკელების თავდასხმის მუდმივი საფრთხის პირობებში ცხოვრობენ. გარდა ამისა, მათთვის სიღარიბეც, რომელიც თან სდევს ომებს, სიახლე არ არის (ერაყელი ოფიცრების თვიური ანაზღაურება 20 დოლარს, ხოლო საშუალო რგოლის ჩინოვნიკების კი - 7 დოლარს შეადგენს). ერაყელებმა დიდი ხანია, მოახერხეს ადაპტაცია ამ პირობებში – ჩინოვნიკები ქრთამებს იღებენ, ჯარისკაცები ფულის შოვნის ალტერნატიულ გზებს ეძებენ და სხვ. "ახლო აღმოსავლეთის კვლევების ცენტრის" მკვლევართა აზრით, ერაყელთა ფსიქოლოგიურ პრობლემას "მსხვერპლის კომპლექსი" ეწოდება, რომელიც უცხოელებთან ურთიერთობისას იჩენს ხოლმე თავს და სწორედ ქვეყანაში წლების განმავლობაში არსებული ვითარებისა და პრობლემების შედეგად ჩამოყალიბდა. "მსხვერპლის კომპლექსის" მთავარი გამოხატულებაა "სახალხო გმირობის" სულისკვეთების ნაკლებობა. წლების განმავლობაში, რეპრესიული რეჟიმის ზეწოლის პირობებში, ერაყელებს ვალდებულებების ავტომატურად შესრულების ჩვევა გამოუმუშავდათ, რომელიც, ომის შემთხვევაში, ბრძოლისუნარიანობის შესანარჩუნებლად მხოლოდ გარკვეული დროის განმავლობაში იქნება საკმარისი.

ერაყის რეჟიმისთვის საფრთხეს წარმოადგენს რეჟიმის პოლიტიკით და გაუსაძლისი ეკონომიკური პირობებით უკმაყოფილო ხალხის არსებობა, რაც, შეიძლება, სამოქალაქო დაუმორჩილებლობაში გადაიზარდოს. ამ საფრთხის რეალურობას უდეიც აცნობიერებს და მიიჩნევს, რომ უკმაყოფილო მოსახლეობის აჯანყების თავიდან ასაცილებლად მოსახლეობის ყოფით პრობლემებს სათანადო ყურადღება უნდა მიექცეს. ერთ-ერთ საშუალებად უდეის სურსათის მარაგის გაზრდა მიაჩნია.

უდეის გეგმის ერთი მონაკვეთი ერაყის სავარაუდო მოკავშირეების საკითხს ეხება. უდეი მიიჩნევს, რომ არაბი ლიდერები სანდო არ არიან, მაგრამ "არაბული ქუჩა," ანუ ხალხი, რომელიც პროტესტის ნიშნად, შეიძლება, ქუჩებში გამოვიდეს, მნიშვნელოვანი ფაქტორია. რაც შეეხება ერაყის სხვა "მეგობრებს", მათთან ურთიერთობა აიგება პრინციპზე – ეკონომიკური სარგებელი (უდეი ამას ფრჩხილებში მოქრთამვას უწოდებს) პოლიტიკური პოზიციის სანაცვლოდ. სწორედ ამ პრინციპის გამოყენებით გახდება შესაძლებელი მსოფლიო ასპარეზზე ანგარიშგასაწევი ქვეყნების აშშ-ს წინააღმდეგ ამხედრება. ასეთი ქვეყნების სიაში უდეი, პირველ რიგში, რუსეთსა და სირიას განიხილავს. მის პროგრამაში განსაკუთრებული ადგილი დაეთმო საფრანგეთს, რომლის მიმართაც ერაყის პოზიცია უფრო მკაცრი უნდა იყოს, და იორდანიას (შესაძლოა, ანტიერაყულ კოალიციას შეუერთდეს), რომელსაც დროულად უნდა მისცენ გაფრთხილება.

უდეის მიმართვაში გაკრიტიკებულია ერაყული დიპლომატია, რომლის მთავარ პრობლემას კვალიფიციური კადრების უქონლობა წარმოადგენს. იგი მოუწოდებს ერაყელ დიპლომატებს, უფრო აგრესიულ და აქტიურ დიპლომატიას მიმართონ, რათა ყველა დონეზე, ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით, ერაყის პოზიცია იყოს დაფიქსირებული.

წარმოადგენს თუ არა ეს გეგმა ერაყის ხელისუფლების ოფიციალურ პოზიციას, ნაკლებად მნიშვნელოვანია. ყოველ შემთხვევაში, მასში ნათლად აისახა ის პოლიტიკა, რომელსაც ერაყი ბოლო წლების განმავლობაში ატარებდა (ქვეყნის მომავლის ხედვის არარსებობა და ხელისუფლების ნებისმიერ ფასად შენარჩუნება) და პრობლემები, რომელზეც საუბარი გაუთავებლად მიმდინარეობს (სამოქალაქო დაუმორჩილებლობის საფრთხე).

# ამბოხება ან დიქტატურა

შოთა უტიაშვილი

ირანის "რეფორმატორთა ფრთის" ერთ-ერთმა ლიდერმა და პრეზიდენტის ძმამ, მოჰამად-რეზა ხათამიმ ამას წინათ განაცხადა, რომ თუ კონსერვატორები კვლავაც გააგრძელებენ აუცილებელი ცვლილებების გატარებისათვის ხელის შეშლას, მაშინ ქვეყანაში ან დიქტატურა დამყარდება, ან სახალხო ამბოხი მოხდება. მის ამგვარ შეხედულებას ბევრი იზიარებს. ქვეყნის პოლიტიკურ სპექტრში ორ ძირითად ფრთას - რეფორმატორებსა და კონსერვატორებს - შორის იმდენად უზარმაზარი და მზარდი უფსკრული არსებობს, რომ დიდი ხნით მათი მშვიდობიანი თანაარსებობა შეუძლებელია.

კონსერვატორები, ანუ "მოლები", როგორც მათ ზოგჯერ უწოდებენ, ქვეყანაში თეოკრატიული რეჟიმის შენარჩუნებას უჭერენ მხარს. ამ სისტემაში უმაღლესი ხელისუფლება სულიერ ლიდერს, აიათოლა ალი ხამენეის ეკუთვნის, მოლები და მათი მხარდამჭერნი აკონტროლებენ არმიას, საიდუმლო სამსახურებსა და სასამართლოს. მათი დეკლარირებული მიზანი ქვეყანაში ჭეშმარიტი ისლამის პრინციპებზე დამყარებული სახელმწიფოა, რომელსაც ღვთის მადლით ცხებული სასულიერო პირები მართავენ.

ალაჰის უზენაესობას, ბუნებრივია, რეფორმატორებიც აღიარებენ, თუმცა მის ამქვეყნიურ წარმომადგენელთა მმართველობის მიზანშეწონილობას ნელ-ნელა ეჭვქვეშ აყენებენ.

რეფორმატორთა წისქვილზე წყალს ორი გარემოება ასხამს: ერთი, რომ ხალხი დაიღალა მკაცრი ისლამური წესებით, ჩადრებითა და შარიათის კანონებით, და მეორე, სანამ მოლები ამქვეყნიურ სამოთხეს აშენებდნენ, როგორც ასეთ დროს ხშირად ხდება ხოლმე, ეკონომიკა ხელში შემოეფცქვნათ და ერთ დროს რეგიონის ყველაზე მდიდარი და პროგრესული ქვეყანა დღეს ღარიბ, ჩამორჩენილ და ერთ-ერთ ყველაზე იზოლირებულ სახელმწიფოდ აქციეს.

ერთი სიტყვით, მოსახლეობის უმრავლესობის სიმპატიები რეფორმატორთა მხარესაა. რა უნდა ქნას იმ ხელისუფლებამ, რომელიც ხელისუფლების ბერკეტებს თითქმის სრულად ინარჩუნებს, მაგრამ ხალხის მხარდაჭერა აკლია? პოსტსაბჭოური ქვეყნების პასუხი ამ დილემაზე არჩევნების გაყალბება ან ხელისუფლების უზურპაცია (მუდმივი პრეზიდენტის მსგავსი პოსტის შემოღება) იქნებოდა. მაგრამ ირანი საკმაოდ განვითარებულია იმისათვის, რომ აშკარა ავტოკრატია აიტანოს. რაც შეეხება გაყალბებას, რაკი დემოკრატიული ფრონტი საკმაოდ მტკიცედაა შეკავშირებული და პოპულარობით ბევრით უსწრებს კონსერვატორებს, არჩევნების მასობრივი გაყალბება აქ სწორედ არჩევნების და არა რეფორმატორების დელეგიტიმიზაციას გამოიწვევდა.

თუ არ შეგიძლია ხალხს მთლად თვალში ნაცარი შეაყარო, კიდევ არის რამდენიმე ნაცადი საშუალება, მაგალითად, შეგიძლია, ადგე და ოპოზიცია სამშობლოს მოღალატედ და უცხოეთის აგენტებად გამოაცხადო. როცა შენს ხელშია სასამართლო, მასმედიის დიდი ნაწილი და პარასკევის ლოცვები, ეს არც ისე ძნელია.

სწორედ ასე იქცევა ირანის კონსერვატიული ფრთა, უფრო სწორად, მისი სამხედრო დასაყრდენი, "რევოლუციის მცველთა კორპუსი", რომელმაც რეფორმატორები ქვეყნის ისლამური წყობილების შეცვლის მცდელობაში და "დიდი სატანის" (აშშ!) აგრესიისათვის ნიადაგის მომზადებაში დაადანაშაულა.

რაც შეეხება თავად "დიდ სატანას", ხათამის ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, ვაშინგტონში გარკვეული წრეები ცდილობდნენ თეირანთან ურთიერთობების გაუმჯობესებას, მაგრამ, რაკი მათ, ჯერ ერთი,



თავად ამერიკაში შეხვდათ წინააღმდეგობა და მეორეც, დაინახეს, ვის ხელში იყო თეირანში რეალური ხელისუფლება, ხელი ჩაიქნიეს. ამას წინათ, ბუშმა ირანი, ერაყსა და ჩრდილოეთ კორეასთან ერთად, "ბოროტების ღერძის" ნაწილად დაასახელა. ამაზე ირანელი კონსერვატორები მაშინვე აყვირდნენ, ეგეც თქვენი დემოკრატიისა და თავისუფალი ცხოვრების იდეალი ამერიკაო.

რეფორმატორთა ფრთას აშკარად მძიმე დღეები უდგას. მათ რამდენი არჩევნებიც არ უნდა მოიგონ, ხელისუფლებაში ვერ მოვლენ, რადგან ძალაუფლების დიდი ნაწილი არაარჩეული მოლების ხელშია კონცენტრირებული. თუ ისინი ეცდებიან, ისტებლიშმენტთან ბრძოლა გაამწვავონ, საბოლოო დამარცხების საფრთხის წინაშე აღმოჩნდებიან, რადგან რესურსები აშკარად არათანაბარია, თანაც, ამით მოლებს საშუალებას მისცემენ, ისინი ქვეყანაში სამოქალაქო დაპირისპირების პროვოცირებაში დაადანაშაულონ. ხოლო თუ რეფორმატორები არსებულ ვითარებას შეურიგდებიან, მაშინ მოსახლეობის მხრიდან დაკარგავენ ნდობას.

ერთი პირობა, ხათამი და რეფორმატორთა ზოგიერთი ლიდერი, საერთოდ, პოლიტიკიდან წასვლითაც დაიმუქრა, მაგრამ, ჯერ ერთი, ეს მუქარა სერიოზულად თითქმის არავინ მიიღო და მეორეც, ისინი მართლაც რომ წავიდნენ, ამით ბევრი არაფერი შეიცვლება: "წმინდა ადგილი" თავისუფალი დიდხანს არ დარჩება.

რა შეიძლება მოხდეს ირანში, ამის პროგნოზირებას ვერავინ ბედავს, მაგრამ, დაპირისპირების გამწვავების ფონზე, სულ უფრო მეტი იხრება იმ აზრისაკენ, რომელიც პრეზიდენტის ძმამ გამოთქვა: ამბოხება ან დიქტატურა.

## რას ნიშნავს კლანური მმართველობა

18 ივლისის გაზეთმა "ჰურიეტმა" გამოაქვეყნა აზერბაიჯანის პრეზიდენტის, ალიევის იმ ნათესავების არასრული სია, ვისაც ქვეყნის ხელისუფლებაში ან მასთან დაახლოებულ სტრუქტურებში მაღალი პოსტები უკავიათ. გთავაზობთ ამ სიის ნაწილს:

**ილჰამ ალიევი** – შვილი – სახელმწიფო ნავთობკომპანიის ვიცე-პრეზიდენტი და პარლამენტის წევრი;

**ქალაქ ალიევი** – ძმა – პარლამენტის წევრი;

**აქილ ალიევი** – ძმა – სამედიცინო უნივერსიტეტის დეპარტამენტის დირექტორი;

**ხალილ ყულიევი** – სიძე – სანაოსნო ტრანსპორტის პოლიციის ყოფილი უფროსი;

**რაფიკ ხალაფოვი** – სიძე – ყოფილი ვიცე პრემიერი, გარდაიცვალა;

**სევილ ალიევა** – ქალიშვილი – ქალთა სამოქალაქო საზოგადოების პრეზიდენტი;

**მაჰმუდ მამადყულიევი** – სიძე – ყოფილი ელჩი ინგლისში, ამჟამად საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე;

**მირსალალ ფაშაევი** – მძახალი – საავიაციო აკადემიის რექტორი;

**ჰაფიზ ფაშაევი** – მირსალალის ძმა – დესპანი აშშ-ში;

**აქილ ფაშაევი** – ჰაფიზისა და მირსალალის ძმა – სასტუმრო "აფშერონის" დრექტორი;

**ქამილ ალიევი** – სიძე – ონკოლოგიის ცენტრის დირექტორი;

**რაფიკ მაჰმუდოვი** – შვილის სიძე - ფარმაცევტიკის დეპარტამენტის ყოფილი უფროსი;

**ჯაჰიდ მურადოვი** – ძმის რძლის შვილი – იუსტიციის პოლიციის უფროსი;

**ადალათ ალიევი** – ძმის შვილიშვილი – საბაჟოს უფროსი;

**ფიქრათ მამადოვი** – რძლის შვილი – იუსტიციის მინისტრი;

**ნადირ აჰმადოვი** – ძმის შვილის სიძე – კავშირგაბმულობის მინისტრი;

**რაუფ ჰაჯიევი** – დისშვილის (ან ძმისშვილის) ქმარი – მეთევზეობის დეპარტამენტის უფროსი;

**ტაჰირ ალიევი** – შორეული ნათესავი – ბაქოს ნაზიმის ოლქის "გამგებელი;"

**იუსუფ ნოვრუზოვი** – ნათესავი – სატრანსპორტო კომპანია "აზარავტოიოლის" დირექტორი;

**ნოვრუზ ნოვრუზოვი** – იუსუფის შვილი – აეროპორტის პოლიციის უფროსი;

**ჰუსეინ ჰუსეინოვი** – სატრანსპორტო კომპანია "აზარავტონაქლიათის" დირექტორი;

**ჰეიდარ ბაბაევი** – შვილის მძახალი - ფასიანი ქაღალდების კომიტეტის თავმჯდომარე;

**იასარ ბაბაევი** – ჰეიდარის ძმა – ბაქოს ნავთობის საწყობის დირექტორი;

**ვასიფ ტალიბოვი** – დისშვილის (ან ძმისშვილის) სიძე – ნახჭევანის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე;

**ბაილარ აიუბოვი** – დისშვილის (ან ძმისშვლის) სიძე - პრეზიდენტის დაცვის უფროსი;

**იაყუბ აიუბოვი** – ბაილარის ძმა – ვიცე-პრემიერი;

**სიაუშ ყარაევი** – ძმის სიძე – ნავთობის აკადემიის რექტორი.

და ასე შემდეგ ...

# ქუჩაში ხორცს ნუ იყიდით, ის, შეიძლება, ცხენის აღმოჩნდეს

თამარ მაისურაძე

თბილისის მოსახლეობას ახალი თავსატეხი გაუჩნდა – ამბობენ, ბაზარში მყიდველს, საქონლის ხორცის ნაცვლად, ცხენის ხორცს აპარებენო. ეს ამბავი იმ შეშფოთებული ხალხისგან გავიგეთ, რომელთა თქმითაც, ცხენის ხორცს "დეზერტირების" ბაზარში ყიდიან.

ბაზრის ლაბორატორიაში ეს ამბავი კატეგორიულად უარყვეს. "ეს ფაქტი ლოგიკაში არ ჯდება. ხორცი, რომელიც ბაზარში შემოდის, ლაბორატორიაში მოწმდება. არც ერთი ლაბორანტი არ გარისკავს და ამ პასუხისმგებლობას საკუთარ თავზე არ აიღებს. ჩვენთან მუშაობს 27 კვალიფიციური ვეტექიმი, რომლებიც დღის განმავლობაში, 10-15-წუთიანი ინტერვალით, გამუდმებით ატარებენ რეიდს. გემოს რომ თავი დავანებოთ, ეს ხორცი ფერით იმდენად განსხვავდება საქონლის თუ სხვა ცხოველის ხორცისგან, რომ შეუძლებელია, ეს ვერ შეამჩნიო. შეიძლება ხორცკომბინატში შეიტანონ ძეხვის დასამზადებლად, რადგან ცხენის ხორცი ძეხვის ხარისხის ყველა ნორმატივს აკმაყოფილებს", – გვითხრა "დეზერტირების" ბაზრის ლაბორატორიის ხელმძღვანელმა რამაზ სეთურიძემ, რომელიც მხოლოდ ბაზრის შიდა ტერიტორიაზე აგებს პასუხს. "გარეთ არ ვიცი, რა ხდება, ვერაფერს გეტყვით", – დაუმატა მან.

ბაზრის მიმდებარე ტერიტორიას, წესით, ქალაქის სანიტარული სამსახური უნდა აკონტროლებდეს. მაგრამ მას შემდეგ, რაც ჩვენთან "სამეწარმეო საქმიანობის შესახებ" კანონი ამოქმედდა, მაკონტროლებელ სამსახურებს მეწარმისთვის პროდუქტის ჩამოსართმევად მრავალი ბარიერი აქვთ გადასალახავი. ერთი სიტყვით, ამისთვის სასამართლოს გადაწყვეტილებაა საჭირო. ასე რომ, ქუჩაში ვინ რას და როგორ ყიდის, არავინ იცის და პასუხსაც ვერავის მოსთხოვ.

სანიტარული სამსახურის ხელმძღვანელმა ჯულული ახვლედიანმა ცხენის ხორცის გაყიდვის ამბავი არც დაადასტურა და არც უარყო. "გარე მოვაჭრეებს არავინ ამოწმებს. მსგავსი ფაქტების თავიდან ასაცილებლად, პირველ რიგში, ქუჩაში ვაჭრობა უნდა აიკრძალოს, მით უმეტეს, მალფუჭებადი პროდუქტებით ვაჭრობა. ხორცის გამყიდველები კი ყველანაირად უნდა აიძულონ, რომ ბაზარში შევიდნენ, პროდუქტმა ლაბორატორიული შემოწმება გაიაროს და ბაზარშივე გაიყიდოს", – ამბობს იგი.

სატელევიზიო რეკლამების კვლევა და მონიტორინგი
ჯორჯიან რისარჩი

[illegible]

ჩვენი ტელეფონები: 25-35-48; (899) 51-19-94

სექტემბრიდან რუსთავი 2 იწყებს ახალ შოუს – „ხალხის პირისპირ". ეს არის ტელევიქტორინა, რომლისთვისაც თქვენ, მაყურებლები შეადგენთ კითხვებს და მოიგებთ ფულს, თუ თქვენი შეკითხვა ჩაჭრის სტუდიაში მოწვეულ კონკურსანტს.

ხალხის პირისპირ

მაშ ასე, შეავსეთ ბლანკი, ამოჭერით და გამოგვიგზავნეთ, შეკითხვების მიღება უფასოა. (გთხოვთ, გაეცნოთ ქვემოთ მოყვანილ წესებს და ინსტრუქციებს).

ინსტრუქცია კითხვის შესადგენად:
[illegible]

შეკითხვის ტექსტი:

პასუხის ტექსტი:

[illegible]

სახელი და გვარი:
ბინის მისამართი:
საფოსტო ინდექსი:
სამსახურის ტელეფონის ნომერი:
ბინის ტელეფონის ნომერი:
მობილური ტელეფონის ნომერი:

[illegible]

[illegible]

[illegible]

# რა განსხვავებაა ხუთსა და ექვსს შორის

## თსუ-ს საგამოცდო შეფასებების სისტემით, ფასიანი განყოფილება უცოდინართა, მაგრამ შეძლებულთა ნავსაყუდელია



ნეტავ, რას იზამს?



ბედისწერის დაფასთან

იური ლობოდინის ფოტოები

დალი კუპრავა

20 ივლისიდან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მისაღები გამოცდები დაიწყო. "მახსოვს, რომ ავდიოდი, კიბეები არა და არ მთავრდებოდა", - იხსენებს თავის აბიტურიენტობას ერთ-ერთი დედა, თუმცა, ახლა უფრო ნერვიულობს, შვილის მოლოდინში, ვიდრე მაშინ.

22 ივლისს საპრეტენზიო კომისიას ბევრი სტუმარი ჰყავდა. ფსიქოლოგიის და უცხო ენათა აბიტურიენტები ნაშრომებს ქართულ ენასა და ლიტერატურაში ამოწმებდნენ, ეკონომისტები - მათემატიკაში.

"8 ქულა მივიღე. მეყოფა, მაგრამ მინდა, გადავამოწმო. თუ გადაწერაში არ მაქვს შეცდომა, მაშინ მეტი მეკუთვნოდა", - ამბობს აბიტურიენტი, რომელსაც თუ ფსიქოლოგობა არა, რამდენიმე თვეში დედობა აუცილებლად "ემუქრება".

"თვრამეტი ქულა დავაგროვე, მაგრამ შეფასება 8 მაქვს, არ გადამისწორეს, თუმცა, გამსწორებელმა მექანიკური შეცდომა აღიარა. არა უშავს, მეყოფა", - ეს გოგონაც ფსიქოლოგიურზე აბარებს. მარტივი არითმეტიკაა: თვრამეტი რომ ორზე გავყოთ, მივიღებთ ცხრას.

"ათი ოც ქულაზე იწერება, 19-ზე და 18-ზე - ცხრიანი. ეტყობა, იმ აბიტურიენტმა სიმართლე არ გითხრათ", - გვიპასუხეს საპრეტენზიო კომისიაში, რომელიც "24 საათმა", მეორე შეტევით, სულ რამდენიმე წუთით აიღო. აქვე გავიგეთ, რომ ქართულ ენაში 79 ნაშრომიდან სამის შეფასება შვიდიდან რვაზე გადაკეთდა, ხოლო ერთ-ერთ აბიტურიენტს დანის მჩხრეკელი ქათამივით დაემართა - შვიდი ექვსად გადაუკეთეს.

"შვიდიანი მქონდა და კომისიის თავმჯდომარემ რვად გადაასწორა", - გახარებულია მომავალი ფსიქოლოგი ეკა ჯაბუა.

"5 მივიღე, დავიბენი და ბევრი შეცდომა მქონდა. გამოცდებს ვერ გავაგრძელებ, მხოლოდ ფასიანზე შემიძლია", - გული შეგიღონდება ამ ბიჭის სახის დანახვაზე, რომელიც მენეჯმენტის და მიკროეკონომიკის ფაკულტეტზე აბარებდა. კიდევ უფრო მწუხარეა დედა: "ნიშანი ობიექტურია, მაგრამ მამა არა ჰყავს, რა ფასიანზე უნდა ვიფიქრო, იანვრიდან ჯარი უწევს, როგორ გავუშვა", - ამბობს ის და გაკვირვებულია, რატომ წერენ დადებით ნიშანს, თუ ის გამოცდების გაგრძელების უფლებას არ იძლევა.

როგორც საპრეტენზიო კომისიაში აგვიხსნეს, 5 და 6 ორივე დადებითი შეფასება ყოფილა, სამის ეკვივალენტი, მაგრამ "ექვსი" გამოცდის გაგრძელების უფლებას იძლევა, "ხუთი" კი მხოლოდ ფასიანის ვიზაა.

საერთოდ, "მაღლივში" გარეგნულად არაფერი შეცვლილა - იგივე ცნობათა ბიურო, იმავე ადგილზეა საპრეტენზიო კომისია, იგივე ფორმიანი პოლიციელები - კი გაშინებენ, და მიდი, არკვიე, იცავენ რამეს თუ თავს გესხმიან. ყველაფერზე: "არ ვიცი", "არ შეიძლება", "წაბრძანდით"... "როინ მეტრეველსაც არ შევუშვებთო", - გამოაცხადეს დამცველებმა, მაგრამ "24 საათს" მხოლოდ საჯარო მოხელის - დავით შარაბიძის ნახვა უნდოდა, ვისაც საპრეტენზიო კომისიასთან საუბრის ნებართვა უნდა გაეცა.

"შარაბიძე ზედა სართულებზეა და იქ ასვლა არ შეიძლება, თერთმეტამდე არ ჩამოვა", - გვითხრა ყველაზე ენაწყლიანმა და, როგორც ეტყობა, ყველაზე დიდმა დამცველმა, რომელსაც პირდაპირ დაევალა "24 საათის" კომისიიდან გამოყრა.



ვინ ვის?!





მამის ხელი იმედია, მითუმეტეს, რომ ირგვლივ ამდენი პოლიციელია



გადაწყვეტილების მოლოდინში

# შეზღუდული თავისუფლების საზოგადოება - უნივერსიტეტი

## მხოლოდ ერთხელ უფასო სწავლების ანტიკონსტიტუციურობა

ეთერ მამულაშვილი

*თუკი თქვენ სახლში გიდევთ, ვთქვათ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტის დიპლომი, რომელსაც ვერაფერში იყენებთ და ახლა გადაწყვიტეთ მენეჯმენტის შესწავლა, გზა ხსნილი გაქვთ. თუმცა, ამჯერად სწავლის საფასურის გადახდა აუცილებლად თქვენი ან თქვენი ოჯახის ბიუჯეტიდან მოგიწევთ. იმ შემთხვევაშიც კი, თუ თქვენ მისაღები გამოცდების კონკურსის ყველა პირობას შეასრულებთ და ქულების მაქსიმუმსაც მოაგროვებთ, უფასო განყოფილებაზე ჩარიცხვაზე არც იოცნებოთ. მაგალითად, თბილისის რამდენიმე სახელმწიფო უნივერსიტეტი ამის უფლებას გიკრძალავთ.*

საქართველოს ზოგიერთი უმაღლესი სასწავლებლის (მათ შორის თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სულხან-საბა ორბელიანის სახელობის პედაგოგიური უნივერსიტეტი, ილია ჭავჭავაძის სახელობის უცხო ენათა უნივერსიტეტი და სხვა) წესდებაში გარკვევით წერია, რომ ამ უნივერსიტეტებში მეორედ სწავლა ფასიანია.

უმაღლეს სასწავლებლების ზოგიერთი პედაგოგიც დარწმუნებულია, რომ სახელმწიფო ვალდებულია, ნებისმიერი ჩვენგანის განათლება მხოლოდ ერთხელ დააფინანსოს.

დავუშვათ, დაამთავრეთ თსუ-ის ისტორიის ფაკულტეტი და გაქვთ სურვილი, შეისწავლოთ საერთაშორისო სამართალი, მაშინ თქვენი შემოსავლიდან (თუკი გაქვთ) წელიწადში 1000 ლარის დახარჯვა მოგიწევთ, რადგან თსუ თავის ხარჯზე მეორედ ვეღარ გასწავლით. ეს უნივერსიტეტის წესდებაშია ნათქვამი.

ზოგიერთი იურისტი და სტუდენტთა უმეტესობა ფიქრობს, რომ წესდების ეს მუხლი მათი განათლების უფლებას ზღუდავს.

აღსანიშნავია, რომ მსგავსი შეზღუდვა დაწესებულია საქართველოს მხოლოდ რამდენიმე უმაღლეს სასწავლებელში. მაგალითად, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში თქვენ შეგიძლიათ დაეუფლოთ როგორც სტომატოლოგის სპეციალობას, ასევე თერაპიას ან ქირურგიას... ასე რომ, აქ თქვენ შეგიძლიათ მიიღოთ იმის მაქსიმუმი, რისი შემოთავაზებაც ამ სასწავლებელს შეუძლია, ზემოთ ნახსენები შეზღუდვების გარეშე.

მოქმედი კანონმდებლობა არაფერს ამბობს მსგავსი შეზღუდვების შესაძლებლობაზე. განათლების შესახებ საქართველოს კანონის არც ერთ მუხლსა და, შესაბამისად, პუნქტში არ არის ნათქვამი, რომ უმაღლესი განათლების მქონე რომელიმე მოქალაქეს არ აქვს უფლება, მეორედ ან მესამედ ისწავლოს საბიუჯეტო განყოფილებაზე, პირიქით, აღნიშნული კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, "ყველას აქვს განათლების მიღების თანაბარი უფლება". უფრო მეტიც, კანონის ეს მუხლი იქვე დასძენს, რომ "პროფესიული განათლების მიღების უფლების შეზღუდვა, რაიმე ნიშნით დაუშვებელია", გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ასეთ შემთხვევებში კი არ არის გათვალისწინებული თსუ-ის წესდება.

"ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის" გამგეობის თავმჯდომარის, ზაზა რუხაძის თქმით, "ნებისმიერი უმაღლესი სასწავლებლის წესდება დაფუძნებული უნდა იყოს ქვეყანაში მოქმედ კანონმდებლობაზე და უზენაეს კანონზე – კონსტიტუციაზე". თსუ-ის შემთხვევაში კი, როგორც იურისტები ამბობენ, აშკარა კანონდარღვევასთან გვაქვს საქმე.

პარლამენტარი ვახტანგ ხმალაძე ერთ-ერთი იმათთაგანია, ვინც 1997 წელს მონაწილეობდა განათლების კანონის შექმნაში. ის აცხადებს, რომ არც ერთ უმაღლეს სასწავლებელს არა აქვს უფლება, დააწესოს მსგავსი შეზღუდვა. "თუკი კანონი არ ზღუდავს ორჯერ უფასოდ სწავლის შესაძლებლობას, უნივერსიტეტს რა უფლება აქვს, რომ ასეთ შეზღუდვას აწესებს?! მსგავსი შეზღუდვების დაწესების უფლება მხოლოდ სახელმწიფოს აქვს. თსუ-ის წესდება პირდაპირ ეწინააღმდეგება კანონს და, გარკვეულწილად, კონსტიტუციასაც", - გვითხრა ვახტანგ ხმალაძემ.

ზაზა რუხაძე მიიჩნევს, რომ უნივერსიტეტის წესდების ეს დებულება ზღუდავს განათლების უფლებას, რომელიც საქართველოს კონსტიტუციის 35-ე მუხლით თითოეულ მოქალაქეს აქვს გარანტირებული: "ასეთი შეზღუდვები პირდაპირ არღვევს ჩვენს კონსტიტუციურ უფლებას. ნებისმიერ მოქალაქეს შეუძლია ამაზე სასამართლოში შეიტანოს სარჩელი და, პროცესის ობიექტურად წარმართვის შემთხვევაში, მოგება გარანტირებულია."

განათლების სამინისტროს უმაღლესი, საშუალო და პროფესიული განათლების დეპარტამენტის უფროსი, გურამ ლასხიშვილი უნივერსიტეტის წესდებაში კანონსაწინააღმდეგოს ვერაფერს ხედავს: "თსუ-ს და ბევრ უმაღლეს სასწავლებელს მინიჭებული აქვს ავტონომია და ამ ავტონომიურობის ფარგლებში მათ სრული უფლება აქვთ წესდებაში დააწესონ ასეთი შეზღუდვები".

ზაზა რუხაძე ლასხიშვილის ასეთ მიდგომას აბსურდულს უწოდებს და თავის გამართლების უსუსურ არგუმენტად მიიჩნევს. "ავტონომიის მინიჭება არ ნიშნავს იმას, რომ უფლება გაქვს, კანონს შეეწინააღმდეგო და კონსტიტუცია დარღვიო", - განაცხადა ზაზა რუხაძემ.

# ჯოჯოხეთი მარიხუანას მომხმარებლებისთვის

სოფო ჩხაიძე

ნებისმიერი "პლანაქეშისთვის" ამის ყურება ჯოჯოხეთური წამების ტოლფასი იქნებოდა —შს სამინისტროს ნარკომანიასა და ნარკობიზნესთან ბრძოლის ეროვნული ბიუროს მონაცემებით, საქართველოში, სულ რაღაც სამ დღეში განადგურდა 43 ტონა კანაფი და ერთი კილოგრამი ყაყაჩო. წლეულს კი უკვე გადამწვარია 63 ტონაზე მეტი კანაფის პლანტაციები. თუმცა, ბიუროს ხელმძღვანელი ალეკო ტაბატაძე სულაც არ არის დარწმუნებული, რომ საქართველოში კანაფის პლანტაციები აღარ დარჩა როგორც შევიტყვეთ, მარიხუანას, გნებავთ "პლანის," მომხმარებლებს საყვარელი მცენარის შოვნა მაინც არ უჭირთ და არც შავ ბაზარზე გაზრდილა "მოსაწევის" ფასი. მით უმეტეს, ტაბატაძის თქმით, ახლა სწორედ კანაფის კულტივაციის პერიოდია და უახლოეს მომავალში პოლიციელებს კვლავ მოუწევთ კანაფის ცეცხლისთვის შეკეთება.

როგორც ცნობილია, ოფიციალური გათვლებით, საქართველოში ნარკოტიკის 30 ათასი მომხმარებელია. ამბობენ, რომ ეს რიცხვი 10-ზე უნდა გამრავლდეს და მაშინ გვექნება წარმოდგენა ნარკომანთა რეალურ რაოდენობაზე. როგორც შევიტყვეთ, ქართველ ნარკომანთა 70 პროცენტი სწორედ მარიხუანას მომხმარებელია, უფრო ზუსტად, ეწევა. თანაც კანაფი, რომლის გაშრობითაც მზადდება მარიხუანა, ძირითადად ადგილობრივი რესურსია და მისი იმპორტირების აუცილებლობა არ არსებობს. ამიტომ, ძნელი წარმოსადგენი არ უნდა იყოს, რამხელა და რა რაოდენობის კანაფის პლანტაციების არსებობაზეა საუბარი. ოპერაცია "კანაფი 2002", რომლის მიზანიც მაქსიმალურად დიდი რაოდენობის კანაფის განადგურება გახლდათ, ცხადია, საქართველოში მოყვანილ მთელ ამ მცენარეს ვერ ამოძირკვავდა. თუმცა, წარმოიდგინეთ ამ შუა ზაფხულში პოლიციელთა მონდომება: ისინი ხომ თითოეულ ძირ მცენარეს ფესვიანად თხრიდნენ, ამოთხრილს ითვლიდნენ, ერთად აგროვებდნენ, წონიდნენ და მერე წვავდნენ. პლანტაციები კი შთამბეჭდავი და კარგად მოვლილი ყოფილა. პოლიციას ოთხმეტრიანი მცენარისთვისაც კი მიუგნია. ძირითადად ველურად მზარდი კანაფი განადგურდა; თუმცა, საკარმიდამო ნაკვეთზე გაშენებულ ნარკოტიკულ ნედლეულსაც მიაგნეს. ამგვარი ფაქტების გამო 10-მდე სისხლის სამართლის საქმე აღიძრა. კანაფის პლანტაციების რაოდენობაში ყველა სხვა მხარეს ქვემო ქართლმა აჯობა. სამდღიანი ოპერაციის ფარგლებში აქ ყველაზე მეტი მცენარე – 18 ტონა კანაფი განადგურდა, მეორე ადგილზეა იმერეთი 16 ტონით. ყველაზე დაბალი მაჩვენებელი თბილისს აღმოაჩნდა. სათესი მიწების სიმცირის გამო, როგორც ჩანს, აქ კანაფი ბინის პირობებში, ქოთნებში, მოჰყავთ. ბინების შემოწმებას კი ოპერაცია "კანაფი 2002" არ ითვალისწინებდა, თუმცა, ალეკო ტაბატაძის თქმით, ქოთანში მოყვანილი კანაფიც არაერთხელ ამოუღიათ მის ქვეშევრდომებს.



ალეკო ტაბატაძის შეხვედრა ჟურნალისტებთან.

ბოგიტა ბუხაიძის ფოტო

ნარკომანიასა და ნარკობიზნესთან ბრძოლის ეროვნული ბიუროს ხელმძღვანელს დღეს უჭირს ზუსტად თქმა, თუ რა ღირებულების კანაფი გაანადგურეს ოპერაციის ფარგლებში. კანაფის ნედლი ღეროდან მარიხუანას მიღებამდე გარჩევისა და გაშრობის პროცესია და ძნელი ყოფილა იმის თქმა, რამდენი მარიხუანა დამზადდებოდა 43 ტონა კანაფისაგან.

# შარაძე ბოდიშის მოხდას ითხოვს

გუშინ საქართველოს პარლამენტის წევრის, გურამ შარაძის პრეტენზიებს საქართველოს პრეზიდენტიც კი გამოეხმაურა. მან უცნაური უწოდა შარაძის მოთხოვნას საქართველოში აშშ-ს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის, რიჩარდ მაილსის გაწვევის შესახებ. თუმცა, შარაძეს შეუძლია, რომ კიდევ მოითხოვოს ელჩის გაწვევა, რადგან დემოკრატიის პირობებში ასეთ წინადადებებსაც აქვთ არსებობის უფლება.

როგორც ცნობილია, გურამ შარაძემ აშშ-ს პრეზიდენტს, ჯორჯ ბუშს, უკვე გაუგზავნა წერილი, რომლითაც მაილსის საქართველოდან გაწვევას ითხოვს. როგორც ამ წერილიდან ირკვევა, შარაძის აზრით, რიჩარდ მაილსი ტენდენციური, არაკორექტული დიპლომატია და ერევა საქართველოს საშინაო საქმეებში. ასეთი დასკვნების გაკეთების საფუძველს პარლამენტარს თურმე ის ფაქტი აძლევს, რომ აშშ-ს ელჩმა უგულებელყო პარლამენტის საგარეო კომიტეტის და ორი ფრაქციის თხოვნა მისი პარლამენტში მოსვლის თაობაზე, სადაც დეპუტატებისგან უნდა მიეღო ინფორმაცია რელიგიურ და ადამიანის უფლებების საკითხებზე.

უკვე აღარავისთვისაა დაფარული შარაძის ანტიპათია რელიგიურ უმცირესობათა მიმართ, რის გამოც იგი უპირისპირდება ამერიკის ელჩს და რელიგიური უმცირესობების უფლებების დამცველ თავისუფლების ინსტიტუტსაც. ეს დაპირისპირება იქამდეც კი მივიდა, რომ თავისუფლების ინსტიტუტის ერთ-ერთმა ლიდერმა მას აგენტობაც კი დააბრალა. ახლა ამის გამო გურამ შარაძე სასამართლოში უჩივის ლევან რამიშვილს. კერძოდ, მან სარჩელი ლევან რამიშვილის წინააღმდეგ უკვე შეიტანა ვაკე-საბურთალოს რაიონულ სასამართლოში. შარაძე რამიშვილს ცილისწამებაში ადანაშაულებს. მას ცილისწამებად მიაჩნია ორი კვირის წინათ ლევან რამიშვილის მიერ „ღამის კურიერში" ნათქვამი ფრაზა იმის თაობაზე, რომ საბჭოთა კავშირის დროს შარაძე საზღვარგარეთ როგორც აგენტი, ისე დადიოდა. ცილისწამების გამო შარაძე მხოლოდ ბოდიშის მოხდას ითხოვს.

# ცნობილი კრიმინალი დააკავეს

გუშინ პაატა დოლაბერიძის ჯგუფის სახელით ცნობილი კრიმინალური გაერთიანების ერთ-ერთი ლიდერი, გელა ცერცვაძე, ვაკე-საბურთალოს პოლიციამ ჭავჭავაძის გამზირზე დააკავა.

თავად პაატა დოლაბერიძე, რომელიც ბანდიტიზმში, ყაჩაღობასა და განზრახ მკვლელობაში იყო ეჭვმიტანილი, კანონდამცველებმა ორი თვის წინათ დაიჭირეს.

ყაჩაღობისთვის გასამართლებული პაატა დოლაბერიძე და გელა ცერცვაძე რუსთავის კოლონიიდან 30 იანვარს გაიქცნენ. მათ, 4 თვის მანძილზე, ჯგუფის სხვა წევრებთან ერთად, 20-ზე მეტი ყაჩაღობა ჩაიდინეს.

გელა ცერცვაძე, რომელიც ჯერ კოლონიიდან გაქცევისთვის, შემდეგ კი ყაჩაღობისა და განზრახ მკვლელობისთვის იძებნებოდა, სამჯერაა ნასამართლევი. როგორც კანონდამცველები აცხადებენ, იგი პროფესიონალი კრიმინალია.

დაკავებისას გელა ცერცვაძეს "მაკაროვის" სისტემის უნომრო პისტოლეტი ამოუღეს. ცერცვაძის განცხადებით, მან იარაღი ერთ-ერთი ყაჩაღობისას, განიარაღებულ პოლიციელს წაართვა.

სამართალდამცველთა განცხადებით, პაატა დოლაბერიძის ჯგუფი თბილისში საქმიანობდა.

ამ ჯგუფს ბრალდება "იბერკომპანის" ბენზინგასამართ სადგურზე მომხდარი თავდასხმა, რომლის დროსაც თავდამსხმელებმა სადგურის ოპერატორები მოკლეს.

დოლაბერიძის ჯგუფის ოთხი წევრი დაკავებულია, ახლა კანონდამცველები ეძებენ დოლაბერიძის კიდევ ერთ პარტნიორს, ზურაბ ახვლედიანს.

# მოძრაობა დოინჯაშვილის გასათავისუფლებლად

სოფიკო ჩხაიძე

"თავისუფლების ინსტიტუტის" დარბევასთან დაკავშირებული პერიპეტიები გრძელდება. ამ საქმეში ეჭვმიტანილის, რუსთავში არსებული ორგანიზაცია "ჯვრის" წევრის დაკავებამ ხმაურიანად ჩაიარა. გიორგი დოინჯაშვილის მიერ აღიარებითი ჩვენების უარყოფა მისი გათავისუფლების საფუძველი არ გამხდარა, პირიქით — შაბათს სასამართლომ დაკავებულს სამთვიანი წინასწარი პატიმრობა შეუფარდა. უკვე გუშინ დოინჯაშვილის ადვოკატებმა, სერგო შეროზიამ და ქართლოს ღარიბაშვილმა სასამართლოს გადაწყვეტილება გაასაჩივრეს და უახლოეს დღეებში საოლქო სასამართლოს მათი საჩივრის განხილვა მოუწევს.

სერგო შეროზიას თქმით, **"გამოძიებას დოინჯაშვილის პატიმრობაში ყოლის არავითარი საფუძველი არ გააჩნია. ერთადერთი, რაც მათ მიერ წაყენებულ ბრალს ამყარებდა, დოინჯაშვილის აღიარებითი ჩვენება გახლდათ. ეს ჩვენება მან მაშინვე უარყო, როგორც კი მისი დაცვა ჩვენ ვიკისრეთ. მეტიც, მისი თქმით, აღიარების გაკეთება სწორედ სახაზინო წესით აყვანილმა ადვოკატმა, ლევან ზაიჩიკმა ურჩია. დოინჯაშვილი ახლა უკვე ყველაფერს ამბობს, აცხადებს, რომ "თავისუფლების ინსტიტუტის" დარბევის დღეს ის თბილისში საერთოდ არ ყოფილა. ამას ადასტურებს მისი მეუღლეც, რომელთან ერთადაც გაატარა ის დღე რუსთავში. თვით "თავისუფლების ინსტიტუტელებმა" მასში დამრბევი ვერ ამოიცნეს. ასე რომ, მისი ბრალეულობა დარბევაში, ფაქტობრივად, გამორიცხულია. არ არის გასაკვირი, რომ გამოძიება ნებისმიერი ხერხით ცდილობს მისთვის დარბევის დაბრალებას. ახლა უკვე დამრბევთა ჯგუფის ორგანიზატორადაც კი გამოიყვანეს, რადგან სხვა არავინ ჰყავთ დაპატიმრებული. მათთვის სულ ერთია, ვის დააპატიმრებენ, მთავარია, რომ "თავისუფლების ინსტიტუტზე" თავდასხმის საქმე გახსნილად ჩაეთვალოთ. ამისათვის რა არ გააკეთეს. ქართლოს ღარიბაშვილს ორმა პროკურორმა გარიგებაც კი შესთავაზა: თუ დოინჯაშვილი აღიარებით ჩვენებას არ გადათქვამს, სასამართლოში მისთვის აღმკვეთი ღონისძიების შეფარდების საკითხს არ დავსვამთო."**

თვით სამართალდამცველები კი დარწმუნებულნი არიან, რომ "თავისუფლების ინსტიტუტის" დარბევის საქმე გახსნილია და ერთ-ერთი დამნაშავე სწორედ გიორგი დოინჯაშვილი გახლავთ. რაც შეეხება ადვოკატების პრეტენზიებს, გამოძიება ამას უფრო პროვოკაციას ამსგავსებს, რადგან დოინჯაშვილის ინტერესების დამცველთ თავიანთი საჩივრებისთვის შუამდგომლობის სახე არ მიუციათ და გამოძიებისთვის არ ჩაუბარებიათ, როგორც ამას პროცესუალური ნორმები მოითხოვს. იმავე სამართალდამცველთა თქმით, დოინჯაშვილს არც აღიარებითი ჩვენება უარუყვია. მას გამოძიებისთვის ერთადერთი ჩვენება აქვს მიცემული, სადაც თავის ბრალეულობას ადასტურებს. ხელმეორე დაკითხვა კი მისთვის ჯერ არ ჩაუტარებიათ. რაც შეეხება პროკურორების მიერ შეთავაზებულ გარიგებას, ცხადია, პროკურატურა ამ ფაქტს კატეგორიულად უარყოფს.

**"რა ინტერესი უნდა ჰქონოდათ პროკურატურის გამომძიებლებს გარიგებების დადებისა, როცა "თავისუფლების ინსტიტუტის" დარბევის საქმეს პროკურატურა საერთოდ არ იძიებს. საქმე წარმოებაში აქვს თბილისის პოლიციის საგამოძიებო ნაწილს და თბილისის პროკურატურა მხოლოდ ზედამხედველობას ახორციელებს. მით უმეტეს, სასაცილოა, რომ გარიგებას, თითქოს, ქართლოს ღარიბაშვილთან დებდნენ. მართლაც რომ სდომებოდათ გარიგება, ღარიბაშვილს როგორ დაელაპარაკებოდნენ, როცა წინასწარ ცნობილია, რომ იგი ამ ამბავს მთელ ქვეყანას მოსდებს,"** – გვითხრა თბილისის პროკურატურის პრესცენტრის უფროსმა ნანა ლომაიამ. მისივე თქმით, გამოძიებას დოინჯაშვილის ბრალეულობის დამადასტურებელი საკმარისზე მეტი მტკიცებულება გააჩნია, რომელთაგან ერთი "თავისუფლების ინსტიტუტის" კუთვნილი კომპიუტერის მონიტორზე დატოვებული თითის ანაბეჭდია.

ადვოკატი თითის ანაბეჭდის იდენტიფიკაციას ასე ხსნის: **"დაქტილოსკოპიური ექსპერტიზა დაკავებულს ბრალის წაყენების შემდეგ** — **19 ივლისს გაუკეთეს, მაშინ, როცა ეს ეჭვმიტანილად ცნობისთანავე, ყველაზე დიდი, 18-ში უნდა გაკეთებულიყო. ვფიქრობ, რომ კომპიუტერის მონიტორზე თითის ანაბეჭდი მან უკვე დაკავების შემდეგ, შემთხვევის ადგილზე, "თავისუფლების ინსტიტუტში" მიყვანილმა დატოვა და ახლა ამას ედავება გამოძიება".**

თვით "თავისუფლების ინსტიტუტელთა" თქმით, დოინჯაშვილის მათთან მიყვანის შემდეგ არავითარი საგამოძიებო მოქმედება და თითის ანაბეჭდების აღება აღარ ჩატარებულა. თუმცა, მათ სხვა რამ აეჭვებთ. "თავისუფლების ინსტიტუტის" წარმომადგენელთა თქმით, არა მარტო ამოცნობაზე მიყვანილმა ორმა წევრმა, არამედ დარბევის დროს "თავისუფლების ინსტიტუტში" მყოფმა ვერც ერთმა ადამიანმა ტელევიზიით ნანახ დოინჯაშვილში დამრბევი ვერ ამოიცნო. გარდა ამისა, მათ ეჭვს ისიც ამძაფრებს, რომ თვალის კლინიკის თანამშრომლები, რომელთა ოფისიც "თავისუფლების ინსტიტუტის" ქვემოთ მდებარეობს და რომლებსაც დამრბევები შემთხვევით შეუცვივდნენ და აპარატურა მიულეწ-მოულეწეს, ამოცნობაზე არავის დაუბარებია. ამოსაცნობად არ წაუყვანიათ არც "თავისუფლების ინსტიტუტის" ის თანამშრომლები, რომლებსაც უკეთ ახსოვთ დამრბევთა გარეგნობა. მეტიც, გამოძიებას არ დაუკითხავს მთავარი დაზარალებული ლევან რამიშვილი, რომელიც, მართალია, სახლში წევს, მაგრამ ჩვენების მიცემაზე სრულ მზადყოფნას აცხადებს.

## კითხვა-პასუხი

### ხელშეკრულება

**კითხვა:** სიტყვიერი შეთანხმების საფუძველზე მეგობარს ვასესხე სოლიდური თანხა. ფულს უკან ველარ ვიბრუნებ. აქვს იურიდიული ძალა ზეპირ შეთანხმებას?

**პასუხი:** ამ შემთხვევაში ზეპირ შეთანხმებას იურიდიული ძალა არ გააჩნია. მხარეთა იურიდიულად გაფორმებული შეთანხმება, ხელშეკრულება, განსხვავდება მეგობრული ან ჯენტლმენური შეთანხმებისგან. მეგობრული შეთანხმებისას მხარეები სამართლებრივი ნორმებით არ მოქმედებენ და მხოლოდ სიტყვიერად თანხმდებიან სხვადასხვა პირობებზე. მეგობრული შეთანხმება ჰგავს უსასყიდლო ხელშეკრულებას.

ჩვეულებრივი ხელშეკრულებისგან განსხვავებით, მეგობრული შეთანხმების მონაწილეებს არა აქვთ იურიდიული უფლება ერთმანეთს მოთხოვონ მისი შესრულება იძულების წესით, ან მოითხოვონ პირობის შეუსრულებლობით მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

ხელშეკრულება შეიძლება იყოს ნასყიდობის, გაცვლის, ჩუქების, ქირავნობის, იჯარის, თხოვების, საკუთრების მინდობის, გადაზიდვა-გადაყვანის და ა.შ.

სამოქალაქო კოდექსში განსაზღვრული არ არის ხელშეკრულების სახეების ამომწურავი ჩამონათვალი.

სამოქალაქო კოდექსი მოქალაქეებს უფლებას აძლევს გააფორმონ ისეთი ხელშეკრულებებიც, რომლებიც კანონით გათვალისწინებული არ არის, მაგრამ არ ეწინააღმდეგება კანონს.

სამოქალაქო სამართალში ასევე მოქმედებს ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპი. ნებისმიერ მოქალაქეს უფლება აქვს, ნებისმიერ პირთან სურვილის მიხედვით გააფორმოს ხელშეკრულება. მხარეები თვითონ ირჩევენ ერთმანეთს, ანიჭებენ გარკვეული მოთხოვნების უფლებას, ნებაყოფლობით კისრულობენ ვალდებულებებს. თუ მხარეები ვერ მიაღწევენ შეთანხმებას, რა თქმა უნდა, ხელშეკრულება არ დაიდება.

თუმცა, არის შემთხვევები, როცა ხელშეკრულების დადება იზღუდება და მხოლოდ სახელმწიფოს ნებართვის შემდეგ ფორმდება. კანონი ამ შეზღუდვისას ითვალისწინებს საზოგადოებისა და პიროვნების ინტერესებს.

თუ მოქალაქეს იძულებით ან მოტყუებით დაადებინებენ ხელშეკრულებას, მან უნდა მიმართოს სასამართლოს და ხელშეკრულება ბათილად გამოცხადდება.

ხელშეკრულება ფორმდება მხოლოდ მხარეთა მიერ ხელმოწერილი დოკუმენტით. მაგრამ ისეთი სახის ხელშეკრულება, რომელიც ეხება მიწის ნაკვეთის, საცხოვრებელი სახლის, შენობა-ნაგებობების ნასყიდობას ან ჩუქებას, აუცილებელად, უნდა დამოწმდეს სანოტარო წესით.

მაგალითად, მყიდველი უხდის ბინის მესაკუთრეს შეთანხმებულ ღირებულებას, ხოლო გამყიდველი გადასცემს ბინას მყიდველს, რომელიც სინამდვილეში არ არის ბინის მესაკუთრე, რადგან გამყიდველთან არ გაუფორმებია სანოტარო წესით დამტკიცებული ნასყიდობის ხელშეკრულება. თუ ბინის გამყიდველი წლების შემდეგ უარს იტყვის ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებაზე, ხოლო მყიდველი მიმართავს სასამართლოს, მოსამართლეს არა აქვს უფლება დააკმაყოფილოს სარჩელი.

უძრავი ნივთის შეძენისას აუცილებელია სანოტარო წესით დამოწმებული საბუთი და შემძენის რეგისტრაცია საჯარო რეესტრში.

თუმცა, გამყიდველისთვის გადახდილი თანხის უკან დაბრუნება შესაძლებელია სამოქალაქო კოდექსის იმ მუხლების გამოყენებით, რომლებიც უსაფუძვლო გამდიდრებას ეხება.

ზოგიერთი ხელშეკრულების ფორმა დამოკიდებულია იმაზე, ხელშეკრულების საგანს მოძრავი ნივთი წარმოადგენს, თუ უძრავი. მოძრავი ნივთის (ტელევიზორის, ტელეფონის, ფოტოაპარატის და ა.შ.) ჩუქების ხელშეკრულებას შეიძლება ჰქონდეს ზეპირი ფორმა.

ერთი სიტყვით, აუცილებელია ხელშეკრულების წერილობით, იურიდიულად გაფორმება, რათა დაცული იყოს მოქალაქის ინტერესები. ზეპირ შეთანხმებას იურიდიული ძალა არ გააჩნია და დაზარალებულის სარჩელს სასამართლო ვერ დააკმაყოფილებს.

# ზაჰესში მომხდარ ტრაგედიას კომისია შეისწავლის

**"ზაჰესში მომხდარი ტრაგედია უბედური შემთხვევაა, ბავშვები ზაჰესში წყლის ჩამკეტი ფარის გახსნის შედეგად გაშვებულმა წყალმა გაიტაცა. ამ დროს მოსახლეობა ნაპირზე იდგა. ხალხი თავად აფრთხილებდა ერთმანეთს, რომ წყლის ნაკადს მორიდებოდნენ,"** – ასეთ კვალიფიკაციას აძლევს ზაჰესში მომხდარ ტრაგედიას (ძმების, ლერი და ვალერი ბარათაშვილების დაღუპვას) ზაჰესის პოლიციის უფროსი ემზარ ყარზიშვილი.

გუშინ ზაჰესის ინციდენტი სახელმწიფო კანცელარიის ობიექტივშიც მოექცა. სახელმწიფო მინისტრის გადაწყვეტილებით, შეიქმნა სპეციალური კომისია, რომელიც მომხდარი ტრაგედიის გამომწვევ მიზეზებს შეისწავლის.

სახელმწიფო მინისტრის მოადგილე მამუკა ნიკოლეიშვილი გამოთქვამს ეჭვს, რომ ბავშვების დახრჩობის მიზეზი დაუდევრობა გახდა. **"წყალსაცავის დამცავი ფარის გახსნა ხშირად ხდება და, წესების დაცვის შედეგად, ექსცესების თავიდან აცილება ხერხდება,"** – აცხადებს სახელმწიფო მინისტრის მოადგილე, რომელიც ექსპერტების მიერ გაკეთებულ დასკვნას 3 დღეში ჩაიბარებს.

კასკადზე აღმოჩენილი ქალის გვამის ამოსაღებად ზაჰესის დასახლების პოლიციამ ზაჰესის თანამშრომლებს დამცავი ფარის გახსნა მოსთხოვა. ფარის გახსნის შემდეგ კასკადიდან გადმოდინებულმა დაგროვილი წყლის ნაკადმა ზაჰესის სიახლოვეს მყოფი ორი ძმა გაიტაცა. ბავშვები მოსახლეობის მიერ გადაგდებული მაშველი რგოლის გამოყენებას შეეცადნენ, მაგრამ – უშედეგოდ. მათ წყლის ნაკადის სიმძლავრესთან გამკლავება ვერ მოახერხეს.

ძმების, ლერი და ვალერი ბარათაშვილების, დახრჩობაში ზაჰესის მოსახლეობა პოლიციას ადანაშაულებს. ამბობენ, რომ ფარი ზაჰესის თანამშრომლებმა პოლიციელთა დაჟინებული მოთხოვნის შემდეგ გახსნეს. კასკადის გახსნის მოტივად პოლიციის "საქმიანი" დაინტერესება სახელდება – აღმოჩენილი ქალის გვამის ზაჰესის ტერიტორიიდან გაndevna უნდოდათ, რათა კიდევ ერთი გაუხსნელი საქმე არ დამატებოდათო. თუ ეს სიმართლეა, მაშინ გამოდის, რომ ზაჰესის პოლიცია საქმის გახსნის სტატისტიკას ჯერ კიდევ საბჭოური მეთოდებით აფერადებს.

პოლიციის უფროსი, ემზარ ყარზიშვილი, კატეგორიულად უარყოფს გავრცელებულ ვერსიებს და აცხადებს: **"როცა ეს ტრაგედია მოხდა, შემთხვევის ადგილას არ ვყოფილვარ, ოპერაციას ვატარებდი, ამიტომ გეტყვით იმას, რაც გადმომცეს. დამცავი ფარის გახსნას თავის წესები აქვს, ზაჰესის თანამშრომლებს იგი უნდა შეეთანხმებინათ 15 პირთან მაინც. ქალის გვამი კასკადში იყო გაჭედილი და პოლიციელები მის ამოღებას აწარმოებდნენ. ფარის გახსნა აუცილებლობას წარმოადგენდა, რათა წყალს გვამი თავისუფალ ადგილზე გამოერიყა.**

**წყალი გვამს ყველა შემთხვევაში მცხეთისკენ წაიღებდა, ამოიღებდნენ "სალობიესთან" და მაინც მე გადმომცემდნენ; ამიტომ არ მესმის, თუ რა საქმის მოშორებაზეა საუბარი. ნახეთ წყალში დამხრჩვალთა ჩვენს მიერ აღმოჩენილი გვამების რაოდენობა და მიხვდებით, რომ გავრცელებული ხმები არასწორია,"** – ამბობს პოლიციის უფროსი.

სახელმწიფო კანცელარიაში შექმნილი კომისია, პოლიციელთა მოქმედების გარდა, შეისწავლის ზაჰესის იმ თანამშრომელთა პასუხისმგებლობის საკითხსაც, რომლებიც პოლიციელთა ბრძანებას მსუბუქი წინააღმდეგობის გაწევის შემდეგ მაინც დაემორჩილნენ და დამცავი ფარი გახსნეს ზემდგომებთან შეუთანხმებლად, სპეცნებართვის გარეშე, სამსახურეობრივი ინსტრუქტაჟის დარღვევით.

# ჩვენებური ინიციაცია

მერი ტორაძე

ალბათ, არაფერია უფროსი თაობისთვის იმაზე დამთრგუნველი, ვიდრე ხედავდეს ახალგაზრდობის დემორალიზებულ სახეს, გულგრილობას, ნიჰილიზმს... ალბათ, არაფერია ახალგაზრდობისთვის იმაზე დამთრგუნველი, ვიდრე ემორჩილებოდეს უფროსი თაობის ამორალური თამაშის წესებს...

"დროთა კავშირი დაირღვა" - თაობებს შორის გამალებით მიმდინარეობს კომკავშირელებისა და ბოლშევიკების ძიება, და რადგან "ყველანი აქ არიან", ყველა ყველას პოულობს (ცხადია, ერთმანეთში და არა საკუთარ თავში).

თაობათა შორის კომუნიკაციის ხასიათი მართლაც ჩვენს თვალწინ იცვლება - პირმოთნეობას და პირფერობას იმპულსური აგრესიულობა აძევებს. აბსოლუტურად გულწრფელად (და, ალბათ, დამსახურებულადაც) არავის არავინ მოსწონს.

გასაკვირი არ არის, რომ უფროსი თაობის ქცევა ახალგაზრდების უკმაყოფილებას იწვევს. ცხადია, რომ მოწიფული ადამიანის ქცევას სწორედ მისი სიმწიფე უნდა განაპირობებდეს, ჩვენში კი სიმწიფეს, როგორც წესი, იშვიათად აღწევენ. ტიპიურია შეფერხება განვითარებაში, მარადი ინფანტილიზმი - თანმდევი ნარცისიზმით, თვითგანდიდებით, უსაფუძვლო ქედმაღლობით. ზოგჯერ საკუთარი თავით უკმაყოფილება შეიმჩნევა თვით უფროსი თაობის განსწავლულ და სიმწიფეშეპარულ იშვიათ წარმომადგენლებს შორისაც, რადგან მათი აქამდე თავმდაბლობად და უპრეტენზიობად ცნობილი თვისებები დღეს ახალგაზრდების მიერ სხვაგვარად აღიქმება - როგორც უნიათობა და უძლურება.

ახალგაზრდები სამართლიანად მიიჩნევენ, რომ ჩვენ ისინი ბავშვობიდან მუდმივი შფოთვის, განგაშის, მორალის რღვევისა და მატერიალური დისკომფორტის პირობებში ვამყოფეთ; მიიჩნევენ, რომ თავიანთი ცხოვრების ყველაზე ნატიფი და მყიფე პერიოდი - ბავშვობა - ღირსეულად გაიარეს (უფრო სწორად, გადაიტანეს) თავის სამშობლოსთან ერთად და მოითხოვენ, გაჩერდეს ის დანჯღრეული, საბჭოეთისდროინდელი კარუსელი, რომელზეც დღემდე ჩვეული ინფანტილურობით "კატაობენ" კორუმპირებული ბიძები. თუმცა, უნდა ითქვას, რომ ბევრი ახალგაზრდა თვითონაც სიამოვნებით აახტებოდა ამ კარუსელს. ეს ისინი არიან, ვინც სწორედ უფროსების ხელდასხმით და "ბუნებრივი გადარჩევის" შედეგად, სამწუხაროდ, უკვე ჩამოყალიბდნენ და გამოიბრძმედნენ აგრესიულ, ცივ, პრაგმატულ კარიერისტ-ცინიკოსებად. ახალგაზრდობის უმრავლესობა კი, ისევ სამწუხაროდ, უკვე ჩამოყალიბდა ნიჰილისტ-სკეპტიკოსად, რადგან უჭირს ასე ცხოვრება, ვერსად და, სხვათაშორის, ხშირად ვერც ოჯახში ვერ პოულობს და ამიტომ აღარც ეძებს მორალურ საყრდენებს, იმყოფება აპათიაში და არათუ სახელმწიფოს, საკუთარი მომავლის მშენებლობაშიც კი არავითარი მონაწილეობის მიღება არ სურს.

ახალგაზრდა ადამიანის გაუცხოებას ოჯახისგან ბევრ სხვა მიზეზთან ერთად ხშირად იწვევს მშობლების აკვიატებული იდეა, შვილების მიერ ნებისმიერი, თუნდაც უზნეო, საშუალებებით მაღალი სოციალური სტატუსის დაუფლებისა. გაუცნობიერებლად მშობლებს საკუთარი შვილების ხარჯზე, მათი მეშვეობით სურთ თვითრეალიზაცია და ამ ლტოლვით მონუსხულები ვერც ამჩნევენ თავისი შვილების რეალურ, ბუნებრივ მიდრეკილებებს. ოჯახის გარეთაც ყველა პირობაა შექმნილი ახალგაზრდა ადამიანის ინერტულობის წასახალისებლად, მისი ყოველგვარი მოქალაქეობრივი ინიციატივის ჩასახშობად. მახსენდება ახალგაზრდების მონათხრობი, თუ როგორ უნდოდათ ბავშვთა სახლების, აგრეთვე, ქუჩაში აღმოჩენილი ბავშვების დახმარება, როგორ დაიწყეს თანხების მოძიება, შემდეგ კი როგორ მოითხოვეს მათგან წილები უფროსებმა - საგადასახადომ, ბანკმა, პოლიციამ, ქურდებმა... და როგორ ჩაშალეს ეს წამოწყება. ჩემს ჰეროიკას - "იბრძოლეთ, არ დაყაროთ ფარ-ხმალი!" - მათ ისეთი უსაშველო რეალიზმი შეაგებეს, რომ საბოლოოდ ვაღიარე მათი ჯანსაღი ნიჰილიზმის უპირატესობა ჩემი ანომალიური ოპტიმიზმის მიმართ.

ჩვენი ინტელექტუალური ახალგაზრდობის დიდი ნაწილი თავისი გამახვილებული ინტუიციისა და ნატიფი ფსიქიკის გამო უმწეოდ გრძნობს თავს, ურჩევნია, განერიდოს ცრუაქტიურობას და არ სურს, ხმამაღლა განაცხადოს საკუთარი არსებობის შესახებ. ეს თაობა აკვირდება უფროსების ქცევას და, შესაძლოა, მათგან ჯერ კიდევ მოელის რაღაც სიკეთეს.

* * *

უფროსების კეთილი ნების გამომხატველ ნაბიჯად შეიძლება იქცეს თუნდაც ის, რომ დავიწყოთ ზრუნვა უმაღლეს სასწავლებლებში მისაღები გამოცდების ალტერნატივის მოძებნაზე.

ჩვენში მისაღები გამოცდები ის მიჯნაა, როდესაც საფუძვლიანად ირყევა ახალგაზრდების ნდობა უფროსი თაობისადმი, საერთოდ, ცხოვრებისადმი. ცხადია, აქ არ იგულისხმება ყველა უმაღლესი სასწავლებელი ან, თუნდაც, ფაკულტეტი. არ იგულისხმება, მაგალითად, კონსერვატორია, რომელიც მართლაც ჩვენი კულტურის მექაა, ან სამხატვრო აკადემია, რომელმაც ბოლო წლებში სამართლიანი მისაღები გამოცდების მოდელი შეიმუშავა, ანდა თეატრალური ინსტიტუტი, სადაც გამოცდები ტრადიციულად ისე ტარდება, რომ ნიჭიერი ახალგაზრდები ინსტიტუტის მიღმა არ რჩებიან... მაგრამ საერთო ვითარება ჩვენს ავტონომიამინიჭებულ, თავისუფლების მადლს ნაზიარებ უმაღლეს სასწავლებლებში ისეთია, რომ გვაიძულებს ვიფიქროთ იმაზე, თუ როგორ უნდა დაედოს ზღვარი ჩვენი ბავშვების ("გაბითურიენტების") დამთრგუნველი, გამრყვნელი მისაღები გამოცდების საბჭოურ სისტემას.

ოდესღაც, არქაულ დროში საზოგადოების სრულფასოვან წევრად გახდომისთვის აუცილებელი იყო ინიციაცია, როცა ახალგაზრდა ადამიანს თავისი ფიზიკური, სულიერი და მორალური ზრდასრულობის დასამტკიცებლად უნდა გაევლო საგანგებოდ მოწყობილი სასტიკი განსაცდელი (უნდა გაეძლო დემონებთან შეხვედრისთვის და ა.შ.). ჩვენებურ, ქართულ ინიციაციას - მისაღებ გამოცდებს - ცოტათი განსხვავებული დანიშნულება აქვს: ეს არის უზნეო ცხოვრებისთვის ახალგაზრდობის მზადყოფნის შემოწმება.

ამ ვითარების შეცვლის ცდა არსებითად იმის ცდა იქნება, რომ ახალგაზრდების ღირსების გრძნობა გადავარჩინოთ, მათ ღირსეული ცხოვრების უფლება დავუმკვიდროთ.

* * *

დღეს ხშირად ლაპარაკობენ იდეოლოგიაზე და მიაჩნიათ, რომ იდეოლოგიის არარსებობაშია ჩვენი დამთრგუნველი ყოფის მიზეზი. რატომღაც არ ვუფიქრდებით იმას, რომ ყველაზე საჭირო და ნამდვილი "იდეოლოგია" სინდისია. ვერც ერთი იდეოლოგია ვერ შეენაცვლება სიცოცხლის ზნეობრივი საზრისის ძიებას. "საზრისს ვერავინ მოგვართმევს, ის ჩვენ თვითონ უნდა ვიპოვოთ... სიცოცხლე ინარჩუნებს ამ საზრისს ნებისმიერ პირობებში, რადგან მისი აღმოჩენა თვით ტანჯვაშიცაა შესაძლებელი... სიცოცხლის საზრისის აუცილებლობა სწორედ მაშინ იჩენს ხოლმე თავს, როდესაც ადამიანის ცხოვრება უკვე გაუსაძლისი ხდება"(ვიქტორ ფრანკლი). ახლა ყველანი, უფროსებიც და ახალგაზრდებიც, ისეთ სიტუაციაში ვიმყოფებით, როცა ჩვენი არსებობისთვის ზნეობრივი ღირებულების დამბრუნებელი საზრისის პოვნა მართლაც სასიცოცხლო აუცილებლობაა.

# დრომ და ხელისუფლებამ ყოფილი მტრები მოკავშირეებად აქცია

პირველი გვერდიდან

არადა, სულ ცოტა ხნის წინათ მართლაც ვერავინ იფიქრებდა, რომ საერთო ინტერესები გაუჩნდებოდათ და პოლიტიკური პარტნიორები გახდებოდნენ "მოსისხლე მტრები" - ზურაბ ჟვანია და დავით გამყრელიძე, ირინა სარიშვილი-ჭანტურია და მიხეილ სააკაშვილი. "რვათა კავშირის" არც სხვა პერსონებს შორის არსებობდა აქამდე დიდი სიამტკბილობა: საკმაო ხნის ისტორია აქვს დაპირისპირებას აკაკი ასათიანსა და ირინა სარიშვილს, აგრეთვე, მწვანეთა მოძრაობის პირველი თაობის წარმომადგენლებს - გიორგი გაჩეჩილაძესა და ზურაბ ჟვანიას შორის, ედპ-ს ბაზაზე სამი პარტიული ორგანიზაციის ჩამოყალიბების შემდეგ კი, საერთოდ, ძნელი წარმოსადგენი იყო, რომ გიორგი ჭანტურიას თანამებრძოლები ოდესმე ისევ მიუსხდებოდნენ ერთ მაგიდას.

სწორედ ხელისუფლების "დამსახურებაა", რომ ახლო წარსულში დაპირისპირებულ ოპოზიციურ პარტიათა ლიდერები დღეს ძველი შუღლის დავიწყებასა და გაერთიანებას ცდილობენ. რვა ოპოზიციური პარტიის ლიდერი დროულად მიხვდა, რომ რეალობა იცვლება, იწყება წლების განმავლობაში დამკვიდრებულ პოლიტიკურ ღირებულებათა გადაფასება და, ამდენად, ერთმანეთს შორის ძველი დავა ნელ-ნელა აზრს კარგავს. მეტიც: თუ ისინი ურთიერთდაპირისპირებას გააგრძელებენ, ადვილი შესაძლებელია, ნადავლი (ხელისუფლება) სულ სხვა ძალას დარჩეს. ამდენად, დრომ და ახლანდელმა ხელისუფლებამ ისინი მტრებიდან მოკავშირეებად აქცია.

ცხადია, ხელისუფლებასთან დაპირისპირებულ ოპოზიციურ ლიდერებს შორის უთანხმოებები მომავალშიც იქნება, მაგრამ მათი გადალახვა, ძირითადად, ფსიქოლოგიური ბარიერის, ძველი ინერციის დაძლევასთან არის დაკავშირებული და არა საერთო პოლიტიკური სტრატეგიის შემუშავებასთან. ასეთი სტრატეგია ამჟამად უკვე არსებობს და ის ქვეყნის მართვისას დემოკრატიულ ღირებულებებსა და დასავლურ ორიენტაციაზე დაყრდნობაში გამოიხატება.

სხვათა შორის, თავის დროზე, ბათუმური ალიანსი უფრო ეკლექტურ, ხელოვნურად შეკოწიწებულ გაერთიანებას წარმოადგენდა, ვიდრე ამჟამინდელი "რვათა კავშირია". ამ უკანასკნელისგან განსხვავებით, ბათუმური ალიანსის მიზნები უფრო მოკრძალებული, ხოლო ამოცანები - მერკანტილური იყო. მის სუბიექტებს კარგად ესმოდათ, რომ, დამოუკიდებლად მოქმედების შემთხვევაში, შვიდპროცენტიანი საპარლამენტო ბარიერი, შეიძლებოდა, ვერ გადაელახათ ("აღორძინების კავშირის" გარდა) და პოლიტიკური ცხოვრების არიერგარდში აღმოჩენილიყვნენ. ამიტომ, ისინი ზედმეტ რისკს მოერიდნენ და პარლამენტში ასლან აბაშიძის დროშით შესვლაზე დათანხმდნენ. მართალია, შემდგომში მათი კონსოლიდაციის ხარისხი საგრძნობლად შესუსტდა, მაგრამ, მთლიანობაში, "აღორძინების" ალიანსმა თავისი ფუნქცია მაინც შეასრულა.



ირინა სარიშვილი და აკაკი ასათიანი

მარიკა ამურველაშვილის ფოტო

სხვა სიტუაციაა "რვათა კავშირის" შემთხვევაში. მომავალში მისი შემადგენლობა, შეიძლება, კიდევ შეიცვალოს - გარკვეული ძალები მიემატონ ან გამოაკლდნენ, მაგრამ ეს არ არის არსებითი. მთავარი უკვე მათ თავადაც იციან - უკანდასახევი თუ შუალედური გზა აღარ არსებობს. სამოქმედო პროგრამა ნათელია: ყველაფერი ან არაფერი!

ასეთივე საბრძოლო განწყობაა სახელისუფლებო ბანაკშიც, რომელიც ყოველნაირად ცდილობს ძალაუფლების ბერკეტების შენარჩუნებას და, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ამ პროცესში არაადეკვატურ ნაბიჯებს დგამს. ასე რომ, ისედაც საკმაოდ დაძაბული პოლიტიკური დაპირისპირება ახლო მომავალში კიდევ უფრო გამწვავდება და საბედისწერო შეტაკება გარდაუვალია. მთავარია, გენერალური ბრძოლის დროს დუღილის ტემპერატურამ დასაშვებ ზღვარს არ გადააჭარბოს, თორემ რა მოსდევს ამას, ჩვენმა საზოგადოებამ თავის თავზე ერთხელ უკვე იწვნია.

ვერსია

# რუსი ექსპერტების შეფასებით, მოსკოვი და ვაშინგტონი სუუამ-ს შლიან

რუსიკო ნიკურაძე

საქ.კორ.მოსკოვში

იალტიდან დაბრუნებული მოსკოველი დამკვირვებლები აღნიშნავენ, რომ **"თავის დროზე სუუამ-ის ორგანიზაციისადმი რუსეთის სკეპტიკური დამოკიდებულების მიუხედავად, ეს მექანიზმი აშშ-ს მიერ იქნა ჩაფიქრებული და დღეს სწორედ აშშ-ს რეკომენდაციებით იშლება".**

ექსპერტთა ამ თვალსაზრისს აძლიერებს ის ფაქტიც, რომ რუსეთი ევრაზიის სივრცის სავაჭრო სტრუქტურებიდან განდევნილი შეიქნა. რუსი სპეციალისტები ასკვნიან, რომ **"ანტიტერორისტული კოალიციის ყველაზე აქტიური წევრის, ამერიკის სტრატეგიული მოკავშირის, რუსეთის არმონაწილეობა სუუამის თავისუფალი ვაჭრობის სტრუქტურებში იმას ნიშნავს, რომ სუუამი იშლება და მას პირველები, ამერიკისა და რუსეთის კარნახით, ტოვებენ უზბეკეთი და მოლდოვა. შემდეგ - დანარჩენები."**

ექსპერტთა აზრით, უზბეკეთის გასვლა კანონზომიერი იყო, ამ ორგანიზაციის ეკონომიკური მომხიბვლელობის დაკარგვის გამო. უზბეკეთის ლიდერმა თავისი გადაწყვეტილება იმითაც ახსნა, რომ სუუამი ზედმეტად პოლიტიზებული სტრუქტურა გახდა.

რუსეთის "დსთ-ს ინსტიტუტის" დირექტორის, **კონსტანტინე ზატულინის** აზრით, **"სუუამ-ის ამ სახით ფუნქციონირება დღეს, პირველ რიგში, აშშ-ს არ აწყობს, რომელიც ამ საეჭვო ღირებულების წარმონაქმნის მოდერნიზაციაზე მხოლოდ ერთი მიზნით იფიქრებს: როგორმე ხელი შეუშალოს რუსეთს სავაჭრო პროექტების განხორციელებაში და ევრაზიის საკვანძო პროექტებში თამაშგარე მდგომარეობაში დატოვოს".**

თუმცა, იქვე "დსთ-ს ინსტიტუტის" დირექტორი მიანიშნებს, რომ უზბეკეთი ოთხეულიდან ამერიკის ადმინისტრაციის კარნახით გავიდა. ამ სიაში შემდეგი მოლდოვაა, რომლის პრეზიდენტიც, კრემლის კარნახით, აცხადებს, რომ მას ძალზე აწუხებს სუუამ-ის უპერსპექტივო მომავალი. ზატულინი მიესალმება იმ ფაქტს, რომ სუუამ-ს აშშ და რუსეთი შეგნებულად შლიან.

იქმნება ისეთი შთაბეჭდილება, რომ რეგიონის სტაბილურობისა და უშიშროების ზონისადმი უზბეკეთს საკუთარი დამოკიდებულება უჩნდება და ეს არ არის შემთხვევითი. ფაქტია, რომ, როგორც რუსი ექსპერტები ამტკიცებენ, რეგიონში გარკვეული ეკონომიკური ბალანსის შესანარჩუნებლად, კრემლის მოთხოვნას ბუშის ადმინისტრაციამ, უბრალოდ, ანგარიში გაუწია. რაც შეეხება უკრაინის თავისუფალ მოქმედებებს, ამით რესპუბლიკამ მაინც ვერაფერს მიაღწია - ექსპერტები ამტკიცებენ, რომ სუუამ-ის სავაჭრო ზონაში რესპუბლიკების საქონელბრუნვის დაბალი პროცენტული მაჩვენებელი იმდენად უმწეოდ გამოიყურება, რომ სასაცილოცაა მომგებიან პროექტებზე ლაპარაკი. მარტო რუსეთის საგარეო სავაჭრო საქონელბრუნვა ბევრად აღემატება ამ ორგანიზაციის ყველა რესპუბლიკის ერთად აღებულ მონაცემებს. იგივე ზატულინი ამტკიცებს, რომ **დღეს ლაპარაკიც არ შეიძლება თავისუფალ სავაჭრო ზონაზე, რადგანაც მის შექმნას მხოლოდ პოლიტიკური დანიშნულება აქვს და სერიოზულ ეკონომიკაზე ამ რეგიონში საუბარი არ მიდის".**

სუუამ-ის პროექტებში სხვა ქვეყნების დაპატიჟება ალიანსის ქვეყნებს საკუთარი უმწეობის ფონზე უხდებათ, რადგანაც ყველამ კარგად იცის, რომ თავისუფალ ვაჭრობას წინ პოლიტიკური სტაბილურობა უნდა უძღოდეს.



"სუუამ"-ის ქვეყნების პრეზიდენტების შეხვედრა იალტაში

REUTERS

**"დაურეგულირებელი კონფლიქტების პირობებში, მოლდოვა და საქართველო ღირსეული პარტნიორები ვერ იქნებიან, რადგანაც მათ დსთ-ს სტრუქტურებში საწევრო გადასახადების გადახდაც არ შეუძლიათ,"** - აღნიშნა "24 საათთან" საუბარში დსთ-ს ეკონომიკური საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტში აზერბაიჯანის ერთ-ერთმა ექსპერტმა. მისი თქმით, **"დსთ-ს სტრუქტურებში საქართველოს წარმომადგენელთა მონაწილეობას დღემდე ყოფილი მოძმე რესპუბლიკები აფინანსებენ. ალბათ, საქართველოს ხელისუფლებას ასეთი მუქთამჭამელობის ამოქმედება ახლა სუუამ-ის მასშტაბით ნებავს".**

ასე რომ არ მოხდეს, პირველ რიგში, მხარეები ეთანხმებიან დონორულ გადასხმებს ევრაზიულ ნავთობსატრანსპორტო დერეფანში, თუმცა, რუსი ექსპერტები გაერთიანების პესრპექტივას აქაც სკეპტიკურად უყურებენ: ხუთ წლის განმავლობაში სუუამ-ის ნავთობსატრანსპორტო სტრუქტურებმა თავი ვერაფრით გამოიჩინეს.

რუსეთის მონაწილეობის გარეშე სუუამი ვერ შეძლებს ენერგეტიკული პროექტების რეალიზაციას - ასეთია რუსეთის პოზიცია. ექსპერტთა აზრით, რუსეთი ამ ორგანიზაციაში გაწევრიანებას არ აპირებს, მით უმეტეს, მას არ აწყობს დამკვირვებლის სტატუსი. იგივე ექსპერტები აშშ-ს დაინტერესებას ევრაზიის სავაჭრო ზონის ოთხი რესპუბლიკის პროექტებში დროებითსა და მოჩვენებითს უწოდებენ. იალტაში აშშ-ს წარმომადგენლის, უილიამ ტეილორის განცხადება იმის შესახებ, რომ სუუამ-ის მომავალი მისივე წევრების ხელშია, რუს დამკვირვებლებს აფიქრებინებს, რომ ამერიკამ სუუამ-ისადმი ყოველგვარი ინტერესი დაკარგა.

არლის ფესტივალი გურამ წიბახაშვილის თვალით B2

"არენა დი ვერონა" 80 წლისაა B5

TV პროგრამა B8





პედრო ალმადოვარი როზარიო ფლორესთან და ლეონორ უოტლინგთან ერთად, ფილმის მადრიდულ პრემიერაზე, 2002 წლის 12 მარტი.

REUTERS

# ალმოდოვარის "დაელაპარაკე მას" ახლა უკვე თბილისში

გიორგი გვახარია

პედრო ალმოდოვარის "დაელაპარაკე მას" (და არა "ესაუბრე მას") უკვე თბილისშია. არ ვიცი, რამდენ ხანს აპირებს "ამირანის" დირექცია ამ სურათის ჩვენებას და თუ ალმოდოვარის ფილმს მალე მოხსნის ეკრანიდან, პირადად მე ძალიან დამწყდება გული იმათ მაგივრად, ვინც საქართველოს მთაში, თუ აჭარის, ან თურქეთის სანაპიროებზე ისვენებს ახლა... ან, თუნდაც ესპანეთში, სადაც, საეჭვოა, ქართველმა დამსვენებელმა ალმოდოვარის ფილმის ნახვა მოინდომოს. ამას იმიტომ არ ვამბობ, რომ ესპანელი რეჟისორის პირველივე ფილმის, "პეპი, ლუჩი და ბომის" ნახვის შემდეგ (დაახლოებით 15 წლის წინ), ჩემს თავს ალმოდოვარის ფანად ვთვლი და დარწმუნებული ვარ, რომ თანამედროვე კინოში არ არსებობს მასზე უფრო ღრმა, უფრო ნიჭიერი რეჟისორი, და რომ ვერც ერთი კინემატოგრაფისტი ვერ ახერხებს დღეს იყოს ასეთი სხვადასხვანაირი და ამავე დროს, ასეთი ერთნაირი. უბრალოდ, "დაელაპარაკე მას" ალმოდოვარის პირველი ფილმია, რომელიც აბსოლუტურად ყველას დააინტერესებს. ამისათვის, საკმარისია, დააკვირდეთ როგორი რეაქცია აქვთ სურათზე "ამირანში", "პოპკორნით" ხელში მოკალათებულ თინეიჯერებს, ახალგაზრდა და ასაკოვან ქალბატონებს და ქართველ ვაჟკაცებს. თქვენ დარწმუნდებით, რომ პედრო ალმოდოვარმა ყველა გააერთიანა. და არა იმიტომ, რომ "ყველას თავისი მისცა", რასაც იგი, "ხილის კინოსალათების" დიდოსტატი აქამდე ბრწყინვალედ ახერხებდა; ურევდა ამ სალათის შემადგენელ ნაწილებს; ვიღაცას მარწყვით აწონებდა თავს, ვიღაცას კი ატმით, ან ვაშლით. ვიღაც ალმოდოვარის ფილმების დეტექტიურ ხაზს მიყვებოდა, ვიღაც მელოდრამას, ვიღაც კი გულახდილი ეროტიკული სცენებით ტკბებოდა. მაშინ ალმოდოვარს ეგრეთ წოდებული "ფენოვანი კინოს" გამო შეარქვეს "პოსტმოდერნისტი". მას ბაძავდნენ, იმეორებდნენ... თანაც ისე იმეორებდნენ, განსაკუთრებით ესპანეთში, რომ კაცს შეიძლებოდა უკვე თავად ალმოდოვარის სალათებზე არეოდა გული. ასეთმა "მრავალშრიანობამ", განსაკუთრებით "კიკასა" და "ჩემი საიდუმლოს ყვავილის" ეკრანებზე გამოსვლის შემდეგ, ცოტა არ იყოს გააღიზიანა დასავლელი ინტელექტუალები. მაშინ იმის მტკიცება დაიწყეს, რომ პედრო ალმოდოვარს განუწყვეტლივ "გაურბის" დრამატურგია, რომ იგი ზომიერებას კარგავს, უნდა ყველას მოაწონოს თავი და ა.შ. სურათმა "ყველაფერი დედაჩემის შესახებ" დაამტკიცა, რომ ალმოდოვარს გაბნეული დრამატურგიის "მოთოკვაც" შეუძლია, თუმცა, ესპანელი კინოხულიგნის დაჯილდოვებამ ამერიკული "ოსკარით" ისევ დააფრთხო ალმოდოვარის ფანები; "კონფორმისტი ხომ არ გახდება?", "ჰოლივუდთან ხომ არ იკეკლუცებს?", "ახლა რაღა უნდა გადაიღოს?". ერთი პერიოდი მართლაც გავრცელდა ჭორი, რომ იგი დათანხმდა ამერიკელ პროდიუსერთა წინადადებებს. ალმოდოვარი თავისი მომავალი, გრანდიოზული პროექტების შესახებ ყვებოდა (დღეს იგი ყველაზე მდიდარ ევროპელ რეჟისორად ითვლება)... მაგრამ გადაიღო მცირებიუჯეტიანი სურათი "დაელაპარაკე მას", რომელშიც არც ერთი ცნობილი მსახიობი არ თამაშობს და რომელიც შესაძლებელია პედრო ალმოდოვარის ყველაზე გულახდილი სურათია. მისი აღსარება. ჰომოსექსუალი რეჟისორის ჰეტეროსექსუალური ფილმი, რომელიც ალმოდოვარმა დედის გარდაცვალების შემდეგ გადაიღო. აღიარა, რომ ყველა თავის ფილმს იგი "დედისეული წიაღიდან" იღებდა (შვიდწუთიანი კინონოველა, სახელწოდებით "დაპატარავებული შეყვარებული", რომელიც ჩართულია ფილმში, ამერიკელი რეჟისორის ტოდ ბროუნინგის "ეშმაკის თოჯინის" ეს პაროდია და მუნჯი კინოს გენიალური სტილიზაცია - ამის დადასტურებაა), აღიარა, რომ ყოველთვის შურდა ქალების (ამიტომაც ითვლებოდა "ფემინისტად") და ისიც აღიარა, რომ ახლა უკვე 52 წლის რეჟისორი ყველაზე მეტად მამობაზე (იქნებ "დედობაზეც"?) ოცნებობს. ამ ფილმის დასრულების შემდეგ ვიფიქრე: "ამის შემდეგ რა უნდა გადაიღოს?" ("რა უნდა შვას?").

პედრო ალმოდოვარის ყველა დანარჩენი ფილმისგან განსხვავებით, "დაელაპარაკე მას" მოკლებულია "ფენოვანი კინოს" პრეტენზიას. სურათის გენიალურობა არა მის სიჭრელეში, არამედ მის სიღრმეშია. ცხადია, ამ სიღრმის არსს ერთნაირად ვერ ჩაწვდება პოპკორნიანი თინეიჯერი და, დავუშვათ, თბილისელი ასაკოვანი ქალბატონი (რატომღაც მგონია, რომ სწორედ მათ აუჩუყებს ყველაზე მეტად გულს ალმოდოვარის ფილმი). მაგრამ ალმოდოვარის სიღრმეს მაინც ყველა იგრძნობს, ყველა მიხვდება, რომ ამ ნახევრადფანტასტიკურ ამბავში, სანიტარ მამაკაცზე, რომელმაც კომაში მყოფი შეყვარებული დააფეხმძიმა, არის უფრო მეტი, უფრო დაფარული, ვიდრე მხოლოდ სიუჟეტი. ამის მიხვედრა კი იმას ნიშნავს, რომ ფილმის დასრულების შემდეგ მაყურებელი კიდევ დიდხანს იფიქრებს სანიტარი ბენინოსა და ჟურნალისტი მარკოს მეგობრობაზე, მათ უიღბლო "რომანებზე" და "წმინდა ჩასახვის", როგორც შემოქმედების, მშვენიერებაზე. ჩემთვის ნათელი გახდა, თუ რატომ თქვა ალმოდოვარმა, ჯერ კიდევ 80-იანი წლების ბოლოს, როცა ეკრანებზე გამოვიდა მისი "ქალები ნერვიული კრიზის ზღვარზე", ასეთი რამ: "ბიბლიის შემდეგ კაცობრიობას ახალი სიუჟეტი არ მოუგონიაო". "დაელაპარაკე მას" შეიძლება ბიბლიის ორსაათიან კინემატოგრაფიულ ვერსიად მივიჩნიოთ; "სამყაროს შექმნით", "ადამისა და ევას ისტორიით" დასაწყისში, შუაში - "წმინდა ჩასახვით" და ფინალში, "აღდგომით"...

მიუხედავად იმისა, რომ ალმოდოვარის ფილმის იმ ასლში, რომელიც თბილისში მოსკოვიდან ჩამოვიდა, ამოღებულია სურათის პირველ ვარიანტში შესული ერთი სცენა (ამბავი მორგის დარაჯისა, რომელსაც მკვდარი ქალი შეუყვარდა), მიუხედავად იმისა, რომ გახმოვანების დონე არც ისე მაღალია (გაეტანო ველოსოს გენიალურ სიმღერას რუსული ტექსტი ადევს და სრულიად ფარავს სიმღერას), სწორედ დიდ ეკრანზე, სწორედ "დოლბის" ეფექტების ქვეშ გახდება შესაძლებელი ამ სურათის სრულფასოვანი აღქმა. პირადად მე, ვიცოდი რა ფილმის ქრონომეტრაჟი, რამდენჯერმე დავიხედე საათზე იმის შიშით, რომ ფილმი ოდესმე დამთავრდება, მითუმეტეს, რომ ტრადიციულად, ალმოდოვარის სურათები მოულოდნელად მთავრდება, უფრო სწორად, "წყდება" ხოლმე. და კიდევ... ძალიან სიმბოლურია, რომ კინოთეატრი "ამირანი", სადაც ალმოდოვარის ფილმს უჩვენებენ, სამშობიარო სახლთან მდებარეობს. თუ ფილმის სანახავად მანქანით წაბრძანდებით, გირჩევთ სამშობიაროს ეზოში დააყენოთ. ფილმის დასრულების შემდეგ კი, როცა სამშობიაროს ეზოში შეგროვილ მომავალ მამებს დაინახავთ, ან იმათ, ვისაც შვილი ახლახანს გაუჩნდა, გაიხსენეთ "დაელაპარაკე მას" - "შემოქმედების" სურვილი თქვენც გაგიჩნდებათ.

## ორმოცდაათი მნიშვნელოვანი

SMS(ტექსტური შეტყობინება მობილური ტელეფონით) იმ ორმოცდაათი მნიშვნელოვანი მოვლენისა თუ გამოგონების სიაში მოხვდა, რომლებმაც დედოფალ ელისაბედ მეორის მმართველობის განმავლობაში, მსოფლიო შეცვალეს. ბრიტანელი მეცნიერების პატივსაცემად შედგენილი პროექტის მიხედვით, 1952 წელი რეაქტიული თვითმფრინავით პირველი კომერციული მგზავრობით აღინიშნა; 1969 – ადამიანის სტუმრობით მთვარეზე; 1997 – კლონირებული ცხვარით. უახლოეს ვიკენდზე ბირმინგემში ამ მნიშვნელოვანი თარიღებისადმი მიძღვნილი გამოფენა გაიხსნება.

## ალანის მორისეტი სასამართლოში ჩივის

ალანის მორისეტმა სასამართლოში სარჩელი შეიტანა ე.წ. Cyber Scwotter-ის წინააღმდეგ. ასე მოიხსენიებენ იმ ხალხს, ვინც ინტერნეტით სუვენირების გასაყიდად ცნობილი ადამიანების სახელებს იყენებს. ინტერნეტ საიტი www.alanis.net, რომელიც ამ საქმიანობითაა დაკავებული, ძალიან ჰგავს მუსიკოსის ოფიციალური საიტის სახელწოდებას - www.alanis.com.

მსგავსი საქმეები გახშირდა დასავლეთ სამყაროს სასამართლოებში. მადონამ და სელინ დიონმა წარმატებით დაამარცხეს უკანონო მოვაჭრეები მაშინ, როდესაც იგივე მოწინააღმდეგეებთან სასამართლოში დამარცხდნენ სტინგი და ბრუს სპრინგსტინი.

## კორნუოლში ახალი კინოსტუდია იხსნება

უკანასკნელი ასწლეულის განმავლობაში ბრიტანეთში პირველად გაიხსნება უნივერსალური კინოსტუდია. პროექტი კორნუოლშია დაგეგმილი.

როგორც იტყობინებიან, პროექტის ღირებულება ხუთი მილიონ სამოცდათხუთმეტი ათასი ფუნტია. სტუდიის მშენებლობას დაახლოებით თოთხმეტი თვე დასჭირდება. სტუდია ტელე და კინო პროდუქციის შესაქმნელად უმაღლესი ტექნოლოგიით მომარაგდება. როგორც ცნობილია, სამხრეთ-დასავლეთი ინგლისი ბრიტანეთში ყველაზე პოპულარული გადასაღები მოედანია, თუმცა საოცარია, რომ აქამდე იქ სტუდია არ არსებობდა.

## ჯორჯ მაიკლი ჰიმნს დაწერს

2004 წლის ოლიმპიური თამაშების ჰიმნს ჯორჯ მაიკლი დაწერს. მომღერლის წარმომადგენლის თქმით, მაიკლმა ოფიციალური თხოვნა მიიღო ამის შესახებ ათენში ოლიმპიელების მხრიდან.

არჩევანი ცნობილ ინგლისელ მომღერალზე შემთხვევით არ შეჩერებულა. მართალია, ჯორჯ მაიკლი აღმოსავლეთ ლონდონში დაიბადა, მაგრამ იგი წარმოშობით ბერძენია.

## ახალი ვარსკვლავები ტაიმს სკვერს

შოუბიზნესის წარმომადგენლებისთვის ჰოლივუდის ვარსკვლავების ბულვარზე მოხვედრა უდიდესი პატივია. ვარსკვლავური ფილებით მოპირკეთებული ქუჩა მოდის სამყაროს წარმომადგენლებსაც აქვთ, ოღონდ ნიუ იორკში. წინა კვირას მოდის ბულვარს ახალი ფილები შეემატა – ბეტსი ჯონსონი, მარკ იაკობსი, პერი ელისი და მეინბაუხერი ამერიკის საუკეთესო დიზაინერების ტიტულით დააჯილდოვეს და მათი ფილები ტაიმს სკვერის მახლობლად განათავსეს. ამ მონაკვეთს უკვე ამშვენებს ოსკარ დე ლა რენტას, დონა კარანის, კელვინ კლაინის, რალფ ლაურენის, ჯეფრი ბინის, ბილ ბლესის და ენ კლაინის ვარსკვლავები. "ამ ღონისძიების მიზანია, ნიუ იორკის მთავარ უბანი – ტაიმს სკვერის ჩრდილოეთითა და სავაჭრო ცენტრის სამხრეთით – ტურისტებისთვის უფრო ღირშესანიშნავი გახადოს. ბუნებრივია, ფილებით ნიუ იორკის საუკეთესო დიზაინერებსაც ვაჯილდოვებთ", - აცხადებენ ნიუ იორკის მოდის ცენტრში.

## სარანდონი-რობინსი – ედინბურგში

ედინბურგის ტრადიციულ ფესტივალს გამორჩეული სტუმრები ეყოლება – ჰოლივუდელი წყვილი, ტიმ რობინსი და სიუზენ სარანდონი ფესტივალზე ამერიკულ დადგმას ჩაიტანენ. ისინი გაითამაშებენ პიესას, The Guys, რომელიც 11 სექტემბრის ტერაქტებში დაშავებულ მეხანძრეებს ეძღვნება. ამ სპექტაკლის პრემიერა პირველად დეკემბერში, ნიუ იორკის Flea თეატრში, "ტყუპების" ტერიტორიაზე შედგა და მასში სიგურნი უივერი და ბილ მიურეი თამაშობდნენ. აღსანიშნავია, რომ სიგურნი უივერი მონაწილეობას მიიღებს პიესის კინოვერსიაშიც, რომელიც დიდ ეკრანზე შემოდგომისთვის გამოვა.

ედინბურგის ფესტივალის ორგანიზატორების თქმით კი, საპატიო სტუმრების სიაში შედის ფრენკ სინატრას ქალიშვილი ნენსი სინატრაც, რომელსაც პოპულარობა მოუტანა სიმღერამ These Boots Were Made For Walkin'. ედინბურგს ასევე ეწვევიან ჯგუფები The Charlatans, Haven და The Stereophonics.

## ვაგრძელებთ კლონირებაზე მუშაობას!

შესაძლოა, მოკამათეთა ძალთა თანაფარდობა შეიცვალოს და სულ მალე კლონირება ეთიკური და რელიგიურად შესაგუებელი პროცესიც გახდეს. დღეისთვის კლონირება აკრძალულია გერმანიაში, იაპონიასა და ტაივანზე. იტალიაში არ აუკრძალავთ, მაგრამ ადამიანთა კლონირების ავანგარდისტის, სევერინო ანტინორის ცეცხლზე დაწვას, არაფერი უკლია. ამერიკის შეერთებულ შტატებში პრეზიდენტ ბუშის მომხრე, რელიგიურად განწყობილი კონსერვატორები სასტიკად ეწინააღმდეგებიან კლონირებას.

მაგრამ სწორედ აშშ-ში, მინესოტას შტატის უნივერსიტეტის მეცნიერებმა ამცნეს სამეცნიერო სამყაროს, რომ მათ შეძლეს მიეღოთ ვირთხის ძვლის ტვინისგან მილისებრი უჯრედები. ამ უჯრედებს შეუძლიათ, გადაიქცნენ სხვადასხვა ტიპის ქსოვილად. ექსპერტების აზრით, მინესოტელი მეცნიერების აღმოჩენა ბიოლოგიაში უდიდესი მიღწევაა.

მეცნიერებს, ეთიკურ-რელიგიური ქენჯნის გარეშე კლონირების ექსპერიმენტების გაგრძელების საშუალება მიეცათ: აღარ შეეხებიან ემბრიონს და მილისებრ უჯრედებს ძვლის ტვინისგან მიიღებენ. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ჩანასახოვანი ქსოვილების ემბრიონის უჯრედების გზით მიღება, ბევრ ქვეყანაში აკრძალულია.

თუმცა, ვიდრე ამერიკელების შედეგებს სხვა მეცნიერების გამოკვლევებიც არ დაადასტურებენ, კლონოფილები "ჰოპ"-ს ვერ დაიძახებენ.

## მსოფლიო აბლაბუდას ჭიაყელა შეუჩნდა

ინტერნეტში ძალიან სწრაფად ვრცელდება ახალი ვირუსი Lentin. ქსელის "ჭიაყელა" უკვე გამოჩნდა ნიდერლანდებში, დიდ ბრიტანეთში, აშშ-სა და რუსეთში.

"კასპერსკის ლაბორატორიის" მონაცემებით, მავნე პროგრამა პირველად 18 ივნისს აღმოაჩინეს. ყველაზე სახიფათოა ვირუსის ბოლო მოდიფიკაცია – ვერსია G. იგი გავრცელებისთვის იყენებს Internet Explorer-ის უსაფრთხოების სისტემის ხარვეზს.

Lentin-ის უწინდელ ვერსიებში მოხსენიებულია წმინდა ვალენტინის დღე: ჭიაყელა ვრცელდება valentin.scr ფაილის სახით, რომელიც ახლავს დაზიანებულ წერილს. ის მაშინ აქტიურდება, როდესაც მომხმარებელი თავად აამოქმედებს თანმხლებ ფაილს. დაავადებულ წერილს ასეთი სათაური და ტექსტი შეიძლება ჰქონდეს:

**სათაური** - Fw: Melt the Heart of your Valentine with this Screen saver

**ტექსტი** - Hi
Check this screen saver
Happy Valentines day
See u

ბოლო მოდიფიკაცია – Lentin.g Explorer-ის ისეთივე ხარვეზით "სარგებლობს", რითაც ვირუსი Klez და თავისთავად იწყებს მოქმედებას.

Lentin-ის ზოგიერთი ვარიანტი შეიცავს სხვადასხვა ოპერაციული სისტემების მეხსიერების სკანირების ფუნქციას. შემოწმების პროცედურა გამუდმებით სრულდება, რაც "ჭიაყელას" უადვილებს წინ აღუდგეს ზოგიერთი ანტივირუსის ამუშავებას. ამჟამად, ცნობილია Lentin-ჭიაყელას შვიდი ვარიანტი.

# არლის ფესტივალი გურამ წიბახაშვილის თვალით



გურამ წიბახაშვილი იური ლობოდინის ფოტო


განდეგილი ჟოზეფ კუდელკას ფოტო

მადი სერებრიაკოვა

ორ წელიწადში ერთხელ, ზაფხულობით, საფრანგეთის ქალაქ არლში დიდი ფოტო-ფესტივალი იმართება. ფოტოგრაფიის ერთ-ერთ სამშობლოში ამ პერიოდში ერთბაშად რამოდენიმე ფოტოღონისძიება მიმდინარეობს. რად ღირს თუნდაც პერპინიონის ან პარი-ფოტოს ფესტივალები. წლევანდელი არლი კი განსაკუთრებული პომპეზურობით გამოირჩეოდა. პირველი მიზეზი ფესტივალის ახალ დირექტორად სააგენტო "მაგნუმის" ხელმძღვანელის, ფრანსის ჰებალის არჩევა უნდა იყოს, მეორე კი – ის გამძაფრებული კონკურენცია, რომელსაც არლი პერპინიონთან მეტოქეობისას განიცდის. საქართველოში საფრანგეთის საელჩოს კულტურის განყოფილებამ არლში ცნობილი ქართველი ფოტოხელოვანი გურამ წიბახაშვილი წარგზავნა. არლიდან რამოდენიმე დღის წინ დაბრუნებული, ახალი ამბებითა და ტკბილი მოგონებებით დატვირთული ქართული ფოტოგრაფიის მეტრი გუშინ "24 საათის" სტუმარი იყო.

გურამ წიბახაშვილი არლის ფესტივალს განსაზღვრავს როგორც ტიპიურ ფრანგულ მოვლენას. მთელი ფესტივალი ფრანგული ფოტოგრაფიის სულით არის გამსჭვალული. მოწვეული უცხოელებიც, ჩანს, მათთან ესთეტიკური სიახლოვის ნიშნით არიან არჩეულები. ფრანგული ფოტოხელოვნების მთავარ თვისებად კი – "წიბახა" განსაკუთრებულ არტისტიზმს ასახელებს. ამავე დროს, არლის ფესტივალი ერთ-ერთი ყველაზე დემოკრატიული ფესტივალია: როგორც მისი დირექტორი აღნიშნავს, "აქ დილეტანტის ნამუშევრები შეიძლება დიდი არტისტის გვერდით გამოიფინოს, ჩვენთან ერთმანეთის გვერდით საოჯახო ალბომებს, ბიზნეს არქივებს და მხატვრული ფოტოგრაფიის ნიმუშებს შეხვდებით". ფესტივალი თანაბარ მდგომარეობაში აყენებს ციფრულ და ტრადიციულ ფოტოგრაფიასაც.

წლევანდელი არლის ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენა იოზეფ კუდელკას შემოქმედების რეტროსპექტიული გამოფენა იყო. გურამ წიბახაშვილის გაოცება ყველაზე მეტად იმან გამოიწვია, რომ ეს "რეტროსპექტივა" ოთხ უშველებელ გამოფენას მოიცავდა და თითქმის სრულად წარმოადგენდა მისი შემოქმედების ყველა ეტაპს – ჩეხური პერიოდიდან დაწყებული – მიმდინარე "ქაოსის" სერიით დამთავრებული. ეს უკანასკნელი უკვე ფოტოგრაფიის საზღვრებსაც გასცდა და მხატვრობისა და ფოტოგრაფიის მიჯნაზე განგრძობს მუშაობას. განსაკუთრებით საინტერესო "ქაოსის" გამოფენა ყოფილა. ექსპოზიცია ჩაბნელებული ტაძრის შენობაში მოეწყო, სადაც კუდელკას 3-4 მეტრის სიგრძის ფოტოები ვიწრო ზოლად იყო განათებული.

მსხვილმასშტაბიანი ექსპოზიციები წარმოადგინეს ასევე ჰოლანდიურმა გალერეებმა, რომლებმაც არამხოლოდ ჰოლანდიელების, არამედ მათ კოლექციებში დაცული უცხოელი განთქმული არტისტების ნამუშევრებიც გამოფინეს. რეტროსპექტიული გამოფენა მიეძღვნა ასევე ედვარდ ვესტონს.

გურამ წიბახაშვილი, განსაკუთრებით, არცთუ ცნობილი რუსი ფოტოგრაფის, სერგეი ჩილიკოვის გამოფენამ დააინტერესა. აქ განსაკუთრებით მნიშვნელოვანი არა მისი მხატვრული ღირებულება, არამედ - კურატორული სისტემა ყოფილა. მთელს მსოფლიოში ფოტოგრაფის წარმატებას ძირითადად კურატორი განაპირობებს – აღნიშნავს წიბახაშვილი, გამოფენის მოწყობისას ყურადღება უფრო იმას ექცევა, თუ "ვინ" წარმოადგენს მას და არა იმას, თუ რა არის მისი მხატვრული ღირებულება. ეს უკვე კარგად განვითრებული ბიზნესია. თუმცა ეს იმას სულაც არ ნიშნავს, რომ ყველაფერი კურატორის სუბიექტურ შეხედულებებზე და სიმპატიებზეა დამოკიდებული – კურატორი ჩვეულებრივ ძალზე კომპეტენტური ხელოვნებათმცოდნეა, რომელმაც ზუსტად იცის, რომელი გალერეა თუ ფესტივალი რა ტენდენციებს ანიჭებს უპირატესობას. საქართველოში კურატორული სისტემის და ასეთი კონტაქტების უქონლობის გამო, მრავალი საინტერესო ფოტოხელოვანი რჩება მსოფლიოში მიმდინარე პროცესების მიღმა. წიბახაშვილი დასავლეთთან კონკურენტუნარიან ქართველ არტისტებად გიო სუმბაძეს და ვატო წერეთელს მიიჩნევს.

თანმედროვე ფოტოგრაფიის კიდევ ერთ ძირითად ტენდენციად, განსაკუთრებით საფრანგეთში, ნაივური ელემენტები და ეროტიზმი დაასახელა. ამ ნიშნის ქვეშ იყო გაერთიანებული ხსენებული ჩილიკოვის, პორნო - ბიზნესში მომუშავე ამერიკელი ლარი სულტანის და არაბი რაედა საადეს ექსპოზიციები. ფოტოგრაფიაში ქალის სახეებზე მსჯელობისას, გურამ წიბახაშვილმა ფოტოხელოვნების "მასიურ გაფემინისტურებაზეც" ისაუბრა. ქალი ფოტოგრაფების მოზღვავების, მათი პროფესიონალიზმის დასტურად, მან ფესტივალზე ცნობილი კრიტიკოსის სიუზენ სონტაგის გამოჩენაც მიიჩნია. სონტაგი აქ თავის "ტუსოვკასთან", ფოტოგრაფ ქალებთან ერთად იყო – 5 ფოტოგრაფ ქალზე მას ვრცელი კვლევაც აქვს გამოქვეყნებული.

გამოფენებთან ერთად, არლის ფესტივალზე, ყოველ საღამოს, ამფითეატრში სლაიდ-შოუ და ვიდეო ჩვენებებიც იმართებოდა. მოეწყო ასევე კარტიე-ბრესონის სახელობის ფონდის პრეზენტაცია. თავად განთქმული ფოტოგრაფი ფესტივალზე სტუმრის სტატუსით იყო მოწვეული, ასევე ცნობილ კოლეგა-მეუღლესთან მარტინა ფრანკთან ერთად. სხვათა შორის, კარტიე-ბრესონის რეტროსპექტიული გამოფენა ამჟამად მსოფლიოს გარშემო მოგზაურობს. 2003-ში იგი ტაშკენტში უნდა დამთავრდეს. მიმდინარეობს მოლაპარაკება, რომ ამის შემდეგ იგი თბილისშიც ჩამოვიდეს, თუმცა ამ საქმეს დიდ დაბრკოლებას უქმნის დაზღვევასთან დაკავშირებული გრანდიოზული თანხა.

თბილისში ჩამოსვლის უფრო რეალური კანდიდატი იოზეფ კუდელკაა. მასთან მოლაპარაკება პარიზში მცხოვრებმა ქართველმა ფოტოგრაფმა ნესტან ნიჟარაძემ დაიწყო. ოქტომბერში ეწვევა თბილისს ცნობილი მარტინ პარიც (ერთხელ მას უკვე ჰქონდა გამოფენა "ქარვასლაში"). არლის ფესტივალზე ამ უკანასკნელმა "საფოსტო ბარათების სერია" წარმოადგინა. სერიის კონცეფცია იმაში მდგომარეობს, რომ ავტორი მთელი მსოფლიოს გარშემო მოგზაურობისას აგროვებს ძველ, ადგილობრივი ყოფის ამსახველ საფოსტო მარკებს და მათგან საკუთარ ფოტოებს ქმნის.

ისევ მოდური კიჩის არაჩვეულებრივი ნიმუში იყო უცნობი ფოტოგრაფის ექსპოზიცია, სათაურით - "... თითქმის ყველა ფოტოზე", სადაც ქმრის მიერ გადაღებული საკუთარი ცოლის 2000-მდე ფოტო იყო წარმოდგენილი.

ცალკეულ გამოფენებზე მსჯელობა დაუსრულებლად შეიძლება, გურამ წიბახაშვილთან ერთად რამოდენიმე საათის განმავლობაში დიდი ინტერესით ვათვალიერებდით ფესტივალის კატალოგსა და მასალებს, მაგრამ სიტყვებით ამ შთაბეჭდილებების გადმოცემა შეუძლებელია. რაც მთავარია, არლის ფესტივალისა და იქ ქართველი ფოტოგრაფის სტუმრობა გარკვეულ შედეგებს აქაც მოგვცემს. რად ღირს თუნდაც უკვე დაგეგმილი რამოდენიმე ოსტატის გამოფენა. "წიბახას" მომავლის გეგმები კი საკუთარი კატალოგის გამოცემა, ფოტო-სტუდიის გახსნა და ვენაში დაგეგმილ ქართული კულტურის დღეებში მონაწილეობაა. ამჟამად იგი "ნილბების" სერიაზე აგრძელებს მუშაობას, რომელიც ასევე წიგნად გამოვა. ცალკე გამოიცემა ასევე ცნობილი კრიტიკოსის, იან ჯეფრის კომენტარებიც წიბახაშვილის ფოტოებზე.


შიშველი ედუარდ ვესტონის ფოტო


სატელეფონო კავშირი
8-07
www.online.ge

# ბორჯომის საერთაშორისო ფესტივალი

## „ხელოვნების ზეიმი„ გრძელდება



ნანა და გია იაშვილები



უვე ბერკემერი საქართველოს კამერულ ორკესტრს დირიჟორობს



ლიანა ისაკაძე და მანანა დავითაშვილი

გოგიტა ბუხაიძის ფოტოები

თამარ სუხიშვილი

### არგენტინული ტანგო ბორჯომის პლატოზე

"Боржоми одно из прелестнейших мест когда-либо мной виденных," - უთქვამს ჩაიკოვსკის ბორჯომის მონახულებისას, ბორჯომის მაცხოვრებლებს ეს სიტყვები კარგად დაუმახსოვრებიათ, ქალაქის მუსიკალური სკოლის გვერდით დიდი რუსი კომპოზიტორის ძეგლი აღუმართავთ და იქვე, კედელზე, მისი ბორჯომული შთაბეჭდილებაც ამოუტვიფრავთ. ბორჯომელები ამაყობენ, რომ დიდმა რუსმა კომპოზიტორმა სწორედ ბორჯომსა და თბილისში დაწერა საორკესტრო სუიტა "მოცარტიანა", სექსტეტი "მოგონებები ფლორენციაზე", ბორჯომში ნაყოფიერად მუშაობდა ბალეტ "მძინარე მზეთუნახავზე" და სხვ.

დღეს ბორჯომის უცხოელი სტუმრები (ფესტივალის მონაწილეებს და მსმენელებს ვგულისხმობ) ამ კუთხის სილამაზით აღფრთოვანებას ვერ მალავენ, მოსწონთ ყველაფერი, ბუნება, წყალი (ჩვეულებრივიც და მინერალურიც), თრიალეთის ტყიანი ქედიდან მონაბერი ჰაერი, ბორჯომის ნაძვნარის სიგრილე და აქაურ მაცხოვრებელთა სითბო: "სადაც არ უნდა წავიდნენ, ბაზარშიც კი, სტუმრებს ყველა სახეგაბრწყინებული ეგებება, ზოგი რას ჩუქნის, ზოგი – რას. უცხოელებისთვის უჩვეულოა ამგვარი გულღიაობა და უანგარობა, მით უმეტეს, როცა იციან, რომ არცთუ დალხინებულ ქვეყანაში ჩამოვიდნენ, ჩვენი სტუმრები გაოცებულნი არიან," - გვეუბნება მანანა დავითაშვილი, საქართველოს კამერული მუსიკის ცენტრის დირექტორი.

როგორც თავად ფესტივალის მონაწილეები ამბობენ, ნანახმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა: ბევრი მუსიკა (დახურულ დარბაზშიც და სუფთა ჰაერზეც), კიდევ უფრო მეტი ტაში და დიდი სიხარული – ასე დაამახსოვრდებათ 2002 წლის ივლისის დღეები ბორჯომში – ადგილობრივ მოსახლეობასაც, დამსვენებლებსაც, უცხოელ სტუმრებსაც, მასპინძელ მუსიკოსებსაც და ორგანიზატორებსაც.

ლიანა ისაკაძე ძალიან ბედნიერია, მისმა ჩანაფიქრმა გაამართლა. აგერ უკვე კვირაზე მეტია ბორჯომში, კომპოზიტორთა დასასვენებელი სახლის დარბაზში კონცერტები თუ საღამოები სრული ანშლაგით მიმდინარეობს. ქალბატონი ლიანას ძირითადი მიზანიც ხომ რეგიონებში ჩამქრალი კულტურული ცხოვრების გამოცოცხლება და აღდგენა იყო. გადაჭედილმა დარბაზებმა ცხადად დაგვანახა, რომ დედაქალაქის გარეთ მცხოვრები მოსახლეობა კულტურულ ღონისძიებებს დანატრულებულია. "ბევრმა მსმენელმა სწორედ ამ ფესტივალზე შეაღო პირველად საკონცერტო დარბაზის კარი, პირველად მიეცა საშუალება, მოესმინა მუსიკა ცოცხალი შესრულებით, შეხვედროდა ასეთი მაღალი რანგის შემოქმედებს და, რაც ყველაზე სასიხარულოა, ამ ხალხმა მოსმენის, მუსიკალური ნაწარმოების აღქმის საოცარი შინაგანი კულტურა გამოავლინა," – ემოციებს და სიამაყეს ვერ მალავს კამერული მუსიკის ცენტრის დირექტორი.

ბუნებრივია, იყო კონცერტები, რომელთა მიმართაც მსმენელმა ნაკლები ყურადღება გამოიჩინა (მაგალითად, თანამედროვე მუსიკის კონცერტი სიმებიანი კვარტეტის - Xenia-ს შესრულებით), უბრალოდ იმიტომ, რომ თანამედროვე მუსიკა პროფესიულად მოუმზადებელი ყურისთვის ძნელი მოსასმენია. თუმცა იტალიური ანსამბლის შესრულების საოცარმა მანერამ და ცნობილი სოპრანოს, ლუიზა კასტელანის ხმამ მსმენელი მოაჯადოვა და დისონანსური მუსიკაც თითქოს კონსონანსურად იქცა.

გახსნის ცერემონიალის შემდეგ მსმენელს განსაკუთრებით დაამახსოვრდა 17 ივლისი, როცა კონცერტის ბოლოს მუსიკოსები დაკვრადაკვრით გაემართნენ კულისებისკენ და ღია ცისქვეშ იმპროვიზებული კონცერტი გამართეს: "არგენტინული ტანგო" ლიანა ისაკაძის შესრულებით, ვივალდის "ზაფხული" განსხვავებული ინტერპრეტაციით – ჯაზის ვარსკვლავის, ვლადიმირ ტარასოვის არანჟირებით. ლიანა ისაკაძესა და ორკესტრანტებთან ერთად ბავშვებიც უკრავდნენ სათამაშო ინსტრუმენტებზე – ამგვარი იდეა ხომ პირველად დაახლოებით ორი საუკუნის წინ ლეოპოლდ მოცარტს დაებადა, როდესაც პატარა ვოლფგანგისა და მისი მეგობრებისთვის საგანგებოდ შექმნა ასეთი ნაწარმოები...

### გერმანელმა დირიჟორმა "სულიკო" "ბისზე" იმღერა

ფესტივალის პირველი კვირის დასრულება ამინდის ცვალებადობითაც აღინიშნა, შაბათ საღამოს გაწვიმდა, შუქიც ჩაქრა. ბორჯომის პლატოზე საღამოს ნათელი იდგა, დარბაზში კი წყვდიადი ჩამოდგა. შუქი მოვა, მაგრამ როდისო? - ბჭობდნენ ოპტიმისტები. გერმანიის ელჩი საქართველოში, ბატონი შრამი ფოიეში შეჯგუფებულ ხალხთან ერთად გერმანულ მოთმინებასთან შეხამებული ოლიმპური სიმშვიდით ელოდა კონცერტის დაწყებას, - სახელმწიფო კამერულ ორკესტრთან და სოლისტებთან, ნანა და გია იაშვილებთან შეხვედრას და კოლორიტული გერმანელი დირიჟორის, უვე ბერკემერის სცენაზე ხილვას. ამასობაში ლიტველი ჯაზმენი ვლადიმირ ტარასოვი დროს უქმად არ კარგავდა, გარეთ ემოციურად საუბრობდა თავის კოლეგებთან და ფოტოს ფოტოზე იღებდა...

პუნქტუალობით ცნობილი ქვეყნის წარმომადგენელი უვე ბერკემერი ერთი საათის დაგვიანებით წარდგა მსმენელის წინაშე. მისი დირიჟორობით კამერულმა ორკესტრმა მოცარტის, ბახის, ბრიტენის და თავად დირიჟორის ნაწარმოებებიც შეასრულა; დირიჟორი, პიანისტი, კომპოზიტორი, ვოკალისტი, - ასე მრავალმხრივად მოიხსენიებენ გერმანელ მუსიკოსს, მაინცის უნივერსიტეტის პროფესორ უვე ბერკემერს. ბერკემერმა 1993 წელს გერმანიაში ორი ფესტივალი დააფუძნა. 1999 წელს "დიტცენბახის საერთაშორისო ფესტივალის" დირექტორი გახდა, სწორედ ამ ფესტივალზე გაიცნო ლიანა ისაკაძე.

სხვათა შორის, ბატონ ბერკემერს მეუღლედ ქართველი ქალი ჰყავს. "ადამიანი ორკესტრი", - ხუმრობით ასე ახასიათებს ბერკემერს მისი ქართველი მეუღლე, რომელიც, როგორც მუსიკოსი ამბობს, შესანიშნავად მღერის, იცის ყველა ქართული სიმღერა. ამასთან, ბერკემერი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ სწორედ ცოლის წყალობით ეზიარა ის მშვენიერ ქართულ ფოლკლორს.

ბერკემერი თავის ნაწარმოებებში უხვად იყენებს ქართულ თემებს, ქართველი მსმენელი განსაკუთრებით მოიხიბლა მშობლიური მელოდიების ინტერპრეტაციით. ხოლო როცა ორკესტრმა "სულიკოს" დაკვრა დაიწყო, ბერკემერი დარბაზს მიუბრუნდა და ეს სიმღერა თავიდან ბოლომდე იმღერა, დარბაზი ლამის ცრემლებად დაიღვარა. გერმანელ მუსიკოსს დიდხანს აღარ უშვებდნენ სცენიდან, მან "ბისზე" გაიმეორა "სულიკო", უდირიჟორა ცინცაძის "საჭიდაოს".

"მე ძალიან მიყვარს ქართული ხალხური მუსიკა, საოცრად დახვეწილი, ძალიან რთული, მარტივ გერმანულ ფოლკ-მუსიკასთან შედარებით. მოხიბლული ვარ ქართული მუსიკის პოლიფონიურობით, ქართული მუსიკალური ტრადიციებით, მიყვარს ფალიაშვილი, ცინცაძის მინიატურები, ყველაფერი, რაც ფოლკლორითაა ნასაზრდოები," – გვითხრა ბერკემერმა კონცერტის შემდეგ და იქვე დასძინა: "დღევანდელი კონცერტით კმაყოფილი ვარ, აუდიტორიაც ბედნიერი იყო, ასე რომ, მე მგონი, ყველაფერმა კარგად ჩაიარა." ბერკემერი ქართულად დამემშვიდობა.

დარბაზიდან გამოსული მაყურებელი კი დიდხანს ღიღინებდა "სულიკოს".

# გაიყიდება თუ არა დარჩენილი წიგნის მაღაზიები

ნანა კობაიძე

არცთუ დიდი ხნის წინათ ინგლისში წიგნის სასახლე გაიხსნა – უზარმაზარი ჟანრული და დარგობრივი განყოფილებებით, სამკითხველო და საპრეზენტაციო დარბაზებით, კაფე-ბარებით, მოკლედ, ყოველგვარი კომფორტით, თანაბრად რომ დააკმაყოფილებს როგორც რიგითი მკითხველის, ასევე ბიბლიოფილის მოთხოვნილებებს.

ჩვენთან რა ხდება? წიგნის სასახლეს აღარ ვჩივით, წიგნის მაღაზიებიც აღარ გაგვაჩნია. ევროპულ სტანდარტებზეა ლაპარაკი, თორემ რამდენიმე წიგნის მაღაზია თბილისში ჯერ კიდევ ფეთქავს. თუმცა, იქ შესულ გერმანელს (მაგალითისთვის) ვერაფრით აუხსნი, როგორ შეიძლება წიგნის მაღაზიაში ერთმანეთის გვერდით აღმოჩნდეს წიგნი, პარფიუმერია, ოქრო-ვერცხლი, ავტობუსის ბილეთების სალარო და ასე შემდეგ. თუმცა ჩვენ ხომ პარადოქსების ქვეყანა ვართ, გვყავს ასევე პარადოქსული მთავრობა, რომელიც ხშირად, რბილად რომ ვთქვათ, არაადეკვატურ გადაწყვეტილებებს იღებს. სხვანაირად რა შეიძლება ეწოდოს პრეზიდენტის 1995 წლის ბრძანებულებას, რომლის თანახმადაც ქვეყანაში აიკრძალა წიგნის მაღაზიების პრივატიზება. მიზანი ნამდვილად კეთილშობილური იყო – გადაერჩინათ წიგნის მაღაზიები. თუმცა, სწორედ ამ ბრძანებულებამ მიგვიყვანა დღევანდელ შედეგებამდე.

რა ხდება დღეს წიგნის მაღაზიებში? როგორც უკვე აღვნიშნე, კარგი არაფერი. დღეს ისინი, ლევან თითმერიას თქმის არ იყოს, დახლ-მაცივრების პრინციპით მუშაობენ. ეს რა თქმა უნდა, არასასიამოვნოა, მაგრამ როგორც მაღაზიების დირექტორებთან საუბარში ირკვევა – იძულებითი ღონისძიებაა. სხვანაირად ისინი ვერ გადაიხდიან ყოველწლიურად მზარდ გადასახადებს. არადა, პირიქით უნდა მომხდარიყო.

1995 წელს საქწიგნის მაღაზიათა ქსელი მერიის ბალანსიდან საქწიგნის ბალანსზე გადაიყვანეს. მიზეზი საკმაოდ მიმზიდველი იყო – წიგნის მაღაზიებს შეუმცირდებოდათ ფართისა და სხვა უამრავი გადასახადები. შეიქმნა წიგნის გადარჩენის ფონდი, რომელსაც ჯანსულ ჩარკვიანი ჩაუდგა სათავეში. თუმცა, ხელმოწერების მაღაზიის დირექტორის, იზოლდა სუპატაშვილის თქმით, თუ საჭირო გახდება, იტყვის, როგორ "ეხმარებოდა" მათ ბატონი ჯანსული. გადასახადები შემცირების ნაცვლად გაიზარდა და ფართით სარგებლობის თანხა დღეს უკვე ქონების მართვის სამინისტროს ბაზაზე ჩამოყალიბებულ შპს "საქწიგნში" შედის. სად მიდის იქიდან, ქალბატონმა იზოლდამ არ იცის, თუმცა მისთვის ერთი რამ ცხადია – ეს თანხა სახელმწიფოს ჯიბეში არ შედის.

დაახლოებით ერთი თვის წინათ გავრცელდა ინფორმაცია, რომ რომელიღაც კერძო პირი საქწიგნის ობიექტების შესყიდვას აპირებდა. რას გახსნიდა იგი ჩანაფიქრის ასრულების შემთხვევაში, არავინ იცის, თუმცა, წიგნის მაღაზიების გადასარჩენად რომ არ "გადაყრიდა" ფულს, ფაქტია. ამას დაერთო ქონების მართვის მინისტრის, სოლომონ პავლიაშვილის განცხადება წიგნის მაღაზიების პრივატიზების დაწყების შესახებ, რამაც ამ მაღაზიათა დირექტორების აღშფოთება გამოიწვია. საქმე ის გახლავთ, რომ ეს ობიექტები სავაჭრო თვალსაზრისით სტრატეგიულ ადგილებზეა განლაგებული – ქალაქის ცენტრალურ პროსპექტებზე, რომლებიც უკვე მთლიანად გაიყიდა. ადრე თუ გვიან ამ ობიექტების პრივატიზებაც დაიწყება, როგორც არ უნდა უნდოდეთ ეს ამ მაღაზიათა დირექტორებს. რადგან სწორედ ეს მაღაზიები ასახავს იმ სავალალო ვითარებას, რაც დღეს სახელმწიფო საკუთრებაში დარჩენილ ობიექტებზე სუფევს. მთავარი ამ შემთხვევაში ის არის, რა პირობებით მოხდება პრივატიზება და ვის წისქვილს დაესხმება წყალი. როგორც ქონების მართვის სამინისტროში ერთ-ერთმა თანამდებობის პირმა მითხრა, - ჩვენც გვიყვარს წიგნი და მის გადარჩენაზეც ვზრუნავთო, მაგრამ მათი საქმე ისეა, ერთი ქართული ანდაზა რომ ამბობს – ქურდს ქუდი ეწვისო. მართალია, ქონების მართვის სამინისტროში ამბობენ, რომ პრივატიზების შემთხვევაში ის, ვინც წიგნის მაღაზიას იყიდის, ვალდებული იქნება, პროფილი შეინარჩუნოსო, მაგრამ დიდი ტვინის ჭყლეტა არ უნდა იმის მიხვედრას, რომ დიდი ფულის პატრონს წიგნი კი არ აინტერესებს, არამედ ტერიტორია (ლაპარაკია იმ 6 წიგნის მაღაზიაზე, რომელთაგან 3 რუსთაველის გამზირზეა განლაგებული, 3 – მარჯანიშვილის ქუჩაზე). აბა, აჩუქეთ გლდანში წიგნის მაღაზია, თუ წავლენო, – ამბობს მაღაზია "საუნჯეს" დირექტორი შოთა ბერიძე. გამომცემელი ბაკურ სულაკაური პრობლემის გადაწყვეტის მარტივ გზას გვთავაზობს – გაიყიდოს წიგნის მაღაზიები, ოღონდ მყიდველი ვალდებული იქნება, მაღაზიის 80-90 პროცენტი წიგნს დაუთმოს. ეს ცოტა არარეალურად ეჩვენება მწერალ გივი ალხაზიშვილს, რადგან, მისი აზრით, დღეს წიგნს უჭირს თავის რჩენა. თუმცა, სწორი მენეჯმენტის შემთხვევაში ამ იდეამ შეიძლება გაამართლოს. წიგნის მაღაზიების დირექტორებს საკუთარი გამოსავალი აქვთ – მათ სურთ, რომ ეს წიგნის მაღაზიები იქ მომუშავე კოლექტივებს მიეყიდოს. თუმცა, ქონების მართვის სამინისტროში მათ მოსაზრებას კანონს უპირისპირებენ, რომლის თანახმადაც ობიექტს იყიდის ის, ვინც მეტ ფულს გადაიხდის. თუმცა, ისიც საკითხავია, რომელი კანონით ხელმძღვანელობდნენ ამავე სამინისტროში რამდენიმე წლის წინათ, როდესაც ყველაფრის გვერდის ავლით გაიყიდა წიგნის მაღაზია "ჩირაღდანი" - ფილარმონიის პირდაპირ, "მეგობრობა" – კულტურის სამინისტროს გვერდით და "ნაკადული" – ვაჟაფშაველაზე? სხვათა შორის, არც ერთ მათგანში დღეს წიგნის მაღაზია აღარ არის. იზოლდა სუპატაშვილიც და შოთა ბერიძეც მიიჩნევენ, რომ მათ ბედს გაიზიარებს ყველა ის მაღაზია, რომელიც გაიყიდება. შესაძლოა, მოსაჩვენებლად ერთი-ორი წლით შეინარჩუნონ წიგნი, შემდეგ კი ნელ-ნელა ამოძირკვავენო, – ამბობენ ისინი. მოკლედ, ვის დარჩება წიგნის მაღაზიები, მომავალი გვიჩვენებს. ჯერჯერობით კი, როგორც ჩანს, იმ აჟიოტაჟის გამო, რაც ამ საქმესთან დაკავშირებით ატყდა, ტენდერი შეჩერებულია.



თბილისის წიგნის ფესტივალზე

ლევან ხერხეულიძის ფოტო

# "არენა დი ვერონა" 80 წლისაა

მადი სერებრიაკოვა

წელს რომეოსა და ჯულიეტას ქალაქში 500 000 ოპერის თაყვანისმცემელი მოიყრის თავს. სტუმრების სიმცირეს ვერონა აქამდეც არ უჩიოდა, ამჯერად კი – პუბლიკის განსაკუთრებული მოზღვავება იგრძნობა. ეს არც არის გასაკვირი: წელს ვერონის ცნობილი საოპერო ფესტივალი 80 წლის სრულდება. პირველი საუკუნის რომაულ ამფითეატრში ღია წარმოდგენების ციკლი ფრანკო ძეფირელისეული ვერდის "აიდა"-თი გაიხსნა.


არენა დი ვერონა


ფრანკო ძეფირელი

თავის დროზე სუეცის არხის გახსნის აღსანიშნავად შექმნილი "აიდა" ვერონისთვისაც მეტად სიმბოლურია: სწორედ "აიდა" იყო ის პირველი სპექტაკლი, რომლითაც ვერონის ანტიკური ამფითეატრი ხელახლა გააცოცხლეს ჩვენს დროში. ეს 1913 წლის აგვისტოში მოხდა, როცა ცნობილმა იტალიელმა ტენორმა ჯოვანი ძენატელომ ვერონაში ვერდის რვა ოპერაში იმღერა კომპოზიტორის დაბადების ასი წლისთვის აღსანიშნავად. ამის შემდეგ, პირველი მსოფლიო ომის დროს რამოდენიმე ჩავარდნას თუ არ ჩავთვლით, ვერონის ფესტივალი ყოველწლიურად იმართება. იტალიის სიდიდით მესამე ამფითეატრი (ვერონას ამფითეატრს რომის კოლიზეუმი და კაპუას სცენა უსწრებენ) ზაფხულობით ათასობით ოპერის მოყვარულს მასპინძლობს.

ვერონის ფესტივალს უკავშირდება თავის დროზე არა ერთი დიდი ვარსკვლავის პირველი დიდი წარმატება. აქ გაისმა ბენიამინო ჯილის ხმა 1929 წელს. 1947 წელს კი სწორედ ვერონაში გამოჩნდა ნიუ იორკიდან ახალი ჩამოსული, მაშინ არცთუ ცნობილი, მარია კალასი, პონკიელის "ჯოკონდაში". ვერონაში იგი რეგულარულად გამოდიოდა 1954 წლამდე. თუმცა, ავი კრიტიკოსები ვერონას უფრო "სპექტაკლების" და არა საოპერო ფესტივალს უწოდებენ. შეიძლება ამის მიზეზი ის გრანდიოზული სადადგმო ოსტატობაა, რომელსაც ყოველწლიურად აქსოვენ რეჟისორები ვერონის საოპერო სპექტაკლებში. წლევანდელი ვერონის ფესტივალი ყველაზე მეტად დიდი რეჟისორის - ფრანკო ძეფირელის სახელს დაუკავშირდა.

ამ ზაფხულს ძეფირელისეული "აიდას" სულ მცირე 13 წარმოდგენა გაიმართება. გასულ წელს, ვერდის გარდაცვალების თარიღთან დაკავშირებით, ბუსეტოში მოწყობილ ვერდის დღეებზე, ძეფირელიმ ისევ "აიდა" წარმოადგინა, თუმცა შარშანდელი დადგმა წლევანდელისგან პრინციპულად განსხვავდებოდა. ძეფირელიმ ბუსეტოს თეატრის კამერული გარემოსათვის, ოპერის ისტორიაში "აიდას" ყველაზე "პატარა" დადგმა განახორციელა. სრულ კონტრასტს წარმოადგენს წლევანდელი დადგმა. აქ სცენაზე სამარხების ფიგურებიდან გადმოღებულ ეგვიპტურ ტანისამოსში გამოწყობილი ასობით მსახიობი მოძრაობს. შუაზე გაყოფილი გუნდი ძეფირელიმ სცენის ორსავე მხარეს ისე მოათავსა, რომ მათ ერთმანეთისგან თითქმის 80 მეტრი აშორებთ. სცენის შუაში სფინქსის უშველებელი ფიგურაა ამოზრდილი. განსაკუთრებულია განათების ეფექტიც. თუმცა, გარეგნული ბრწყინვალების ყველა ელემენტი ძეფირელიმ ერთ მთავარ დეტალს დაუქვემდებარა: "ვერდის იდეა, "აიდაში" იმის ჩვენება იყო, რომ ყველა ეგვიპტურ ღვთაებაზე მაღლა სიყვარულის ღმერთი დგას" – აღნიშნავდა დიდი რეჟისორი დადგმის კომენტირებისას.

სპეციფიური გათვლა სჭირდება ვერონის ამფითეატრის აკუსტიკას. ვინაიდან ხმის გამაძლიერებელი საშუალებები აქ არ გამოიყენება, მომღერლებს განსაკუთრებული დაძაბულობა მართებთ, რომ საკუთარი ხმის თეატრის ყველა კუთხეში გასაგონი პროექცია მოახდინონ. დანიელ ორენი – დირიჟორი, რომელმაც 13 წლის განმავლობაში ვერონაში 17 სპექტაკლს უდირიჟორა, სოლისტებისა და ორკესტრის "მართვის" განსაკუთრებულ სირთულეზე მსჯელობს - "წარმოიდგინეთ იმ ორკესტრის დირიჟორობა, სადაც ტრომბონი არფისგან 50 მეტრის დაშორებითაა მოთავსებული. ამ ორკესტრის დირიჟორობას ისე თუ შეეცდები - თითქოს ჩვეულებრივ დარბაზში იყო – დაღუპული ხარ".

"არენა დი ვერონას" კიდევ ერთი ფავორიტი ვერდისავე "ნაბუქო" - ა. "აიდასა" და "კარმენის" შემდეგ, "ნაბუქო" ყველაზე ტრადიციული ოპერაა ვერონის ფესტივალისთვის, 1938 წლიდან მოყოლებული. წლევანდელი "ნაბუქო" ვერონაში კარგად ცნობილი სცენოგრაფის გრაციანო გრეგორის სარეჟისორო დებიუტს წარმოადგენს. მისი ძირითადი პროფესიიდან გამომდინარე სპექტაკლი სრულიად განსაკუთრებულია, სცენის დიზაინის თვალსაზრისით. სცენოგრაფიაში აქ სარკესავით აირეკლება გმირთა სულიერი განცდები. ისევე როგორც "აიდას", "ნაბუქოსაც" დანიელ ორენი დირიჟორობს. მაღალი შეფასება დაიმსახურა სოლისტთა შემადგენლობამაც (ნაბუქო – ალბერტო გაზალე, მარკო ბერტი – ისმაელი, ჯაკომო პრესტია – ზაქარია, ანდრეა გრუბერი – აბიგაილი, სუზანა პორეცკი - ფენენა).

ვერდის ოპერების გარდა, წლის ფავორიტებად ითვლება ძეფირელის მიერვე განხორციელებული ბიზეს "კარმენი" და პუჩინის "ტურანდოტიც". "არენა დი ვერონას" ფესტივალს კი 1 სექტემბერს, ისევ "აიდა" დააგვირგვინებს.

# ამერიკელები "სტალინგრადის ბრძოლამ" აატირა

ნინო თვარაძე

"თოჯინები დასცინიან ცხოვრებას" – ამ სათაურით გამოაქვეყნა გუშინ new york times-მა მეტად საინტერესო სტატია ლინკოლნ ცენტრის ფესტივალში მონაწილე ქართული მარიონეტების თეატრის შესახებ. ჩვენ უკვე გაუწყეთ, რომ რეზო გაბრიაძის ორი სპექტაკლი "სტალინგრადის ბრძოლა" და "ჩემი გაზაფხულის შემოდგომა" 22-იდან 28 ივლისამდე იქნება ნიუ იორკში წარმოდგენილი. მარიონეტების თეატრის პირველი შეფასება ამერიკულ პრესაში უკვე გუშინ გამოჩნდა.

სელესტინ ბოლენის მოზრდილი სტატია გაბრიაძის სიტყვებით იწყება: "ეს სიცრუეა" – ამბობს ქართველი რეჟისორი რეალობის აღწერისას და ამერიკელებს სულ სხვა, ფანტასტიკურ, თბილი იუმორით გამსჭვალულ რეალობას წარმოუდგენს. ამერიკელი ჟურნალისტი პირველ რიგში "კავკასიაში მდებარე ქვეყანას" აღწერს, თან ამერიკელთათვის უკვე კარგად ცნობილი, გიორგი ალექსი-მესხიშვილის სიტყვებს იშველიებს. კავკასიის მთების სილამაზით აღფრთოვანებული ჟურნალისტი სრულიად ბუნებრივად მიიჩნევს, რომ აქ გაზრდილი ადამიანი ცხოვრებასაც ასე მშვენიერად აღიქვამს: "ეს უდიდესი წარმოსახვის ქვეყანაა, - იმეორებს იგი ალექსი-მესხისვილის სიტყვებს - იქ რეალური ცხოვრებით არ ცხოვრობენ".

გაბრიაძის "სტალინგრადის ბრძოლა", იმთავითვე, ფესტივალის პროგრამის განსაკუთრებით საინტერესო მოვლენებს შორის იყო მოხსენიებული. ამერიკელები გაოცებული დარჩნენ ქართველი რეჟისორის, სცენარისტისა თუ თოჯინების ოსტატის ფანტაზიით, რომელმაც ცხენისა და ჭიანჭველას თვალით დაინახა ომის საშინელება და ტკივილი.

კიდევ უფრო უცნაურად მოეჩვენათ გაბრიაძის მეორე სპექტაკლი, "ჩემი გაზაფხულის შემოდგომა" - კაჭკაჭ ბორიას ფანტასტიკური სიყვარული მოხუცი ქალის მიმართ. სენტიმენტალური გრძნობებით აღსავსე სტატია კი ისევ "ჩემი გაზაფხულის შემოდგომის" გმირების – კაჭკაჭ ბორიასა და თბილისელი მეძავის საუბრის ფინალური სიტყვებით მთავრდება: "რა იცოდა დარვინმა სიყვარულის".


რეზო გაბრიაძე ИТАР-ТАСС

# კლაუს მარია ბრანდაუერმა, შესაძლოა, ქართულ ფილმში ითამაშოს

ანა კორძაია-სამადაშვილი

*"შემთხვევით ადამიანი – აი, ეს მესმის! ვშიშობ, რომ მეც ასეთი ვარ. მე კარგად ვხვდები, როგორ შეიძლება საკუთარი თავის გაქირავება. ერთი ისაა, რომ ახალგაზრდა აღარა ვარ და უკვე საეჭვოა, რომ ვინმე დამიქირავებს."*

მეფისტოფელის, რედლის და დანტონის შემდეგ კლაუს მარია ბრანდაუერი მალე ახალ ამპლუაში წარსდგება მაყურებლის წინაშე – სამხრეთ საფრანგეთში ახლახანს დასრულდა გერმანულ-იტალიურ-ფრანგული ფილმის გადაღებები. იღბლიანები, იდეალისტები და ინდივიდუალისტები საერთოდ მისი საყვარელი გმირები არიან, Daddy-ში კი იგი ფილოსოფიის პროფესორს თამაშობს, რომელსაც თავისი ყოფილი სტუდენტი გოგო უყვარს და იტანჯება. უიმედო სიყვარული სიძულვილში გადაიზარდა: პროფესორი გესტაპოელებთან ერთად დევნის საყვარელი ქალის ვაჟს. "როგორც მსახიობს არ მაკმაყოფილებს უბრალოდ ამა თუ იმ სახის შექმნა – ეს არადრამატული იქნებოდა. შექმნილი სახე ისეთი უნდა იყოს, რომ ყველამ იგრძნოს: ეს შეიძლება მეც შემემთხვეს, შესაძლოა, მეც ასე მოვქცეულიყავი."

შემდეგ როლს ეს შესანიშნავი მსახიობი ქართულ ფილმში ითამაშებს. ფაქტობრივად, შემთხვევით: 1981 წელს ის პირველად ჩამოვიდა საქართველოში თავის ცოლთან, კარინთან ერთად. მაშინ ევგენი ევტუშენკოს "საბავშვო ბაღში" გერმანელი ოფიცრის როლს ასრულებდა და ჰონორარის სახით, პოეტმა და რეჟისორმა საბჭოთა კავშირში მოგზაურობა შესთავაზა. ასე მოხვდა თბილისშიც. იმდროინდელმა ნაცნობმა, ნინო ლაბიაშვილმა, ახლა თავის ფილმში, "გიზელა", როლი შესთავაზა. სასიყვარულო სამკუთხედის ისტორიაა – სიყვარული, ეჭვიანობა, ღალატი... ახალგაზრდა ქართველ ბალერინას, ნუცას, 1943 წელს ინგლისის სამხედრო ატაშე, კლიფი შეუყვარდება. საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის, მოლოტოვის ნებართვით მათ იქორწინეს, მაგრამ სუკ-საც მოხვდნენ თვალში. საბოლოოდ, ნუცა ციმბირის ბანაკში აღმოჩნდება, ინგლისელ სამხედროს კი ჯაშუშობისთვის საქართველოდან აძევებენ. გაურკვეველია, რა ამოძრავებდა მესამეს, სუკ-ის ოფიცერს: დაუკმაყოფილებელი სიყვარული თუ სხვა ადამიანის სიცოცხლის ნგრევის სურვილი.

ბრანდაუერის როლი ჯერ-ჯერობით დაუდგენელია. მისი ვარაუდით, იგი ოფიცერი იქნება: "ყოველთვის გერმანელი ბნელი ტიპი ხომ არ უნდა ვითამაშო."

მსახიობი მთელი თავისი შემოქმედებით ცდილობს აჩვენოს, თუ რამდენად მძიმეა ტოტალიტარულ ხანაში მცხოვრები ადამიანის ხვედრი: "უამრავი სირთულის გადალახვა უწევს, წნეხი მეტისმეტად დიდია. ასეთ დროს სამართლიანობისა და ღირსების შენარჩუნებისათვის თავდადებული ბრძოლაა საჭირო, ამის უნარი კი ყველას არა აქვს. განა ჩვენ თვითონ გმირები ვართ? – ნუ გავკიცხავთ სუსტებს, ჩვენც ხომ ასეთები ვართ სინამდვილეში. ნაციზმის შესახებ უთვალავი ფილმია გადაღებული, მაგრამ ეს აზრი მხოლოდ რამდენიმეში ჟღერს, მოწოდება - ნუ გავკიცხავთ. "დღეს ჩვენთვის ყველაფერი შეუდარებლად იოლია, აბა, ვის ხვდება ნამდვილი ცდუნება? ო, რა გმირობაა – სამოცი წლის შემდეგ ჰიტლერის საწინააღმდეგო ფილმის გადაღება! ვის რაში არგია?!"

ბრანდაუერის აზრით, გმირის სახის ჩვენება უაზროა, გმირები ყოველთვის არადამაჯერებლად გამოიყურებიან. "ანგელოზები და გმირები მძიმე საზოგადოებაა. მე ის მაინტერესებს, როგორ შეიძლება სადმე შეტოპო, როგორ მოქმედებ იქ, სადაც აღმოჩნდი. უნდა იყო ჯარისკაცი, ოფიცერი, ცეცხლი უნდა გაიარო, იდეოლოგიას დაექვემდებარო." რასაკვირველია, არსებობენ "უნებლიე გმირები" – მას სწორედ ასეთის სახე აქვს შექმნილი: უმუშევარი დურგალი, რომელმაც მხოლოდ იმის გამო, რომ ასეთ გუნებაზე იყო და თან ჰიტლერი ეჯავრებოდა, ყუმბარა გააკეთა მის ასაფეთქებლად. სწორედ ასეთად წარმოუდგენია ბრანდაუერს წინააღმდეგობა: ჩუმი, მოკრძალებული და ქედმოუხრელი, პატარა ადამიანის დიდი გმირობა.


კლაუს მარია ბრანდაუერი მეუღლესთან ერთად REUTERS

ფეხბურთი

# დავა გრძელდება

დღეს დიდუბე-ჩუღურეთის რაიონულმა სასამართლომ ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტობისთვის დიდი ბრძოლის კიდევ ერთ შეტაკებას უმასპინძლა. სასამართლომ განიხილა სარჩელი, რომელიც პრეზიდენტობის კანდიდატმა დავით პეტრიაშვილმა შეიტანა. მოსარჩელე მოითხოვს, რომ საარჩევნო ხმის უფლება მოეხსნას აღმასკომის 14 წევრს, რომლებიც ფედერაციის სუბიექტები არ არიან. პეტრიაშვილი ამტკიცებს, რომ ვეტერანთა კავშირს ეკუთვნის ერთი და არა ხუთი ხმა (ერთი სუბიექტი-ერთი ხმა). და ბოლოს, ცნობილი სკანდალი, რომელიც ჟორდანიას მიერ ბავშვთა ფეხბურთის სამი ხმის გაუქმებამ გამოიწვია. გუშინ სასამართლომ გადაწყვეტილება ვერ მიიღო. პროცესი კი საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის განცხადებით დაიწყო. ფედერაციას მიაჩნია, რომ ზემოხსენებული საკითხებისა და, საერთოდ, პეტრიაშვილის სარჩელის განხილვა უკანონოა და სასამართლოს ურჩია, საერთოდ არ განეხილათ სარჩელი. საპასუხო არგუმენტების მოსმენის შემდეგ სასამართლომ უარი განაცხადა ფედერაციის მოთხოვნის შესრულებაზე და პროცესი გაგრძელდა. გადაწყდა, რომ საბოლოო გადაწყვეტილება დღეს, დილის ათ საათზე იქნება ცნობილი. კომენტარი ვთხოვეთ დავით პეტრიაშვილის რწმუნებულს სასამართლოში დავით ებრალიძეს: "ჩვენი ყველა მოთხოვნა კანონიერია. აღმასკომის 14 წევრს ხმის უფლება უნდა ჩამოერთვას იმ უბრალო მიზეზით, რომ ისინი არ არიან ფედერაციის სუბიექტები. ვეტერანთა კავშირს, როგორც სრულუფლებიან სუბიექტს, უნდა ჰქონდეს ერთი ხმა. აქ ყველაფერი ნათელია. შედარებით რთული სიტუაციაა ბავშვთა ფეხბურთის საქმეში. ბავშვთა ფეხბურთი არ არის ფედერაციის სუბიექტი. ამაზე ჩვენ არც ვდავობთ. უბრალოდ, გვინდოდა, ბავშვთა საფეხბურთო სკოლების სამი წარმომადგენლის, სამი იურიდიული პირის წარდგენა. საერთოდ, ბავშვთა ფეხბურთის იმ სხდომის ჩატარება ფეხბურთის ფედერაციის იდეა და გადაწყვეტილება იყო. თუმცა, ფედერაციამ თავისი ვერ გაიტანა და ის ბრძოლა წააგო. იმ სამი ხმის უფლება მის მომხრეებს რომ მიეღოთ, პრობლემა არ შეიქმნებოდა. რაც შეეხება ფიფასა და უეფას მიერ გამოგონილ კანონს სახელმწიფოსა და სამოქალაქო სასამართლოს ფედერაციის საქმეებში ჩაურევლობის შესახებ, ეს კანონი შეიქმნა "ბანანის" ქვეყნებისთვის და მათ გასაკონტროლებლადაა შემუშავებული. როგორ შეიძლება, ვიღაცის კანონი შენი ქვეყნის კანონმდებლობაზე მაღლა დააყენო. ეს, უბრალოდ, შეურაცხმყოფელია. დარწმუნებული ვარ, რომ სასამართლო ობიექტურ გადაწყვეტილებას მიიღებს."

ვთქვათ, სასამართლომ გადაწყვეტილება მიიღო და დავით პეტრიაშვილის ყველა მოთხოვნა დააკმაყოფილდა. როგორი იქნება ფეხბურთის ფედერაციის რეაქცია? ამ შეკითხვაზე პასუხის გაცემა იოლია. ჟორდანიას გუნდი უკანონოდ და უსამართლოდ მიიჩნევს სამოქალაქო, თუნდაც ქართული სასამართლოს ყველა იმ გადაწყვეტილებას, რომელიც მის წინააღმდეგ იქნება მიღებული. ყოველ შემთხვევაში, აქამდე ასე იყო. არჩევნებამდე კი ზუსტად ერთი თვეა დარჩენილი და წინასაარჩევნო ბრძოლა კულმინაციას აღწევს.

# ჯერ იუჰანსონი, მერე ბლატერი

მიხეილ აბაიშვილი

თბილისში ვიზიტით იმყოფება ფიფას პროგრამა "გოლის" კოორდინატორი, აღმოსავლეთ ევროპასა და ყოფილ საბჭოთა კავშირის ქვეყნებში ვალერი ჩუხრი. მოგეხსენებათ, საწვრთნელი ბაზის მშენებლობა საქართველოს ეროვნული ნაკრებისთვის სწორედ ამ პროგრამის დაფინანსებით მიმდინარეობს. ფიფას კოორდინატორი სწორედ ბაზის მშენებლობის ინსპექტირების მიზნით ჩამოვიდა. ჩუხრიმ გუშინ დაათვალიერა დიღომში, აგრარული უნივერსიტეტის მიმდებარე ტერიტორიაზე მიმდინარე სამუშაოები, შემდეგ კი პრესკონფერენცია გამართა.

ფიფამ 4 წლის წინ დაიწყო პროგრამა "გოლის" განხორციელება. ამ პროგრამის ჩარჩოებში ფინანსური დახმარება გაეწია ფიფას წევრ, შედარებით ნაკლებად განვითარებულ 111 ქვეყანას. დახმარებები მიზნობრივია და ითვალისწინებს საფეხბურთო ინფრასტრუქტურის გასავითარებელი ღონისძიებების დაფინანსებას. პოსტსაბჭოთა სივრცეში, უკრაინის გარდა, პროგრამა "გოლით" გათვალისწინებული დახმარება ყველა ყოფილმა საბჭოთა რესპუბლიკამ მიიღო. კოორდინატორის თქმით, მომავალ პროგრამაში უკრაინაც აუცილებლად ჩაერთვება. საქართველომ და დანარჩენმა "ყოფილებმაც" 400-400 ათასი დოლარი მიიღეს. ვალერი ჩუხრის თქმით, პოსტსაბჭოეთში საქართველო ერთ-ერთი ლიდერია როგორც პროგრამაში ჩართვის, ისე მისი განხორციელების ტემპების მხრივ. მშენებარე ბაზის ნახვის შემდეგ იგი ძალზე კმაყოფილი დარჩა როგორც პროექტით, ისე ჩატარებული სამუშაოების მაღალი სტანდარტებით. საწვრთნელი ბაზის მშენებლობის დასრულება დეკემბრის ბოლოსთვის არის ნავარაუდევი, თუმცა, ოფიციალურად და საზეიმოდ ცოტა მოგვიანებით გაიხსნება. დეკემბრის ბოლოს, ტრადიციულად, საფეხბურთო ევროპა "ზამთრის ძილს" ეძლევა. ამ პერიოდში ნაკრები გუნდები არათუ ოფიციალურ შესარჩევ მატჩებს არ თამაშობენ, ამხანაგურ შეხვედრებსაც კი არ გეგმავენ. ამიტომაც, საწვრთნელი ბაზის გახსნაზე, საზეიმო და საქმიანი ატმოსფერო რომ უზრუნველყონ, ეს მოვლენა 2003 წლის მარტისთვის, საქართველოსა და შვეიცარიის ნაკრები გუნდების შესარჩევი მატჩის დღეს არის დაგეგმილი. უფრო მეტიც: დიდი შანსია იმისა, რომ ამ საზეიმო ცერემონიალს და მატჩს ფიფის პრეზიდენტი იოზეფ ბლატერი დაესწროს. ყოველ შემთხვევაში, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტს მერაბ ჟორდანიას ბლატერისგან ამ ვიზიტის თაობაზე უკვე მიღებული აქვს სიტყვიერი თანხმობა.

ფიფას წარგზავნილმა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობის მისამართით ქათინაურები არ დაიშურა. ვალერი ჩუხრის თქმით, ფიფას შეფობა კარგად ხედავს, რომ სფფ გამორჩეული ლიდერი ფედერაციაა პოსტსაბჭოურ სივრცეში და იქ საქმის მცოდნე, მაღალი დონის პროფესიონალები მუშაობენ. აქვე ვიტყვით, რომ ფიფას პრეზიდენტზე გაცილებით ადრე, სულ ერთ თვეში, საქართველოს კიდევ ერთი წარმომადგენლობითი დელეგაცია ეწვევა უეფას პრეზიდენტის, ლენარტ იუჰანსონის ხელმძღვანელობით. იუჰანსონის ჩამოსვლა დიდი ხნის წინ იყო გადაწყვეტილი, გუშინ კი საბოლოოდ დაკონკრეტდა მისი ჩამოსვლის თარიღი – 19 აგვისტო. შვედი საფეხბურთო ფუნქციონერი სამ დღეს დაჰყოფს საქართველოში და 21 აგვისტოს დაგვტოვებს. მოგეხსენებათ, 24 აგვისტოს სფფ-ს ყრილობა და საპრეზიდენტო არჩევნები იმართება. ის ფაქტი, რომ ამ მოვლენამდე ხუთი დღით ადრე საქართველოში უეფას უმაღლესი ხელმძღვანელობა ჩამოვა, უბრალო დამთხვევა არ არის და ბევრ რამეზე მეტყველებს. ხოლო თუ აქ ყოფნის დროს იუჰანსონი მხარს დაუჭერს მერაბ ჟორდანიას და მის გუნდს, ამან, შესაძლოა, გადამწყვეტი გავლენაც იქონიოს არჩევნებზე.

რაც შეეხება პროგრამა "გოლს", იგი მომავალშიც გაგრძელდება და, კოორდინატორის აზრით, მასში საქართველო კვლავაც მიიღებს მონაწილეობას. ამის თაობაზე ფიფას შესაბამის კომიტეტში ნოემბერში იმსჯელებენ და იქ გადაწყდება, თუ ახლო მომავალში რა სახის და ოდენობის დახმარებას მიიღებს ფიფასგან ქართული ფეხბურთი.

# ქინქლაძე „დერბიში" რჩება

გიორგი ქინქლაძე, სავარაუდოდ, მომავალ სეზონსაც "დერბის" შემადგენლობაში გაატარებს.

მას შემდეგ, რაც "დერბი" პრემიერ-ლიგიდან გავარდა, ბევრი მითქმა-მოთქმა იყო იმის შესახებ, რომ საქართველოს ნაკრების ნახევარმცველი კლუბის მიტოვებას აპირებდა. გავრცელდა ინფორმაცია, რომ ქინქლაძით სტამბულის "გალათასარაი" იყო დაინტერესებული. ახლა კი ფეხბურთელის აგენტი ივან ბენეში აცხადებს, რომ სასურველი გუნდი ჯერაც ვერ გამოიძებნა.

"თანამშრომლობას ისეთი გუნდები მთავაზობენ, რომლებიც "დერბის" აშკარად ჩამოუვარდებიან. ანდა, თუ "დერბიზე" უკეთესი გუნდია, უარეს პირობებს მთავაზობს. არც ერთი მაწყობს და არც - მეორე. სატრანსფერო სეზონი აგვისტოს ბოლომდე გრძელდება და თუ მანამდე "დერბიზე" უკეთესი ვარიანტი გამოჩნდა, უთუოდ გადავალ სხვა გუნდში", – განაცხადა ქინქლაძემ "ინტერ-პრესთან" საუბარში.

ქინქლაძის კონტრაქტი "დერბისთან" კიდევ ერთ წელიწადს გაგრძელდება და თუ კლუბმა იგი ამ ხნის განმავლობაში არ გაყიდა, მაშინ ფეხბურთელი თავისუფალი აგენტი გახდება და მის საფასურად "დერბი" გროშსაც ვერ მიიღებს. *(ინტერ-პრესი)*

# შოკი ბარსელონაში: რივალდო მიდის

აკა ტონია

კატალონია შოკშია: რივალდო "ბარსელონადან" მიდის. კვირას, ბრაზილიის ქალაქ სან პაულუში მხარეები კონტრაქტის გაწყვეტაზე შეთანხმდნენ. ამის შესახებ იუწყება კლუბის ოფიციალური ვებ-გვერდი.



რივალდო

REUTERS

## ეს მოსალოდნელი იყო

"მხარეები თვლიან, რომ ეს გადაწყვეტილება ორივეს ინტერესებშია", – წერია კლუბის ოფიციალურ განცხადებაში. "ბარსელონა" იუწყება, რომ მოლაპარაკებამ მშვიდ და მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა. დანარჩენი დეტალები, უახლოეს დღეებში, პრესკონფერენციაზე გახდება ცნობილი. რივალდოს გეზი ჯერ გაურკვეველია.

მითქმა-მოთქმა ბრაზილიელის "ბარსელონადან" წასვლის შესახებ, უკვე რამდენიმე დღეა, რაც დაიწყო. კლუბის ახლად დანიშნული მწვრთნელი, ლუი ვან გაალი თვლის, რომ მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულის მოგების შემდეგ, რივალდოს საჭირო მოტივაცია აღარ ექნება, რათა "ბარსელონას" წარმატებებზე იზრუნოს. უთანხმოება მწვრთნელსა და ფეხბურთელს შორის ჯერ კიდევ 1997-2000 წლებში დაიწყო, როდესაც ვან გაალი პირველად მოვიდა "ბარსელონაში". ახლა ის დაბრუნდა, რივალდო კი მიდის...

## შუსტერი: "ეს თვითმკვლელობაა"

"ბარსას" ყოფილ ფეხბურთელს, გერმანელ ბერნდ შუსტერს ამ ამბის დაჯერება ძალიან უჭირს. "ეს წარმოუდგენელია. რივალდოს გუნდიდან წასვლა დაუშვებელია. ეს თვითმკვლელობას ჰგავს. თუ "ბარსელონას" პრეზიდენტი, ხუან გასპარი ამ გარიგებას დათანხმდება და რივალდოს უსასყიდლოდ გაუშვებს, მან თანამდებობა უნდა დატოვოს", – განაცხადა შუსტერმა სპორტულ გაზეთ "Marca"-თან საუბარში.

რივალდოსთან განშორება კატალონიელი გულშემატკივარს ძალიან გაუჭირდება, მაგრამ თუ ჭორები გამართლდება და ბრაზილიელი მართლაც მადრიდის "რეალში" გადავა, ეს უკვე ნამდვილი ტრაგედია იქნება.

ეს კი სავსებით რეალურია, თუ გავითვალისწინებთ, რომ მადრიდელები ტრანსფერის განხორციელებით ძალიან არიან დაინტერესებული. "რეალის" მენეჯერი, ხორხე ვალდანო: "თუ რივალდოს უსასყიდლოდ გაუშვებენ, მაშინ ჩვენ მას მადრიდში გადმოვიყვანთ." "ბარსელონამ" თავისი №1 კონკურენტი კლუბის სურვილი დააკმაყოფილა, რითაც ყოველგვარი წინაპირობა შექმნა, რათა ლუიშ ფიგუს პრეცედენტი რივალდოს შემთხვევაშიც განმეორდეს.

## "ბარსელონას" მიაჩნია, რომ რივალდო "რეალში" არ გადავა

"ბარსელონასთან" რივალდოს კონტრაქტი გაუქმებულია. მაგრამ დარჩა ერთადერთი საკითხი, რომელიც ჯერ კიდევ გადაუწყვეტელია. საუბარია ხელშეკრულების პუნქტზე, რომლის მიხედვით ფეხბურთელს ესპანეთის სხვა კლუბში, მით უმეტეს მადრიდის "რეალში" გადასვლა აეკრძალება. ეს საკითხი უახლოეს დღეებში უნდა გადაწყდეს. თუმცა ის, რომ რივალდო ასეთ გარიგებას დათანხმდება, ნაკლებად სავარაუდოა. ფეხბურთელმა უკვე არაერთხელ განაცხადა: "წავალ იქ, სადაც მომესურვება."

კლუბის სპიკერი, ხოსე მარია კორონა კი ამბობს: "ჩვენს გულშემატკივარს შეუძლია მშვიდად იყოს, რადგან რივალდო "რეალში" არ გადავა," მაგრამ აქვე დასძენს, რომ ეს მისი აზრია.

## 7,5-მილიონიანი ხელფასი

"ბარსელონას" ხელმძღვანელობას თავისი საუკეთესო ფეხბურთელის გუნდიდან გაშვება რივალდოს ასტრონომიულმა ხელფასმა გადაწყვეტინა. ბრაზილიელის წლიური ანაზღაურება 7,5 მილიონ ევროს შეადგენდა. კატალონიური კლუბის მძიმე ფინანსური მდგომარეობა ასეთი მაღალი თანხის გადახდის საშუალებას აღარ იძლეოდა.

რივალდოს ხელფასი მადრიდელთათვისაც პრობლემას წარმოადგენს. თუმცა, "რეალმა" მაინც შეძლო საჭირო თანხების მოზიდვა. "სამეფო კლუბს" თავისი "არასასურველი" ფეხბურთელების გაყიდვის იმედი აქვს.

სპორტული თვალსაზრისით, რივალდოს გადაბირება, "რეალისთვის", კიდევ ერთი წინგადადგმული ნაბიჯი იქნება "ოცნების გუნდის" ჩამოყალიბების საქმეში. რივალდოს ადგილს მიუჩენენ ნახევარდაცვის მარცხენა ფლანგზე.

## "სუპერ-რეალის" წინააღმდეგ

რივალდოს გადაბირებით ასევე არიან დაინტერესებული მადრიდის "ატლეტიკო" და რომის "ლაციო", თუმცა, როგორც ჩანს, ორივე ამ კლუბს ბრაზილიელის გადაყვანის ნაკლები შანსები აქვთ. "მე მას დაუფიქრებლად გადმოვიყვანდი ჩვენს გუნდში", - განაცხადა "ატლეტიკოს" პრეზიდენტმა, ხესუს ხილი ხილმა. რივალდოს მის კლუბში გადასვლა, ექსცენტრიული პრეზიდენტის თქმით, "ბარსელონასთვისაც" მოგებიანი იქნებოდა, რადგან ეს ხელს შეუშლიდა "რეალის" სუპერ-გუნდად ჩამოყალიბებას.

მიუხედავად დიდი სურვილისა, "ატლეტიკოს" შანსები მიზერულია, რადგან ამ კლუბს ძალიან გაუჭირდება რივალდოს მაღალი ხელფასის დაფინანსება.

მეორე მსურველი "ლაციო" კი კიდევ უფრო მძიმე მდგომარეობაშია. რომაელები უკვე დიდი ხნის მანძილზე ცდილობენ ბრაზილიელის გადაბირებას, თუმცა თავად ფეხბურთელს "ლაციოს" გაგონებაც არ სურს. უკანასკნელად მან კლუბის წარმომადგენლები თავისი სახლიდან გააგდო.

"ბარსელონას" პრეზიდენტი, ლუის გასპარი და მწვრთნელი, ვან გაალი ბევრი უსიამოვნებისთვის უნდა მოემზადონ. რივალდო ხუთი წლის მანძილზე კატალონიელთა უსაყვარლესი ფეხბურთელი იყო. მან თავის გულშემატკივარს 235 მატჩში 130 გოლი აჩუქა. "ბარსელონას" ხელმძღვანელობას, მიღებული გადაწყვეტილების გამო, წინ ბევრი უსიამოვნება ელის.

# სეზონის უძვირესი ტრანსფერი: რიო ფერდინანდი 47 მილიონად

ეს გარიგება მრავალი კვირის მანძილზე მზადდებოდა. მოვლენები ელვის სისწრაფით იცვლებოდა. და მაინც, ტრანსფერი შედგა. "მანჩესტერ იუნაიტედმა" "ლიდსის" მცველი რიო ფერდინანდი 47 მილიონ ევროდ შეიძინა. ეს პრემიერ ლიგის რეკორდია. ასეთი თანხა ინგლისელებს ჯერ არც ერთ ფეხბურთელში არ გადაუხდიათ. გარდა ამისა, ფერდინანდი მსოფლიოს უძვირესი მცველიც გახდა. 47 მილიონი ევრო მსოფლიო რეკორდია დაცვითი ამპლუის ფეხბურთელებს შორის.

პრემიერ ლიგის წინა რეკორდი ასევე "მანჩესტერს" ეკუთვნის. ერთი წლის წინათ "წითელმა ეშმაკებმა" არგენტინელი ხუან სებასტიან ვერონი შეიძინეს 45 მილიონ ევროდ.

ფერდინანდის ტრანსფერი - 47 მილიონიანი რეკორდი



ბრწყინვალედ ჩატარებული მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ, "ლიდს იუნაიტედის" 23 წლის მცველი რიო ფერდინანდი "მანჩესტერ იუნაიტედში" გადადის. სატრანსფერო თანხა - 47 მილიონი ევრო "პრემიერ-ლიგის" ყველა დროის რეკორდია, და მსოფლიო რეკორდი მცველებს შორის.

რეკორდული ტრანსფერები

ფიგუს ტრანსფერის გარდა, ნაჩვენებია მხოლოდ 2001 წელს განხორციელებული ტრანსფერები

ყველა ციფრი მოცემულია ევროებში

| | | | |
|---|---|---|---|
| ზინედინ ზიდანი | იუვენტუსი (იტა) | რეალი (ესპ) | 71.5 მ. |
| ლუიშ ფიგუ (2000 წ.) | ბარსელონა (ესპ) | რეალი (ესპ) | 58.0 მ. |
| ერნან კრესპო | პარმა (იტა) | ლაციო (იტა) | 56.0 მ. |
| ჯანლუიჯი ბუფონი | პარმა (იტა) | იუვენტუსი (იტა) | 50.0 მ. |
| რიო ფერდინანდი | ლიდსი (ინგ) | მანჩესტერი (ინგ) | 47.0 მ. |
| გაიცკა მენდიეტა | ვალენსია (ესპ) | ლაციო (იტა) | 45.5 მ. |
| ხუან სებასტიან ვერონი | ლაციო (იტა) | მანჩესტერი (ინგ) | 45.0 მ. |
| რუი კოშტა | ფიორენტინა (იტა) | მილანი (იტა) | 43.0 მ. |
| პაველ ნედვედი | ლაციო (იტა) | იუვენტუსი (იტა) | 39.0 მ. |
| ლილიან ტიურამი* | პარმა (იტა) | იუვენტუსი (იტა) | 35.0 მ. |

*ფერდინანდამდე მსოფლიოს უძვირესი მცველი

ფოტო: AP © GRAPHIC NEWS

## გარიგება ულტიმატუმის შემდეგ

ჯერ კიდევ გასულ კვირას ფერდინანდის ტრანსფერს ჩაშლა ემუქრებოდა. "ლიდსის" პრეზიდენტმა პიტერ რიდსდეილმა "მანჩესტერს" ულტიმატუმი წაუყენა, რათა მათ დღის 12 საათამდე მიეღოთ გადაწყვეტილება. "მანჩესტერი" ულტიმატუმის ვადაში ვერ ჩაეტია, თუმცა, სამი საათით გვიან, 15 საათზე, რიდსდეილმა და მანჩესტერელთა მენეჯერმა პიტერ კენიონმა შეთანხმებას მიაღწიეს.

რიო ფერდინანდი სისტემატურად გამოთქვამდა "მანჩესტერში" გადასვლის სურვილს. გასულ შაბათს 23 წლის მცველი "ლიდსს" ავსტრალია-აზიის ტურნეზე არ გაჰყვა და სამშობლოში დარჩენა ამჯობინა, რათა "მანჩესტერთან" მოლაპარაკებები ეწარმოებინა.

## "მანჩესტერში" გადასვლა დიდი წინსვლაა

"ჩემი ტრანსფერის ირგვლივ ატეხილმა მითქმა-მოთქმამ ჭკუიდან შემშალა. ფეხბურთის თამაშზეც კი ველარ ვფიქრობდი. ამავე დროს ჩემმა გუნდმაც იცოდა, რომ "მანჩესტერში" გადასვლა ძალიან მინდოდა. ჩემპიონთა ლიგაში ერთხელ ვითამაშე "ლიდსის" შემადგენლობაში. ეს დაუვიწყარი იყო. მე წინსვლა მჭირდება, რათა უკეთესი გავხდე. ფეხბურთელის კარიერა ხანმოკლეა. ამიტომ, რაც შეიძლება, მეტი უნდა მოასწრო", – ამბობს ახლა უკვე მანჩესტერელი რიო ფერდინანდი.

ევროპის სატრანსფერო ბაზარზე "მანჩესტერ იუნაიტედი" თავის საკუთარ ლიგაში თამაშობს: მაშინ, როდესაც სახელოვანი კლუბების უმრავლესობა უმძიმეს ფინანსურ კრიზისს განიცდის, "მანჩესტერი" ახალ სატრანსფერო რეკორდებს ამყარებს.

# "მას ფეხბურთის არაფერი ესმის!"

არ იკითხავთ, ვისი მისამართით არის ეს სიტყვები ნათქვამი? ვისი და, თვით ფეხბურთის მეფედ და ლეგენდად აღიარებული ბარზილიელი პელესი! როგორც მისი თანამემამულე, ბრაზილიის ნაკრების თავკაცი ლუიშ ფელიპე სკოლარი მიიჩნევს, პელეს ანალიზის უნარი საერთოდ არა აქვს.

მუნდიალზე ტრიუმფალური წარმატების შემდეგ სკოლარი ოჯახთან ერთად ჩილეში ისვენებს. ჩილელმა ჟურნალისტებმა, რა თქმა უნდა, შანსი ხელიდან არ გაუშვეს და სკოლარის ინტერვიუ ჩამოართვეს. სწორედ ჩილელებს განუცხადა სკოლარიმ ასეთი რამ. "მისი პროგნოზი ყოველთვის მცდარია. თუ მოგება გინდა, მოუსმინე, რას ამბობს პელე და საწინაამღდეგო გააკეთე", - თქვა სკოლარიმ "ლა ტერსერას" კორესპონდენტთან საუბარში.

სკოლარის პელე მაინცდამაინც გულზე არ ეხატება. ამის მიზეზია ის კრიტიკული შენიშვნები, რომელსაც პელე მშობლიური ნაკრებისა და მისი მწვრთნელის მიმართ არ იშურებდა, მუნდიალის საკვალიფიკაციო ეტაპიდან დაწყებული, მეხუთე ტიტულის მოპოვებით დასრულებული. სკოლარის თუ დავუჯერებთ, მოგებული ფინალის შემდეგ ფეხბურთელებმა საკმაოდ უხალისოდ მიიღეს თასი პელეს ხელიდან. "პელე ჩვენთვის არასასურველი კანდიდატურა იყო. როცა ვინმე გამუდმებით გაკრიტიკებს, ბუნებრივია, მას სიხარულით არ შეხვდები. პელე თასის გადაცემის ცერემონიალში მონაწილეობდა, რადგან ის ყველა დროის საუკეთესო ფეხბურთელი და ბრაზილიელთა კერპია, მაგრამ მისი ანალიზი ყოველთვის მცდარია", - განაცხადა სკოლარიმ.

რაც შეეხება თავად სკოლარის მომავალს, "დიდი ფილი" ვარაუდობს, რომ "სელესაოში" აღარ დარჩება. როგორც ის ამბობს, დაინტერესებულია ჩილეს ნაკრებთან მუშაობით, რადგან "უმჯობესია, გაწვრთნა გუნდი, რომელიც პროგრესისკენ ისწრაფის და გაუმჯობესება სურს, ვიდრე ნაკრები, რომელმაც ცოტა ხნის წინ ჩემპიონის ტიტული მოიპოვა და ყველაზე მაღლა დგას", - მიაჩნია სკოლარის, რომელიც, ეტყობა, ჩილეში მართლა ძალიან კარგად გრძნობს თავს. *(sid)*

Tour de France

# ბაბილონის გოდოლის დაპყრობა

ლუჩანო ტაიოლი
ლოდევი - მონ ვენტუ
სპეციალურად „24 საათისთვის„

ხუთიოდე წლის წინათ რიშარ ვირანკის შეტევას რამდენიმე ასეულ მეტრში დაესმებოდა წერტილი. ახლა იგი დოპინგ-სკანდალების მორევში ყურყუმალაობის შემდეგ პელოტონის ბობოლებისთვის საშიშ ძალას აღარ წარმოადგენს. ამიტომ იყო, რომ შეტევა, რომელშიც მთის მეფის ტიტულის მფლობელი ფრანგი ველომრბოლიც მონაწილეობდა, ყურადღების ღირსადაც არავის ჩაუგდია.

პელოტონის ამგვარი დამოკიდებულება ასეთი დონის სპორტსმენისთვის, თქმა არ უნდა, შეურაცხმყოფელია, მაგრამ ვირანკს მისი პერსონის ამგვარი შეფასება ამ კონკრეტულ შემთხვევაში, მეტი რომ არ ვთქვა, ძალიანაც აძლევდა ხელს.

ტურ დე ფრანსი ისეთი რამაა, ცალკეული ეტაპის განხილვამ კაცი სასაცილო დასკვნამდე შეიძლება მიგიყვანოს. ყველაფერი კონტექსტშია სანახავი. ამ ფონზე კი ვირანკს კარგი არაფერი ეჭყანება. საერთო ჩათვლაში რომელიმე პრესტიჟულ ადგილზე, თუნდაც ექვსეულზე ლაპარაკიც კი ფანტასტიკის სფეროს განეკუთვნება. წლების წინაც თავისთვის პრივატიზებული მთის მეფის ტიტულსაც ლორან ჟალაბერის სახით უფრო შესაფერი და იღბლიანი მაძებარი გამოუჩნდა. სხვა რა... აღარაფერი.

ამ დროს, ხომ გაგიგონიათ, შეჩვეულს ნუ გადააჩვევო... როგორი საქმეა, ხუთჯერ იყო მთის მეფე, დღეს კი, გინდა შენ ყოფილხარ და გინდა ფინია ძაღლს უყეფია.

მართლაც და სხვა რა... მონ ვენტუ არაერთ ველოსიპედისტს აქვს გულისფიცარზე ამოჭრილი. არმსტრონგი რომ არმსტრონგია, ისიც ვერ დაიკვეხნის, პირველი ვყოფილვარო ამ მთაზე. შარშანწინ კი ჰქონდა შანსი, მაგრამ ამ მთის დამპყრობი დიადი ველოსიპედისტების გვერდით ვერ მოხვდა. მარკო პანტანიმ, იტალიელმა პირატმა შეუშალა ხელი. არც იან ულრიხის სახელი წერია ამ სასტიკი მთის საპატიო დაფაზე. ბერნარ ინო... ედი მერქსი... და რიშარ ვირანკი! მშვენივრად ჟღერს და შესანიშნავადაც გამოიყურება. ახლა პენსიაზეც მშვიდად გავა კაცი.


რიშარ ვირანკი
REUTERS

ესე იგი, მონ ვენტუ! გადაწყვიტა და, შეტევა დაიწყო თუ არა, წამიც არ უყოყმანია.

თერთმეტკაციანმა ჯგუფმა მთის ძირამდე რვაწუთიანი ფორით მიაღწია. თანამგზავრების არ ეშინოდა ვირანკს - ერთად იარეს, ერთად დაიღალნენ და მთაში მისი მძლეველი აქ ნამდვილად არ ეგულებოდა - საშიში მეტოქე კისერწაგრძელებული გველეშაპის მუცელში იჯდა და სულ მალე გაჩნდებოდა ვენტუს მისადგომებთან. დიადი სახელები და შარშანწინდელი მარცხი არც ლანს არმსტრონგს აძლევდა მოსვენებას.

და აი, დაიწყო აღმართიც. ჯერ აქაიქ, მერე კი სულ უფრო ხშირად და უფრო მსუქანი შტრიხებით ჩნდება და ქრება ასფალტზე: VIRANQUE... VIRANQUE... VIRANQUE... ფეხშიშველა ბიჭები წყლით სავსე ბოთლებით მისდევენ თავიანთ კერპს, მაცოცხლებელ შხაპს უწყობენ გამამხნევებელი შეძახილების აკომპანემენტით.

ადამიანების ცოცხალი დერეფანი, ლოზუნგები, სტვენა, გნიასი... ფრანგებს გარდა, ოცკილომეტრიანი აღმართი გადაჭედილია ტურისტებით - შვეიცარიიდან, ჰოლანდიიდან, გერმანიიდან, იტალიიდან, ესპანეთიდან... ერთმანეთშია არეული გერმანული, ფრანგული, ინგლისური... ნამდვილი ბაბილონის გოდოლია.

რვაწუთიანი სხვაობა შვიდზე ჩამოდის, ექვსზე, ხუთზე...

ლანს არმსტრონგი უარს აცხადებს თავის გამყოლებზე, ინსპექტორ ჟავერივით მტკიცე და პრინციპულია - პელოტონიდან ოტებული ნებისმიერი კაცი კანონგარეშეა, დაჭერა კი მისი მოვალეობაა. და როცა ვენტუს წვერამდე შვიდი კილომეტრიღა რჩება, გადამწყვეტ იერიშზე გადადის. ისიც მარტო მისდევს გაქცეულს.

სადღაც ამერიკის დროშა აფრიალდა, მერე კიდევ. და მაინც, ფრანგული დროშები გაცილებით მრავლად არის და, რაც მთავარია: VIRANQUE... VIRANQUE... VIRANQUE...

სხვაობა ოთხ წუთამდე მცირდება, სამამდე...

რიშარ ვირანკი უკანასკნელ ძალებს უხმობს. მშვენივრად ახსოვს, რომ ეს მისი უკანასკნელი შანსია. მერე მართლაც შეიძლება პენსიაზე გასვლა...

და სწორედ მაშინ, როცა სხეულის თითქმის არც ერთი კუნთი აღარ ემორჩილებოდა ტვინიდან გაცემულ ბრძანებებს, როცა ბამბად ქცეული ფეხები ძლივსღა გრძნობდნენ ველოსიპედის პედლებს, როცა საბოლოოდ აჯანყდა გული, ფინიშის სწორიც გამოჩნდა - ბაბილონის გოდოლი დაპყრობილი იყო.

**ტექნიკური შედეგები**
**XIV ეტაპი. ლოდევი - მონ ვენტუ. 220,5 კმ.**

1. რიშარ ვირანკი ("დომო", საფრანგეთი) - 5 სთ. 43 წთ. 58 წმ.
2. ალექსანდრ ბოჩარიოვი ("ლამპრე", რუსეთი) - +1 წთ. 58 წმ.
3. ლანს არმსტრონგი (US პოსტალი, აშშ) - +2 წთ. 20 წმ.

**საერთო ჩათვლა**

1. ლანს არმსტრონგი (US პოსტალი, აშშ) - 56 სთ. 51 წთ. 39 წმ.
2. ხოსება ბელოკი ("ონსე", ესპანეთი) - +4 წთ. 21 წმ.
3. რაიმონდას რუმსასი ("ლამპრე", ლიტვა) - +6 წთ. 39 წმ.

**მთის მეფე**

1. ლორან ჟალაბერი (CSC ტისკალი, საფრანგეთი) - 167 ქულა
2. ლანს არმსტრონგი (US პოსტალი, აშშ) - 114
3. რიშარ ვირანკი ("დომო", საფრანგეთი) - 99

სხვადასხვა

## გლენ რობინსონი ციხეში

პოლიციამ ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის კლუბის "მილუოკი ბაკსის" ლიდერი, გლენ რობინსონი დააპატიმრა. კალათბურთელს ბრალად ედება ოჯახის წევრების ფიზიკური შეურაცხყოფა და იარაღით მუქარა. პოლიცია დეტალებს არ ახმაურებს და აცხადებს, რომ კალათბურთელი საკანშია და ოფიციალურ დაპატიმრებას ელოდება. ცნობილია, რომ რობინსონს აღმოუჩინეს იარაღი, რომლის ტარების უფლებაც მას არა აქვს. ამერიკულ პრესაში დიდი ყურადღება ეთმობა აივერსონისა და რობინსონის საქმეებს. გაზეთებმა შექმნილ სიტუაციას სათაურიც უპოვეს - "წინასასეზონო ისტერია ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში". უბრალო ამერიკელები, რომლებიც დიდ თანხას ხარჯავენ თამაშების საყურებლად, თვლიან, რომ "ვარსკვლავები" ძალიან გაყოყოჩდნენ და ერთ-ერთი მათგანის სამაგალითო დასჯა სხვებისთვის კარგი მაგალითი იქნებოდა. აღსანიშნავია, რომ რობინსონი, ისევე როგორც აივერსონი, ადრეც დაუკავებიათ. სამი წლის წინათ პოლიციამ უგონოდ მთვრალი კალათბურთელი, საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევისათვის, მაიამის ერთ-ერთ ღამის კლუბში დააკავა. რობინსონის დებიუტი 1994 წელს შედგა. ამ კალათბურთელს "მილუოკისთან" 10-წლიანი და 68 მილიონდოლარიანი კონტრაქტი აკავშირებს.

## საუკეთესო ოთხეული

გაირკვა წყალბურთელთა მსოფლიო ლიგის საუკეთესო ოთხეულის შემადგენლობა. ა ჯგუფის უკანასკნელი შეხვედრა იტალიელებმა ბრაზილიელ წყალბურთელებს მოუგეს (13:5) და მეორე ადგილზე გავიდნენ. ბერძნებმა ტურნირის ფავორიტ ესპანეთის ნაკრებთან წააგეს. ამ ჯგუფში პირველ ადგილზე, 28 ქულით, ესპანელები გავიდნენ. მეორე ადგილზე კი, 26 ქულით, იტალიელები აღმოჩნდნენ. ბ ჯგუფში აშკარა ფავორიტმა, უნგრეთის ნაკრებმა ჯგუფური ეტაპის დასრულებამდე, დიდი ხნით ადრე, გაინაღდა პირველი ადგილი. უკანასკნელი შეხვედრა უნგრელებმა ამერიკის შეერთებულ შტატებს მოუგეს და, 30 ქულით, პირველ ადგილზე გავიდნენ. რუსეთის ნაკრებმა, რომლის რიგებშიც ქართველი ჩომახიძე გამოდის, 10:6 მოუგო ხორვატებს და მეორე ადგილზე გავიდა. ფინალურ ოთხეულში გავიდნენ ესპანეთი, იტალია, უნგრეთი და რუსეთი.

## „რენოში„ ცვლილებებია

ფრანგული "რენო" სერიოზულად ფიქრობს ფორმულა 1-ის მწვერვალების დაპყრობაზე და სეზონის ბოლოსთვის საუკეთესო სამეულში მოხვედრას გეგმავს. ჯერჯერობით "რენო" მეოთხე ადგილზეა, მაგრამ ფრანგებს სჯერათ, რომ ამ შედეგს აუცილებლად გააუმჯობესებენ.

"რენოს" ერთ-ერთმა პილოტმა ჯეისონ ბატონმა გუნდის ხელმძღვანელთა იმედები ვერ გაამართლა, ამიტომაც მას "რენოს" დატოვება მოუწია. მის ნაცვლად, ფრანგულ გუნდში ამიერიდან იასპარეზებს 20 წლის ესპანელი პილოტი ფერნანდო ალონსო, რომელიც მანამდე "მინარდის" ღირსებას იცავდა.

Formula 1

# მიხაელ შუმახერი - ფორმულა 1-ის ცოცხალი ლეგენდა

"ეს როგორ დამემართა, რომ 1991 წელს "ბენეტონის" ბოსს ფლავიო ბრიატორეს ვერ დავასწარი და "შუმის" შეძენის საშუალება მივეცი. ამ შეცდომას საკუთარ თავს ვერასოდეს ვაპატიებ", – თავში ხელი შემოირტყა ფრენკ უილიამსმა. ბრიატორე კმაყოფილია. მისმა ჯილამ "უილიამსს" კიდევ ერთხელ ასწავლა ჭკუა. მას შემდეგ, რაც გერმანელი გუნდში მოვიდა, ბრიატორეს სახიდან ღიმილი არ გაქრობია. ამაყად გასცქერის "უილიამსის" საჯინიბოს და ნიშნის მოგებით ახსენებს, რომ მის გუნდში ფორმულა 1-ის ცოცხალი ლეგენდა დაქრის.


მიხაელ შუმახერი


ხუან-მანუელ ფანჰიო

მანი-კურის ტრასაზე მიხაელ შუმახერი, მართლაც, ფორმულა 1-ის ცოცხალ ლეგენდად იქცა. "უილიამსის" მზე კი "ფერარიმ" დაჩრდილა. მიხაელს სურდა, თავისი მეხუთე ტიტული სამშობლოში მოეპოვებინა, მაგრამ განგებამ სხვაგვარად ინება. გერმანელი, რა თქმა უნდა, ამითაც უზომოდ ბედნიერია. ის ხომ არა მარტო ლეგენდარულ არგენტინელს – ხუან-მანუელ ფანჰიოს გაუტოლდა (ფანჰიოს დიდების ხანა 50-იან წლებს ემთხვევა. მსოფლიო ჩემპიონატი არგენტინელმაც ხუთგზის მოიგო), არამედ სერიოზული ფსიქოლოგიური პრესინგიც მოიხსნა.

"მიჭირს საჭირო სიტყვების გამოძებნა. მიყვარს "ფერარის" გუნდი, მექანიკოსით დაწყებული და პრეზიდენტით დამთავრებული. ის, რასაც ამ წლების განმავლობაში ერთად მივაღწიეთ, რაღაც არარეალური, განსაკუთრებულია, თუმცა, ალალად ვიტყვი - არ მეგონა, თუ ჩემპიონატს მანი-კურში მოვიგებდი", – ამბობს მიხაელ შუმახერი.

### ასე ადვილად არ დაგნებდებით

იფიქრა "მაკლარენ-მერსედესის" ბოსმა რონ დენისმა და რბოლის შემდეგ განაცხადა, რომ 68-ე წრეზე შუმახერმა კიმი რაიკონენს იმ ადგილას გაასწრო, სადაც ყვითელი დროშები ფრიალებდა (ამ დროს კი გასწრება აკრძალულია). მას შემდეგ, რაც "ტოიოტას" პილოტმა ალან მაკნიშმა ადელაიდას მოსახვევში მარცხი განიცადა და ზეთი დაღვარა, ტრასის კომისრებმა ყვითელი დროშები გამოფინეს - გასწრება იკრძალებაო.

"კიმი ყვითელი დროშების ზონაში იმყოფებოდა. მიხაელმა კი მას მანამდე გაასწრო, სანამ მწვანე დროშები ამის უფლებას მისცემდნენ, – დაასკვნა რონ დევისმა, – წესები კი ასეთ შემთხვევაში ცალმხრივად ადასტურებს, რომ კიმი რაიკონენს ყვითელი დროშების არეალში გაასწრეს. ეს კი დაუშვებელია".

ექსპერტები დარწმუნებული იყვნენ, რომ რონ დენისს მისხალი შანსიც არ ჰქონდა, შუმახერის შეცდომა დაემტკიცებინა და მართლებიც აღმოჩნდნენ. სადავო საკითხი რბოლის სამმა კომისარმა გააანალიზა და დაასკვნა, რომ გზიდან გადასული მანქანის გვერდის ავლა გასწრებად არ ითვლება. შუმახერს გამარჯვება ოფიციალურად დაუდასტურეს.

ეს თემა FIA-სთვის ამოიწურა. "მაკლარენ-მერსედესს" უფლება აქვს, FIA-ს თავისი პრეტენზიები გაუგზავნოს, მაგრამ რონ დევისმა განმარტა, რომ არავითარი პროტესტი აღარ იქნება. ეს კი ნიშნავს, რომ მიხაელ შუმახერსა და "ფერარის" სრულიად თავისუფლად შეუძლიათ, იზეიმონ ეს უნიკალური გამარჯვება.

### შუმახერი, ბარიკელო და ბურტი ერთად ზეიმობენ

"ფერარის" ოჯახში საზეიმო ატმოსფერო სუფევდა. ხუმრობა ხომ არ არის, ჩემპიონატი ექვსი რბოლით ადრე მოიგო. "ფერარიმ" ეს მოახერხა. ამიერიდან ყველამ უნდა იცოდეს, რომ "ფერარი" არა მხოლოდ ფორმულა 1-ის გუნდია, არამედ რაღაც უნიკალური მოვლენაა – ეს იყო გუშინდელი ზეიმის ლაიტმოტივი.

რუბენს ბარიკელომ ვერ შეძლო პარტნიორისთვის დიდი გამარჯვება პოდიუმზევე მიელოცა. ბრაზილიელისთვის მანი-კურის ტრასა მეტისმეტად უიღბლო გამოდგა. მან ერთი წრეც ვერ გაიარა, მაგრამ რუბენსი აეროპორტიდან დაბრუნდა, რათა გუნდის საერთო მხიარულება გაეზიარებინა. "მომხდარის შემდეგ ტრასა დავტოვე, მაგრამ უკვე აეროპორტში გავიგე, რომ მიხაელმა მოიგო და საჭიროდ ჩავთვალე, დავბრუნებულიყავი, რადგან ჩვენ, ყველანი, ერთი ოჯახი ვართ", – განაცხადა ბარიკელომ.

### კერპენი და მარანელო სიხარულის მორევში

შუმახერის ამბავი მთელ ევროპას მოედო. მეხუთე ტრიუმფი მეტისმეტად ხმამაღლა ჟღერს. ტრიუმფატორის მშობლიური ქალაქი კერპენი და "ფერარის" სამშობლო მარანელო ნამდვილმა ექსტაზმა შეიპყრო. მარანელოში, სკუდერინის შტაბ-ბინასთან, ათასობით აღფრთოვანებული ტიფოზი შეიკრიბა და ერთმანეთს ახალ გამარჯვებას ულოცავდა. კერპენში კი, ადგილობრივ სასკოლო ცენტრში, შუმახერის ფანებისთვის საზეიმო საღამო გაიმართა.

ფინიშის შემდეგ ორივე ქალაქს ტიფოზების გამაყრუებელი ყიჟინის ქარიშხალმა გადაუარა – ეიფორიაში მყოფი გულშემატკივრები უაზროდ ღრიალებდნენ, აჭყვიტინებდნენ საყვირებს, ყველგან საავტომობილო სიგნალები ისმოდა. უამრავი წითელი დროშა იტალიის ეროვნული ჰიმნის ფონზე ფრიალებდა. ადგილობრივი ეკლესიის მოძღვარმა კი, ტრადიციისამებრ, საეკლესიო ზარები შემოჰკრა.

### დესერტი - პოლიტიკოსები, მეტოქეები, კოლეგები და ოჯახი შუმახერის ტიტულზე

მსოფლიო ჩემპიონატზე მიხაელ შუმახერის ტრიუმფალური გამარჯვება მთელი მსოფლიოს ფანებმა აღნიშნეს - ყველამ აღიარა გერმანელი პილოტის უნიკალური ტალანტი.

**გერჰარდ შრედერი** (გერმანიის კანცლერი) (დეპეშა): *"ეს არის ბრწყინვალე წარმატება ისედაც განუმეორებელ კარიერაში. თქვენ შეძელით, დაგემხოთ ფორმულა 1-ის თითქმის ყველა რეკორდი და აბსოლუტურად სხვა მასშტაბი შეგეთავაზებინათ. გულითადად გილოცავთ თქვენ და "ფერარის" მთელ გუნდს მსოფლიო ჩემპიონატზე გამარჯვებას".*

**კორინა შუმახერი** (შუმახერის მეუღლე): *"მე ამის თითქმის არ მჯეროდა. ყველაფერს მხოლოდ რაიკონენის შეცდომის შემდეგ მივხვდი. ძალიან დრამატული რბოლა იყო. დავინახე, რომ მიხაელი თავის მანქანაში ხარობდა, ამიტომ მეც უსაზღვროდ მიხარია. ახლა ჩვენ გვინდა, შინ დავბრუნდეთ. მთავარი ზეიმი ჰოკენჰაიმში გაიმართება".*

**ვილი ვებერი** (შუმახერის მენეჯერი): *"უბრალოდ, გაოგნებული ვარ. ეს უაღრესად ემოციური დღე იყო. როცა მოტორჰოუმიდან გავედი, მიხაელი მეორე პოზიციაზე იყო, ხოლო, როცა გუნდში დავბრუნდი, "შუმის" უკვე პირველი პოზიცია ეკავა და მსოფლიო ჩემპიონატს იგებდა. ჩვენ ზეიმისთვის არ ვემზადებოდით, თუმცა, ეს პრობლემა არ არის. გაოცებული ვარ, რამდენად სწრაფნი იყვნენ დღეს "მაკლარენ-მერსედესის" პილოტები".*

**რალფ შუმახერი** (შუმახერის ძმა): *"ეს მიხაელისთვის წარმოუდგენელია. თუმცა, შეიძლებოდა ვარაუდი, რომ ის ამას მიაღწევდა. მან და მისმა გუნდმა სეზონი კლასიკურად წარმართეს. "ფერარი" ყველასთვის მაგალითია. ჩემი ძმისა და მთელი გუნდისთვის ფანტასტიკური დღეა".*

**იან ტოდტი** ("ფერარის" ტექნიკური დირექტორი): *"ჩვენ ვქმნით ოცნების გუნდს, რომელიც სწორი მიმართულებით მიდის. არ გვიფიქრია, რომ გადამწყვეტი ეს დღე გახდებოდა. თუმცა, ვიცოდით, რომ ორი-სამი რბოლის შემდეგ ეს აუცილებლად მოხდებოდა. ახლა ჩვენ ერთი ნაბიჯიღა გვაკლია – კონსტრუქტორთა თასი".*

**პეტერ ზაუბერი** ("ზაუბერის" შეფი): *"ჩემი მილოცვები მიხაელ შუმახერსა და "ფერარის". ეს ისტორიული წარმატებაა".*

**ხუან-პაბლო მონტოია** (ფორმულა 1-ის პილოტი): *"მიხაელის გამარჯვება ბრწყინვალეა. მან შესანიშნავად იშრომა".*

**გერჰარდ ბერგერი** (ფორმულა 1-ის ყოფილი პილოტი): *"ფერარიმ" კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ ბრწყინვალე გუნდია, ხოლო მიხაელ შუმახერი, რომელიც საჭირო ადგილზე საჭირო დროს აღმოჩნდა, ახლა ფორმულა 1-ის უდიდესი პილოტია. მე შემიძლია მხოლოდ მივულოცო".*

როგორც ჩანს, მიხაელ შუმახერი არ აპირებს მიღწეულით დაკმაყოფილებას და მეექვსე ტიტულისთვის იბრძოლებს. "რა თქმა უნდა, რბოლა სიამოვნებას მანიჭებს და იმედი მაქვს, მომავალ სეზონში მეექვსე ტიტულს მოვიგებ", – განაცხადა ტრიუმფატორმა.

საზოგადოებას პილოტის მენეჯერმა ვილი ვებერმაც აგრძნობინა, რომ ამ გამარჯვებით შუმახერის კარიერა არ დასრულებულა. "ჩვენ შეგვიძლია, "ფერარისთან" კონტრაქტი 2006 წლამდე გავაგრძელოთ. ამჟამად ვერ ვხედავ მიზეზს, რის გამოც მიხაელმა შეიძლება სპორტული კარიერა 2004 წელს დაასრულოს".



# დისნეი აზიას იპყრობს



იაპონელი მიკი მაუსი ტოკიოელ ბავშვებს ართობს REUTERS

კომპანია "უოლტ დისნეი" აზიაში მეოთხე თემატური პარკის აშენებას გეგმავს. ამჯერად შანხაელი ბავშვები გაიხარებენ. თუმცა, დაუზუსტებელი ინფორმაციით, ჯერჯერობით კომპანიას საბოლოო არჩევანი შანხაისა და პეკინს შორის არ გაუკეთებია. რამდენიმე ხნის წინ, დისნეის თემატური პარკი ჰონგ კონგში აშენდა, ტოკიოს ოცი წლის წინ აშენებული პარკი კი მთლიანად განახლდა. თუმცა, ჰონგ კონგის "დისნეის" გახსნა 2006 წლამდე არ იგეგმება.

ბოლო წლებში კომპანია უკვე ღიად აფიქსირებს, რომ წინსვლისა და წარმატებისათვის მას უცხოური ბაზრის დაპყრობა სჭირდება. სწორედ ამიტომ იგეგმება ახალი პარკის აშენება ჩინეთშიც. მანამდე კი დისნეის პარკები იაპონიასა და საფრანგეთშია წარმოდგენილი:

ტოკიოს "დისნეილენდი" 1983 წელს გაიხსნა და მას ყოველწლიურად 17 მილიონი დამთვალიერებელი ჰყავს. პარიზის დისნეილენდი კი 1992 წლიდან ფუნქციონირებს და 12 მილიონ სტუმარს იზიდავს. ტოკიოში 2001 წელს გაიხსნა "დისნეისიც" (წყლის თემატური პარკი) და მას, სავარაუდოდ, 8 მილიონი ტურისტი უნდა ჰყავდეს, პარიზის წელს გახსნილ "დისნეი სტუდიოს" კი – 5 მილიონი.

# ეროტიკის შემდეგ ჰარი პოტერი



კადრი ფილმიდან "Y Tu Mama Tambien"

დამთავრდა მითქმა-მოთქმა და "ჰარი პოტერის" ახალი ფილმის რეჟისორის ვინაობა საბოლოოდ გაირკვა. მესამე ფილმს, "აზკაბანის ტყვეს" მექსიკელი რეჟისორი ალფონსო კუარონი გადაიღებს. Warner Brothers-ის ცნობით, ფილმზე მუშაობა დიდ ბრიტანეთში, 2003 წლიდან დაიწყება. ამ ახალი პროექტით მექსიკელი რეჟისორი კმაყოფილი ჩანს. "ჰარი პოტერმა მრავალი ადამიანი აღაფრთოვანა, ჩემი ჩათვლით. ბედნიერი ვარ, რომ ნიჭიერ მსახიობებთან და პროფესიონალ გადამღებ ჯგუფთან ვითანამშრომლებ", - აცხადებს ის.

ჰარი პოტერის ორი ფილმის რეჟისორი კრის კოლუმბუსი ამჯერად ფილმის პროდიუსერობას ითავებს. არჩევანის კუარონზე შეჩერებით, ისიც კმაყოფილი ჩანს.

არადა, სულ რამდენიმე ხნის წინ, ფილმის Y Tu Mama Tambien-ის გამო, მექსიკელი რეჟისორი საშინლად გააკრიტიკეს. კინოკრიტიკოსებმა ფილმს "გადამეტებულად ეროტიკულის" სტატუსი მიანიჭეს. ამ სკანდალურ ფილმამდე კუარონმა დიკენსის მიხედვით გადაიღო "დიდი იმედები".

თუმცა, ჰარი პოტერი ბავშვებისათვის განკუთვნილი მისი პირველი ფილმი არ არის – 1995 წელს მექსიკელმა რეჟისორმა ბავშვებისათვის "პატარა პრინცესა" შექმნა. "აზკაბანის ტყვე" კი 2004 წლის ზაფხულში გამოვა.

# სიცილის დღეები დასრულდა

მონრეალში სიცილის ფესტივალი კვირას მშვიდობიანად დასრულდა. ზედმეტი სიცილისგან თავი ცუდად არავის უგრძვნია. პირიქით, მხიარულების მოყვარულმა კანადელებმა მშვენივრად მოილხინეს. წარმოდგენილი იყო მინი-შოუები, კომიქსები, გასართობი ტელე-დადგმები. ფესტივალი ჯეი ლენოს შოუშიც გაშუქდა და ირლანდიის RTE-ის არხითაც. ავსტრალიური Network Ten კი სიცილის დღეებზე ორ საათიან გადაცემას გააკეთებს. დაუზუსტებელი ინფორმაციით, ფესტივალს 1.6 მილიონი ადამიანი დაესწრო. ყველაზე დიდი პოპულარობა დაიმსახურა ბობი სლეიტონის The Nasty Show-მ. იტალიელმა კომიკოსმა არტურო ბრაშეტიმ კი კანადელები ისე გაართო, მისი წარმოდგენები აგვისტოს პირველ კვირამდე გააგრძელეს. ვადები გადაუწიეს "კომპანია მარიას ფლამენკო შოუსაც". ფესტივალის პირველ დღეს კანადელებმა ფრანგულ ფილმ Le Boulet-ზე იცინეს, დახურვის დღეს კი "ოსტინ პაუერსის" ახალი ფილმის კანადურ პრემიერაზე. შეიძლება ითქვას, მხიარულება მრავალი განხრით მიმდინარეობდა - ფესტივალი ხომ მოკლემეტრაჟიანი ფილმებსა და 24-მდე სხვა გასართობი ხასიათის ღონისძიებას მოიცავს. ჩატარდა თვითნასწავლ კომიკოსთა ჩემპიონატი, ხოლო ჯილდო საუკეთესო ქუჩის შოუსათვის გერმანულმა დასმა Titanick Theater მოიგო. მათ მონრეალის ფესტივალზე "ტიტანიკის" ჩაძირვის სცენა კომიკურ ჟანრში წარმოადგინეს.

# შოუმენები ტელევიზიიდან

MTV-ის ვიდეო მუსიკის დაჯილდოების ცერემონიალს ამერიკული ტელევიზიის ვარსკვლავი, შოუს Saturday Night Live-ის ერთ-ერთი წამყვანი ჯიმი ფელონი გაუძღვება. ფელონი პირველი არ არის, ვინც ცერემონიალის ორგანიზატორებმა Saturday Night Live-იდან აირჩიეს. 1984 წლის MTV-ის შოუ დენ ეიკროიდს მიჰყავდა, შემდეგ შოუმენებად აქციეს დენის მილერი, კრის როკი და დანა ქარვიც. პარალელურად, Saturday Night Live პროპაგანდას გაუწევს ბრუს სპრინგსტინის ახალ ალბომს The Rising, რომელიც გაყიდვაში მომავალი კვირიდან გამოვა. სპრინგსტინი და E-Street ბენდი ფელონს 29 აგვისტოს გადაცემაში ესტუმრებიან, დევიდ ლეტერმანს კი – 31 აგვისტოს. მანამდე, 30 ივლისს სპრინგსტინი თავის ჯგუფთან ერთად NBC-ის შოუში Today ჩაერთვება.

# TV პროგრამა 23 ივლისი

## რუსთავი - 2

07.00 მუსიკა
07.30 ჯუნგლების წიგნი
08.00 კურიერი
08.55 სერიალი "სიყვარულის სახელით"
09.50 "კომუნიკატორი"
10.40 ბრენდაიზერი
11.10 სერიალი "ოცნების კოშკები"
12.00, 15.00 კურიერი
12.15 მულტსერიალი
13.30 მხ. ფილმი
15.20 მხ.ფილმი
17.05 ლუისი და კლარკი
18.00, 21.00, 02.00 კურიერი
18.20 ბრენდაიზერი
18.45 სერიალი "ელენი და ბიჭები"
19.15 პერეკრიოსტოკი
19.50 სერიალი "ოცნების კოშკები"
22.00 კომუნიკატორი
22.50 კურიერი
00.05 მხ.ფ. "მეოჯახე" მთ.როლებში ნიკოლას ქეიჯი, თეა ლეონი

## პირველი არხი

07.30 "ალიონი"
09.45 მულტსერიალი "მამილო კასტორის ამბები"
10.10 სერიალი "ძილის წინ"
10.25 დოკ. ფილმი "მსოფლიოს ველური ბუნება"
11.15 სერიალი "ოჯახური ურთიერთობანი"
12.00, 15.00, 20.00, 22.50 მოამბე
12.15 სერიალი "ბოგონები ქარში"
12.45, 19.00 ვიდეოპატრული
13.00 "ნაშუადღევს"
14.05 ლერერის შოუ
15.15 ქართ. ფილმი "ხარება და გოგია"
17.30 "მოდი ვიცეკვოთ"
17.45 "ერთი თეთრიც ფულია"
18.00 "ვესტნიკი"
18.30 სერიალი "ბოგონები ქარში"
19.10 სიტყვა კაზმული
19.40 ბასტი - ბუბუ
20.55 სერიალი "ფსიქფაქტორი"
21.45 "ჩვენი ფეხბურთი"
22.25 "დიდებული ქალბატონები" (პრინცესა დი)
23.35 ტელესერიალი "ძილის წინ" 23.55 დოკ.სერიალი "მეოცე საუკუნე" 00.15 მხ.ფ. "ჩვეულებრივი სასწაული"

## მეორე არხი

19.00, 22.00 "მოამბე" მეორე არხზე
19.10 იყო და არა იყო რა
19.30 მხ. ფილმი "კარმენი"
21.15 სერიალი "მხოლოდ შენთვის"
22.10 მხ. ფილმი "ერთხელ ამერიკაში" (მე-2 ნაწილი)

## იბერია

08.00 ანონსი, მულტფილმი
08.15 ალსავალი
08.20, 10.15, 10.45, 14.10, 17.20, 19.40, 21.45, 22.15, 00.45 მუსიკა
08.30 მხ.ფ. "დომინოს პრინციპი"
10.00, 13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00 ახალი ამბები
10.25 საბავშვო სერიალი "მხიარული არდადეგები"
10.50 მხ.ფ. "მარიუსის უმანკო ჩასახვა"
13.10, 17.30 მულტფილმი
18.00 დოკუმენტური ფილმი
19.30 ბურთი და მოედანი
20.00 მხ.ფ. "ველური დასავლეთის ლეგენდები"
22.30 ძველი კინო "ვესტსაიდის ისტორია"
00.50 ღამის ფილმი

## პირველი სტერეო

07.15 "მორწმუნის ძლევამოსილი ხმა"
08.00 "ტოროლა"
11.00 მუსიკალური ათეულის განმეორება
11.45 "ჩაძიროგანა" განმეორებით
13.15 მხ. ფილმი
15.10 მუსიკა
17.30 "სწ.მედია" მხ.ფ. "დოქტორი მამფორდი"
19.00 მუსიკა
20.00 კლიპები შეყვარებულთათვის პირდაპირ ეთერში
22.00 ევრო-რუსული ათეული
23.00 "ბრავო" მხ.ფ. "დედოფალი მარგო". მთ. როლებში იზაბელ აჯანი, დანიელ ოტოი
01.30 "ღამურა" მხ.ფ. "შურისძიება". მთ. როლებში რეი ბიუმატაი, კარლოტა ჩანგი, კრის ტაშიმა
03.30 ნონ-სტოპი

## კავკასია

12.00 მხ.ფ. "9 იარდი"
13.40 მხ.ფ. "კრიმინალური საკითხავი"
17.00, 19.00, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა "დღეს"
17.15 მხ.ფ. "ლეონი"
19.20 სპექტრი
21.00 სერიალი "ჩრდილოეთი და სამხრეთი"
22.30 მხ.ფ. "სიყვარულის ცეკვა"

## მეცხრე არხი

09.00, 14.30, 17.30, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა "დღის ამბები"
09.20 მულტფილმი "შეჰრაზადა" მე-10 სერია
09.45 საბავშვო სერიალი "ალ. მაკის სამყარო" მე-10 სერია
10.15, 13.00, 13.50, 17.20, 18.45, 23.40, 00.20 მუსიკა
10.30 მხ.სერიალი "ვი. აი. პი. ველერი აირონსის დაცვის სამსახური"
11.15 მხ.ფ. "მსახიობები"
13.15 დოკ. ფილმი "ფრანგული ცირკის ხელოვნება" 1-ლი ნაწილი
14.00 გადაცემა რაგბი
14.45 დოკ. ფილმი "ფრანგული ცირკის ხელოვნება" მე-2 ნაწილი
15.20 მხ. ფილმი "უკანასკნელი კინოსეანსი"
17.45 მულტფილმი "შეჰრაზადა" მე-11 სერია
18.15 საბავშვო სერიალი "ალ. მაკის სამყარო" მე-11 სერია
18.50 მხ.ფ. "ტრენერი და პუჩი"
21.10 მულტფილმი "ტომი და ჯერი"
21.30 გადაცემა "მთავარი თემა"
22.15 მხ.ფ. "ლეიკ პლესიდი - შიშის ტბა" მთ. როლებში ბილ პულმანი, ბრიჯიტ ფონდა
00.40 მხ.ფ. "მამაკაცი გამოძახებით". მთ. როლში რობ შნაიდერი

## აჭარის ტელევიზია

09.00, 03.00 საინფორმაციო დაიჯესტი
09.30 მულტფილმი "აბა, დამაცადე!"
10.30 ფანტასტიკა "კიბერჯეკი"
12.00, 16.00, 19.00 საინფორმაციო გამოშვება 1
2.15 ქართული მოკლემეტრაჟიანი ფილმი "ჭა"
12.50 კომედია "გამოუსწორებელი მატყუარა"
14.05 მელოდრამა "ოკეანის ფსკერზე"
16.15 მულტფილმი "მზეთუნახავი და ურჩხული"
17.30 ფანტასტიკური ფილმი "ძებნილი"
19.20, 22.30, 00.30 საინფორმაციო გამოშვება "ნოვოსტი"
19.30 დოკუმენტური ფილმი
20.30 მელოდრამა "მიწიერი სურვილები"
22.00, 00.00 საინფორმაციო გამოშვება "დღეს"
22.50, 00.50 საინფორმაციო გამოშვება ინგლისურ ენაზე
23.00, 01.00 საინფორმაციო გამოშვება გერმანულ ენაზე
23.05 "რა არ ხდება"
23.15 დოკუმენტური ფილმი
01.10 თრილერი "ინფერნო"
03.30 თრილერი "ცხოვრების უფლება"

## VII არხი

09.00 ანონსი
09.05 მოკლედ.... საქართველო, უცხოეთი
09.15 მუსიკალური ტაიმაუტი
09.30 მოკლედ... პრესის მიმოხილვა
09.40 "აჩიკუდა"
10.05 "ბედნიერი ერი"
10.10 "სახლიდან გაუსვლელად"
10.30 მოკლედ... სპორტი
10.35 "ავტოტრეკინგი"
11.25 მულტსერიალი
11.45 დოკ.ფ. "ბრძოლა წესების გარეშე"
12.05 მოკლედ... ტექნიკის სიახლეები
12.10 "სახლიდან გაუსვლელად"
12.30 მუსიკალური ბიორითმი - ვალერი ლეონტიევი
13.00 დისნეი და მისი მეგობრები
13.20 "სახლიდან გაუსვლელად"
13.55 ამინდის პროგნოზი
13.55 ჰოროსკოპი
14.00 სპორტი
14.05 მოკლედ... პრესის მიმოხილვა
18.00 ანონსი
18.05 ამინდის პროგნოზი
18.10 პრესა
18.15 მუსიკალური ტაიმაუტი
18.30 "სახლიდან გაუსვლელად"
18.55 მოკლედ... ტექნიკის სიახლეები
19.00 "აჩიკუდა"
19.30 მოკლედ... საქართველო, უცხოეთი
19.40 "სახლიდან გაუსვლელად"
20.00 სპორტული პროგრამა - "კასკადიორები"
20.20 "ფაქტი, აზრი, კომენტარი"
20.30 მუსიკალური ობიექტივი
20.55 მოკლედ... ასტროლოგიური პროგნოზი
21.00 "ღამის კაპრიზი"
21.45 მოკლედ... სპორტი
21.55 მოკლედ... პრესის მიმოხილვა
22.05 "სახლიდან გაუსვლელად"
22.25 "კინოკლუბი " - მხ.ფილმი "ელ-სიდი" -1 სერია. ა.შ.შ.
1980 წელი. ისტორიული. რეჟისორი - ენტონი მანი. როლებში: სოფი ლორენი, ჩარლტონ ჰესტონი.
23.55 პრესის მიმოხილვა
00.10 დოკ.ფ. "ბრძოლა წესების გარეშე"
00.30 მოკლედ.... საქართველო, უცხოეთი
00.40 "სახლიდან გაუსვლელად"
01.05 მუსიკალური ბიორითმი - ვალერი ლეონტიევი
01.30 მხ.ფ. ჟანრებში: - "ელ-სიდი" -მე-2 სერია.
03.00 პრესის მიმოხილვა

## ОРТ

07.00 "Доброе утро".
10.00, 13.00, 16.00, 19.00 Новости.
10.15 Сериал "АБСОЛЮТНЫЕ УБИЙЦЫ", "ПРАВДА О ХИЩНИКАХ"
11.10 "НЕУДЕРЖИМЫЙ"
12.05, 16.40 "Ералаш"
12.15 Что да как
12.35 Дисней-клуб: "Любимчик"
13.15 Сериал «ДЕТЕКТИВНОЕ АГЕНСТВО «ЛУННЫЙ СВЕТ»
14.15 "Народ против"
15.00, 22.35 12.15, 16.45 Сериал "СКАРЛЕТ"
16.15 Док. фильм "Дикие штучки"
16.55 "СЕЙЧАС ИЛИ НИКОГДА"
17.55 "САМОЗВАНЦЫ"
19.20 Сериал "семейные узы"
20.15 х.ф. "ЧАСТНЫЙ ДЕТЕКТИВ"
22.00 Время.
23.40 "КИТАЙСКИЙ ГОРОДОВОЙ"
00.35 "Сати"
01.00 Ночное "Время"
01.15 "Крах империи - Убийство Распутина"
02.05 "ТЫСЯЧЕЛЕТИЕ"
02.55 "Человек ниоткуда".

## РТР

06.50 - 10.00 Утро на РТР
06.50, 07.50, 08.50, 09.50 Вести-Москва
07.00, 08.00, 09.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00 Вести.
07.10 "Православный календарь".
07.15, 08.30 Семейные новости
07.25, 08.20 Национальный доход
07.30, 08.40 17.45 Афиша
07.40, 15.05, 15.20 Дорожный патруль
08.10, 09.40, 17.40 Экспертиза РТР
08.25, 09.10, 15.20 Вести-спорт
09.15 Колоссальное хозяйство
10.10 "ЖАРА В ЛОС-АНЖЕЛЕСЕ"
11.00 Сериал "ВЕЧНЫЙ ЗОВ"
12.20 х.ф. "ПРЕДВОРИТЕЛЬНОЕ АССЛЕДОВАНИЕ"
14.10 Международный фестиваль искусств "славянский базар в Витебске"
14.30 Сериал "БЕТТИ"
15.25 "Что хочет женщина"
16.10 Сериал "дикий ангел"
17.10 Сериал "ДРУЗЬЯ-5"
18.20 Футбол. Чемпионат России. "Ростсельмаш" (Ростов-на-Дону) - "Торпедо" (Москва)
20.00 Сериал "комиссар рекс"
20.50 Спокойной ночи, малыши!
21.35, 00.20 Вести-Москва
21.55 "ТРАНЗИТ ДЛЯ ДЬЯВОЛА"
22.55 х.ф." ПУАРО АГАТЫ КРИСТИ, ТАЙНА ОХОТНИЧЬЕГО ДОМА".
00.30 х.ф."ЖИВЫЕ "
02.55 Песня "Витебск-2002"
04.00 Славянский базар.

## НТВ

7.00 "СЕГОДНЯ УТРОМ"
9.50 Остросюжетный фильм "ПОЛИЦЕЙСКИЕ: ЧЕРНАЯ ЗВЕЗДА ВУДУ"
11.00, 13.00, 15.00, 17.00, 20.00, 23.00 СЕГОДНЯ
11.25 "ВНИМАННИЕ: РОЗЫСК!" "ЗВЕЗДНЫЕ МАЛЬЧИКИ"
12.10 "РАСТИТЕЛЬНАЯ ЖИЗНЬ" с Павлом Лобковым
12.45 "ВКУСНЫЕ ИСТОРИИ"
13.20 "ЖЕНСКИЙ ВЗГЛЯД" Оксаны Пушкиной. Илзе Лиепа
13.55 "КУРОРТНЫЙ РОМАН" сериал
15.05 "ПРИНЦИП "ДОМИНО" ток-шоу. Сегодня - "КАК УДАЧНО ВЫЙТИ ЗАМУЖ?"
16.25 "КРИМИНАЛЬНАЯ РОССИЯ : ДОМОДЕДОВСКИЙ УПЫРЬ". 2-я серия
17.30 Мелодрама "ПОД КРЫШАМИ БОЛЬШОГО ГОРОДА".
18.35 "РОЖДЕННЫЙ ВОРОМ" боевик
19.40 "КРИМИНАЛ"
20.35 "УЛИЦЫ РАЗБИТЫХ ФОНАРЕЙ" сериал. Сегодня - "ДЕЛО РЕПОРТЕРА"
21.45 Мелодрама "ПОД КРЫШАМИ БОЛЬШОГО ГОРОДА".
23.35 "ТРОЕ" сериал.
0.30 "УЛИЦЫ РАЗБИТЫХ ФОНАРЕЙ" сериал
1.35 "О, СЧАСТЛИВЧИК!"
2.15 "ИСПЫТАНИЕ ОГНЕМ" триллер. США

# სკანდინავიური კროსვორდი

